გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილორი



E-mail: roland_jalagania@yahoo.com

№149 (208) 13-20 დეკემბერი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# (პედ ანტი)ერასტები ქართულ პოლიტიკაში

ასეა, ბატონებო, ისევე როგორც წმინდა ადგილები არ არის დაუკავებელი, უწმინდური ადგილების დასაკავებლადაც საკმაოდ დიდი ჭყლეტაა ხოლმე გამართული!

ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ხომ მთლად ყირაზე დააყენა ყველაფერი – ადამიანებმა სახე დაკარგეს, უფრო სწორად, მილიარდერის ფულს დახარბებულებმა ჩამოიხსნეს ნიღბები და საზოგადოებას საკუთარი ჭეშმარიტი სახე დაანახეს. ბევრში რომ ვერაფერში დაარწმუნეს ბიძინა, ახლას მას კვალდაკვალ დასდევენ, იქნებ ხურდა ფული გაუვარდეს ჯიბიდან და ის მაინც ვიხეიროთო.

ბიძინა ივანიშვილისთვის კი ხურდა ფული რამდენიმე მილიონი დოლარი გახლავთ!

სწორედ ამგვარი სცენა გათამაშდა ამას წინათ ტელეარხ **"მაესტროსთან"** დაკავშირებით, როცა **"ქართული პარტიის"** ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა დიდი ფულის სუნი იყნოსა და პოლიტიკიდან კვლავ ბიზნესში ისკუპა – უფრო სწორად, მთამსვლელობა გაიხსენა, ბიზნესის კედელზე **"თითის მიცემით"** გადაძვრა და ტელეარხ **"მაესტროს"** სტუდიაში დაუპატიჟებლად შევარდა!

მერე დატრიალდა იქ ამბები, თუ დატრიალდა.

როგორც ცნობილია, ქართულ მედიასივრცეს **"ნაციონალების"** ძალადობისა და ვანდალური ანგარიშსწორების წყალობით მხოლოდ ორად-ორი ოპოზიციური ტელეარხი შემორჩა: **"მაესტრო"** და **"კავკასია".** სწორედ ეს ტელეარხები, თავიანთი მწირი შესაძლებლობის ფარგლებში, აწვდიან დღეს საქართველოს მოსახლეობას ობიექტურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა უბედურება დაატრიალეს **"ნაცებმა"** ქვეყანაში და როგორც იკლებენ ისინი ტრაბახით ლამის მთელ მსოფლიოს – ჩვენისთანა დემოკრატიული ქვეყანა ჯერ არავის აუშენებიაო! ტყუილის გამოააშკარავებას კი დიდი დოკუმენტური მტკიცებულებების მოყვანა არ სჭირდება, ადამიანებმა ძალიან კარგად იციან, რომ შავ დღეში არიან, მაგრამ ისინი მაინც საჭიროებენ ობიექტურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ ვინ ჩაყარა ისინი ამ შავ დღეში. სწორედ ამიტომ ეშინიათ სიკვდილივით **"ნაციონალებს"** და მათ ნეტარღიმილიან ბელად სომეხ სააკაშვილს თუნდაც მცირე სიმძლავრის ოპოზიციური ტელეარხისა.

ამიტომ, არავის გაკვირვებია ის ამბავი, რომ ტელეარხ **"მაესტროზე"**, ერასტისთან ერთად, შტურმში მონაწილე სამოქალაქოფორმიან ხალხში შინაგან საქმეთა სამინისტროს ზონდერბრიგადათა წევრები ამოიცნეს. არავის გაკვირვებია ისიც, რომ, მართალია, პატრული ტელეარხის გენერალურმა დირექტორმა გამოიძახა ძალადობის აღსაკვეთად, პატრულმა კი უსიტყვოდ შეასრულა **"ოპოზიციონერ"** კიწმარიშვილის ბრძანება და სტუდიის შენობაში სწორედ გენერალური დირექტორი არ შეუშვა.

აქ უკვე შეკითხვათა მთელი კასკადი გაჩნდა:

– როგორ ვირწმუნოთ ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის ოპოზიციონერობა, თუ ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ მას ხელისუფლება საპატრულო პოლიციას ახმარს?

– რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც მხოლოდ სააკაშვილის ხუშტურების ბრმა შემსრულებელია, მხარეთა შორის წარმოქმნილ დავაში უპირობოდ დაუჭირა მხარი მათი დაუძინებელი მტრის **"ქართული პარტიის"** დამფუძნებელს და ერთ-ერთ ლიდერს კიწმარიშვილს, იმ **"ქართული პარტიისა",** რომელსაც ხელმძღვანელობს მათი ასევე **"დაუძინებელი მტერი"** (?!) ირაკლი ოქრუაშვილი!

მართლაც რომ გამოუცნობია ღვთის მიერ მინიშნებული გზა!

– რაღა მაინცა და მაინც მაშინ გაახსენდა თავი უფლება-მოვალეობები **"მაესტროსთან"** დაკავშირებით სახელშეკრულებო პირობებზე არხის მმართველი კომპანიის დირექტორს ეროსი კიწმარიშვილს, როცა **"მაესტროს"** წამყვან ეკა ბერიძეს ვრცელი ინტერვიუ მისცა ბიძინა ივანიშვილმა, სადაც მან კიდევ ერთხელ დაანახვა ქართულ საზოგადოებას **"ნაციონალებისა"** და მიხეილ სააკაშვილის ნამდვილი სახე!

აშკარად ჩაუვარდათ **"ნაციონალებს"** და მათ ნეტარღიმილიან ბელადს კოვზი, როცა **"მაესტროს"** განეიტრალების თავისებური ვერაგული გეგმის განხორციელებას შეუდგნენ. მათ ეგონათ, რომ **"მაესტროსაც"** ისე იოლად **"შეიხვირიპებდნენ"**, როგორც ეს **"იმედს"** გაუკეთეს. მაგრამ შეცდნენ, იმიტომ, რომ **"იმედში"** არნახული, გულისამრევი ღალატის წყალობით დაამყარეს დიქტატი. დღეს კი, ეს ოცდაათ ვერცხლს დახარბებული მოღალატეები, ღალატში გაწაფული გიორგი თარგამაძის თავკაცობით საქართველოს პარლამენტში არიან გამოჭიმულები და იქიდან გვიტარებენ გაკვეთილებს ზნეობრიობასა და სამშობლოს სიყვარულზე. **"მაესტროში"** კი სანაქებო ერთობისა და უღალატობის კლასიკური ნიმუში მოგვცეს ჟურნალისტებმა, რომელთაც ერთმანეთის მიმართ თუ რამ წყენა არსებობდა, დაივიწყეს და, როგორც ამბობენ, მხარი მხარს მისცეს. მიუხედავად იმისა, რომ მათ წინ დიდი და საკმაოდ მძიმე გამოცდა ელით, ეჭვის არავის გვეპარება, რომ სწორედ ამგვარი უღალატობისა და ურთიერთთანადგომის წყალობით მიაღწევენ გამარჯვებას!

რაც შეეხება **"მაესტროს"**, ხელისუფლება, რა თქმა უნდა, მას **"იმედივით"** გადასანსლავდა და საკუთარ **"ხელის ტელევიზიებს"** იმ პატარა არხსაც მიუერთებდა, რომელიც სავარძელში ამოზრდილი ლურსმანივით უწუხებდა გაქსუებულ უკანალებს. სახელისუფლებო არხები **"რუსთავი-2", "იმედი" და "საზოგადოებრივი მაუწყებელი"** კი იმდენად გაიწაფნენ ინსინუაციებსა და თაღლითობებში, რომ უკვე საერთაშორისო წრეების აღშფოთებასაც კი იწვევენ. სწორედ ამის დადასტურება გახლდათ საგანგებო ტელეგანცხადება, რომელშიც ნატოს პრესმდივანმა ჯეიმს აპატურაიმ წამყვანი ქართული ტელეარხები ტყუილში ამხილა.

ამ გამოსვლის ფრაგმენტის ვიდეოჩანაწერი (ორიგინალში, ინგლისურ ენაზე) გამოქვეყნებულია საქინფორმის საიტის მთავარ გვერდზე www.saqinform.ge:

**„საფრთხე, რომელიც შესაძლოა, პრესმდივანს ემუქრებოდეს – მისი ნათქვამის არასწორი ინტერპრეტაციაა. მსგავს შემთხვევას წავაწყდი გარკვეული ხნის წინ საქართველოში, როდესაც ერთ კერძო ტელეარხს ვრცელი ინტერვიუ მივეცი** (კერძო – მხოლოდ საბუთებით, სინამდვილეში კი, როგორც ირკვევა ისინი სამთავრობო არხებია! – საქინფორმი). **მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ კადრს მიღმა ქართული თარგმანი არა მარტო არ ემთხვეოდა ჩემს ნათქვამს, არამედ, უმეტესწილად, მისი პირდაპირ საპირისპირო იყო. მინდა, ვიფიქრო, რომ მიზეზი არასწორად თარგმნა იყო, მაგრამ ამ ტექსტის თითქმის 90%, უბრალოდ, – გამოგონილი! თანაც გამოგონილი ინფორმაცია გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა და, ამასთან, სხვა ინტერესებს ლახავდა, რასაც დაძაბულობის გაზრდა შეეძლო.**

**მე დაუყოვნებლივ ჩავერიე, ჩანაწერის შემოწმება მოვითხოვე და განვაცხადე, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა გაჟღერებულ არასწორ თარგმანსა და იმ მომენტს შორის, როდესაც მისი გასწორების შესაძლებლობა მომეცა, საკმაოდ დიდი დრო გავიდა, და ამან, როგორც იტყვიან, ცხარე პოლიტიკური კამათი გამოიწვია, საბედნიეროდ – ხანმოკლე.**

**ამიტომ, სადაც უნდა გავემგზავროთ, თან პატარა დიქტოფონები დაგვაქვს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება წერილობით ინტერვიუს, მას ყოველთვის ვიწერ. იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ, ნატოს შტაბბინაში ორჯერ თუ სამჯერ მოგვმართეს ჩემი განცხადებების დაზუსტების თხოვნით.**

**იყო შემთხვევა, როდესაც გაზეთის რეპორტიორმა ჩაიწერა პროვოკაციული გამონათქვამები, რომლებიც თითქოს მე მეკუთვნოდა, რაც, საბედნიეროდ, არ მითქვამს. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ ყველაფერი ჩავიწერე, რასაც ვამბობდი. და ამას მხოლოდ მე როდი ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ დღეს დიქტოფონის შინ დატოვება ჩემთვის იგივეა, საფულე რომ დამრჩეს, რადგან ისიც ნებისმიერ წამს შეიძლება დამჭირდეს“.**

სირცხვილი და თავის მოჭრა, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის, მაგრამ, რომელ სირცხვილზე შეიძლება ესაუბრო იმ ხალხს, რომლებიც ყოველგვარ უკადრისს კადრულობენ ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

მაგრამ ხელი მოეცარათ პროვოკატორ ეროსი კიწმარიშვილს და მის ზურგს უკან ჩასაფრებულ სხვა, უფრო დიდ პროვოკატორებს, ირაკლი ოქრუაშვილის ჩათვლით!

მართლაც ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო არხის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და გენერალურმა პროდიუსერმა მამუკა ღლონტმა, როცა ბრძოლისა და დავიდარაბის გარეშე (რასაც ასე ესწრაფვოდა უმაღლესი ხელისუფალი) დასტოვა **"მაესტრო",** სტუდია რადიოში გადაიტანა და მაუწყებლობა განაგრძო, **"მაესტროს"** ცარიელი კედლები კი ეროსის შეატოვა. ეს გახლდათ თავისებური მდუმარე აქცია, პროტესტის უხმოდ გამოხატვა, რაც უმეტეს შემთხვევაში ამართლებს ხოლმე.

განა სწორედ ამგვარი **"დუმილის"** აქციებით არ განდევნა ინდოეთიდან მახათმა განდიმ კოლონიზატორი მოძალადე ინგლისელები?

ეჰ, სრულიად საქართველოს რომ ასეთი ერთსულოვნების გამოვლენა და თანადგომა შეეძლოს, აქამდე ხომ არ დავეშვებოდით!..

**"აბესალომ და ეთერი, ღმერთმა შეგყარათ ერთფერი"** – ცნობილი ოპერის ლიბრეტოში ბაჯაღლოდ ჩასმული ეს სიტყვები ორი ულამაზესი და უკეთილშობილესი ადამიანის უიღბლო სიყვარულს მისტირის.

როცა ორი მახინჯი არსება ქმნის ოჯახს, რუსები ამაზე მოსწრებულად ამბობენ: **"Прекрасная семейка"**. არა და, მენტალურად მართლაც ძალიან გვანან ერთმანეთს ეროსი და **"წარმატებული ბიზნესის მქონე"** მისი მეუღლე ია კიწმარიშვილი ერთმანეთს. დათა თუთაშხიას პრონონსით რომ ვთქვათ, **"ცოლი და ქმარი რატომ არ უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს, ვითომ?"**

ჰგავს კი არა, უფრო მეტიც – სერიოზული ხმები დადის იმის თაობაზე, რომ ია კიწმარიშვილის ფირმა უცხოელ ამლაყებს ქართველ ლამაზმანებს საკმაო საზღაურის ფასად უგზავნის დროის სატარებლადო. მტკიცებულების მოპოვება ალბათ გაძნელდება, თუ ვინმემ შიგნიდან არ გატეხა **"ციხე"**, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამგვარ ხმებს კრისტალურად სუფთა ადამიანს ნამდვილად არ დაუყრიან ხოლმე.

თავად განსაჯეთ, სულ მიკვირდა, რატომ ხდება, რომ **"მის-საქართველოს"** ტიტულს ხან ნასამართლევ პირს ანიჭებდნენ, ხან ორჯერ ნაქმარევს და უამრავჯერ **"ბოიფრენდგამოცვლილს"**, ხან კი უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

გვიან მივხვდით – ქართველი გოგონა იოლად არავის ჩაუგორდება ლოგინში, თუნდაც დიდი ფულის ფასად, უცხოტომელი კი ამას სიამოვნებით გააკეთებს. თანაც, ტიტულოვანი ქალი ბევრად უფრო ძვირი ღირს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ სამყაროში. ამიტომაც ურიგებდნენ ასე მოხშირებულად **"მის საქართველოს"** მაღალ ტიტულს საეჭვო ყოფაქცევის მქონე გადედაკაცებულ ქალიშვილებს.

ასეთი **"უნებლიე გადაცდომები"** ამ საქმეში კი ზუსტად იმიტომ ხდება, რომ უცხოეთში დიდი ფულის საშოვრად გაგზავნილ კახპებს მაზანდის ასაწევად **"მის-საქართველოს"** ტიტული გაატანონ!

მერე რა, რომ ამით საქართველოს თავის ეჭრება საერთაშორისო არენაზე და და კახპების ექსპორტი ქვეყნის სახელს იმკვიდრებს. მთავარია, რომ ვიღაც **„მამაშებმა“** დიდი ფული აიღონ!

მოკლედ, მართლაც რომ სახეზეა **"Прекрасная семейка"!**

ესღა გვაკლდა!

ომი კი გრძელდება და მას მხოლოდ ეროსი კიწმარიშვილი აგრძელებს, მაშინ, როცა **"მაესტროელები"** ცდილობენ, რომ მათ ხელში არსებული მწირი შესაძლებლობებით არ შეაჩერონ მაუწყებლობა.

**„ეროსი კიწმარიშვილის შანსია ნული, ნული და კიდევ ერთხელ ნული. გულწრფელად გეუბნებით – იმიტომ კი არა, რომ „მაესტროს“ ადვოკატი ვარ, რეალურად არის მისი შანსები ნულის ტოლი. კი ბატონო, იდავოს სასამართლოში. სასამართლომ უნდა განიხილოს ეს ყველაფერი, არის სამი ინსტანცია, ამას ერთი წელიწადი სჭირდება და ჩვენ სასამართლოშიც დავუმტკიცებთ მას, რომ სწორად გვაქვს კონტრაქტი შეწყვეტილი. არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ „მაესტროს“ მაუწყებლობას პრობლემა შეექმნას... რაც შეეხება „შავ ბუღალტერიას“ – სწორედ ამ შავი თანხების წარმომავლობით იქნება დაინტერესებული ფინანსური პოლიცია. ჩვენ დღეს შევიტანთ განცხადებას რუსთავის მედიის მართვის კომპანიის წინააღმდეგ, რათა გაარკვიონ, საიდან მოიძიებდა ის ფულს და განკარგავდა“,** – ამბობს **"მაესტროს"** ადვოკატი დიმიტრი გაბუნია და დასძენს – **რასაც კიწმარიშვილი ამბობს, სრული აბსურდია. რა თქმა უნდა, კონტაქტი მაქვს როგორც ერთ, ისე მეორე მხარესთან. ჯერ ერთი, მე არ წარმოვადგენ ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ თუ კომერციულ ინტერესებს. შესაბამისად, ძალიან უცნაური განცხადებაა – როგორ უნდა მეწარმოებინა რამე სახის კონსულტაციები? გარდა ამისა, „მაესტროს“ დამფუძნებლები აცხადებენ, რომ ტელეკომპანია არ იყიდება, ივანიშვილიც ამბობს, რომ არ ყიდულობს. რის შესახებ უნდა მეწარმოებინა მოლაპარაკებები?"**

**"...კიწმარიშვილი მაგონებს ლათინურამერიკული სერიალების ცნობილ გმირებს – ბოროტი ქალები რომ არიან, საყვარელი მამაკაცისგან უარის მიღების შემდეგ ყველა მეთოდით რომ იწყებენ შურისძიებას. ერთ-ერთი ობიექტი მეც აღმოჩნდი",** – განაცხადა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა.

ამასობაში კი, როგორც ირკვევა, კიწმარიშვილს პოლიტიკური პარტიაც შემოეძარცვა ხელში.

ასე რომ, **"ერასტული"** პოლიტიკური წიაღსვლა იმის დამთავრდა, რომ **"ქართულ პარტიას"** ორად-ორი წევრი შერჩა (სუბარმა ადრევე იგრძნო, რომ მათ თავზე რაღაც უბედურება დატრიალდებოდა და თავის თანამოზრეებთან ერთად ადრევე განერიდა ოქრუაშვილ-კიწმარიშვილის ტანდემს), თუმცა, გეოგრაფია საკმაოდ დიდი აქვს – ეროსი თბილისშია, ირაკლი კი პარიზში. მოკლედ, როგორც ერთხელ იხუმრეს ახალგაზრდა პოეტებმა მათ დრომოჭმულ კოლეგებზე:

**"როცა ქვეყანას კაცი აკლია,**
**რაც ერასტია, ის ირაკლია"!**

ასეა, ნამდვილად ასეა!

როგორც ცნობილია, პედერასტებს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხს ეძახიან, პოლიტიკური პედერასტი კი შეიძლება იმ ადამიანს ვუწოდოთ, რომელიც ასევე არატრადიციულად მოქმედებენ პოლიტიკურ სფეროში!

ასეა, როცა ქვეყანას კაცი აკლია...

კაცი, კი, უკვე გამოჩნდა!!!

როლანდ ჯალაღანია,
"აიას" და "ფაზისის" აკადემიების
ნამდვილი წევრი

## საბავშვო „ევროვიზია 2011“-ის გამარჯვებული საქართველოს ჯგუფი გახდა

რიგით მეცხრე საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „candy“ გახდა. საკონკურსო სიმღერით Candy Music ჯგუფმა 108 ქულა მოიპოვა ჰოლანდიის წარმომადგენელმა რეიჩელმა – 103 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ბელორუსელი ლიდია ზაბლოცკაია – 99 ქულით მესამე ადგილზე აღმოჩნდა.

2011 წლის საბავშვო **„ევროვიზიის“** სიმღერის კონკურსში 13 ქვეყანა მონაწილეობდა. გრანდიოზული სანახაობა ერევანში, კარენ დემირჩიანის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში ჩატარდა და მას სომხეთის მაუწყებელმა უმასპინძლა. საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული კომპეტენტურმა ჟიურიმ და ევროპელმა მაყურებელმა ხმის მიცემის შედეგად, ერთობლივად გამოავლინეს.

საქართველო საბავშვო ევროფესტივალის ფინალისტი მეორედ გახდა. 2008 წელს კვიპროსზე, ლიმასოლში გამარჯვება ჯგუფმა **„ბზიკებმა“** მოიპოვა. 2011 წლის საბავშვო ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფის, „Candy“ მხარდასაჭერად, სომხეთში ჯგუფი **„ბზიკები“** იმყოფებოდა და **„ევროვიზიის“** კვირეულში მონაწილეობდა. **„ბზიკები“** ერევანს მასპინძელი მაუწყებლის ინიციატივით, საპატიო სტუმრის სტატუსით ეწვივნენ.

საქართველო საბავშვო **„ევროვიზიის“** კონკურსში წელს მეხუთედ მონაწილეობდა. 2007 წელს მარიამ რომელაშვილმა როტერდამში მე-4 ადგილი დაიკავა; 2008 წელს კვიპროსზე საქართველოს წარგზავნილმა ჯგუფმა **„ბზიკებმა“** გამარჯვება მოიპოვა; 2009 წელს კიევში ჯგუფი **„პრინცესები“** მეექვსე ადგილზე გავიდა; 2010 წელს მინსკში მარიამ კახელიშვილმა, სიმღერით **„მარი–დარი“** მეოთხე ადგილი დაიმსახურა.

2012 წლის საბავშვო ევროფესტივალს ჰოლანდია უმასპინძლებს.



## რუსეთში მეჯლისების ტრადიცია აღადგინეს



რუსეთში მე-19 საუკუნის მეჯლისების ლამაზი ტრადიცია აღადგინეს. ყველაზე გავლენიანი და ცნობილი ოჯახების ქალიშვილებმა მოსკოვში, ძველი სასახლის თაღებიან დარბაზში **„პირველ მეჯლისზე“** გაიბრწყინეს.

მე-19 საუკუნის არისტოკრატიული ტრადიციის თანახმად, **„კეთილშობილ ოჯახებში”** აღზრდილი გოგონები მაღალ საზოგადოებაში გამოსვლას **„პირველი მეჯლისით“** იწყებდნენ.

ელიტურ ღონისძიებას, რომელსაც რუსეთის ბომონდის ყველაზე ცნობილი სახეები ესწრებოდნენ, არც ქართული წარმოშობის სტუმრები დაკლებიან.

მეჯლისის დებიუტანტებს შორის იყვნენ რუსეთში მოღვაწე ცნობილი ქართველი მომღერლის, ვალერი მელაძის უფროსი ქალიშვილი, 20 წლის ინგა მელაძე და ცნობილი ქართველი მსახიობის, არჩილ გომიაშვილის შვილიშვილი, 19 წლის ანასტასია გომიაშვილი.

ნათურებით გაჩახჩახებულ დარბაზში მდიდრული საღამოს კაბებსა და ძვირფას სამკაულებში გამოწყობილმა თანამედროვე **”ნატაშა როსტოვებმა”** ორკესტრის თანხლებითა და დიდი თეატრის მოცეკვავეების პარტნიორობით რამდენიმე ვალსი შეასრულეს. როგორც შემდეგ იხსენებდნენ, მეჯლისის მონაწილეები ყველანაირად ეცადნენ მოძრაობები უშეცდომოდ შეესრულებინათ და ნამდვილი არისტოკრატების შესაფერისად სჭეროდათ თავი.

მეჯლისში მონაწილე დებიუტანტებს შორის, რომელთა ასაკი 16-20 წელი იყო, ცნობილი რუსი კინორეჟისორისა და მსახიობის რეჟისორ ნიკიტა მიხალკოვის შვილიშვილი ალექსანდრა, დიზაინერ გალინა იუდაშკინას ქალიშვილი ვალენტინა და ლეონიდ პარფიონოვის შვილი მარია იყვნენ. ბაბუამისივით ექსცენტრიულმა ალექსანდრა მიხალკოვამ ჟურნალისტებთან დაიჩივლა, რომ მისთვის სამეჯლისო საღამოს კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ნამდვილი სატანჯველი სასჯელი იყო.

**„ყოველდღე ბათინკებით და მამაკაცის სვიტერით დავდივარ, ეს საღამოს მორთულობა ნამდვილი წამებაა“,** – წუწუნებდა ალექსანდრა.

ფეშენებელურ საღამოს რუსეთის სპორტული ფედერაციის პრეზიდენტის, ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონის, მოჭიდავე მიხეილ მამიაშვილის ქალიშვილი, ტატა მამიაშვილიც ესწრებოდა, თუმცა ის მოცეკვავე დებიუტანტებს შორის ვერ მოხვდა.

მეჯლისი მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერ-ბალერონს, ნიკოლოზ ცისკარიძეს მიჰყავდა, სადირიჟორო პულტთან კი ვლადიმერ სპივაკოვი იდგა.

მართლაც მომაჯადოვებელი სანახაობა გახლდათ ნარნარად მოსრიალე ულამაზესი ბანოვნები და ფრაკებში გამოწყობილი ტანაშოლტილი **„კავალრები“**, წყვილთა ტრიალი, მელოდიასთან საოცრად უნისონში ჩამჯდარი საცეკვაო ტემპი, მეჯლისზე დამსწრეთა აღფრთოვანების გამომხატველი შეძახილები...

მართლაც შესაშური და სამაგალითოა, რომ ერი წარსულის ტრადიციებს არ ივიწყებს და მუდამ ზრუნავს მისი აღდგენისათვის!

საღამო ჟურნალ „tatler“-ის ორგანიზებით გაიმართა და **„პირველი მეჯლისის“** ტრადიციის გაგრძელებას მომავალ წელსაც აპირებს.



## თბილისის ახალი ბიუჯეტი – მეტი კითხვა, ვიდრე პასუხი

2012 წლის საქართველოს დედაქალაქის ბიუჯეტი ქალაქის საკრებულოში ატეხილი დიდი ხმაურის შემდეგ დამტკიცდა. მის განხილვა ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის მწვავე დებატებით წარიმართა. ოპოზიციის წარმომადგენლები ყველაზე მეტად იმ 144 მილიონ ლარზე დაობდნენ, რომელიც ნაციონალური ხელისუფლების მიერ ბიუჯეტში **„სხვა ხარჯების“** მუხლით არის გაწერილი და თან ურცხვად ამტკიცებდნენ მის კანონზომიერებას, მაშინ როცა ოპოზიცია საფუძვლიან ეჭვს წარმოთქვამდა, რომ ეს წინასაარჩევნო თანხებია. ყველაფრის მიუხედავად, 25 ნოემბერს, თბილისის ბიუჯეტი ხმათა უმრავლესობით მაინც მიიღეს.

ამრიგად, თბილისის ბიუჯეტი 648 მილიონ ლარს შეადგენს, აქედან შემოსავლები 625 მილიონ ლარია. აღნიშნული თანხა ასე გადანაწილდა: ჯანდაცვასა და სოციალური დაცვას 90,866 მლნ ლარი გამოეყო; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას – 120, 672 მლნ ლარი; ქალაქის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობასა და ავარიული შენობების გამაგრებას – 102, 550 მლნ ლარი; **„ძველი თბილისის ახალი სიცოცხლეს“** – 36,846 მლნ ლარი; მოსახლეობის ხელშეწყობას – 19,942 მლნ ლარი; ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას - 13,410 მლნ ლარი.

ახალდამტკიცებული ბიუჯეტის შეფასებები, ტრადიციულად, საპირისპიროა. ოპოზიცია საუბრობს, რომ შემცირებულია საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხარჯები. მაგალითად, შედარებისთვის, 9 მილიონი ლარით იზრდება გუდაურის სამთო-სათხილამურო კომპლექსის დაფინანსება, თბილისში კი 5 ათასზე მეტი ოჯახი თავშესაფრის გარეშეა დარჩენილი, დევნილებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ბიუჯეტის 33% პრაქტიკულად გაუმჭვირვალეა. არ ჩანს, კონკრეტულად რამდენი დაიხარჯება სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე და სხვა.

საკრებულოს ოპოზიციონერ დეპუტატთა ერთმა ნაწილმა წარმოდგენილი ბიუჯეტი სამარცხვინოდ მიიჩნია და აღარც დებატებში გამოსულა. საინტერესოა, რომ **„ნაციონალებმა“** მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე გააცნეს ოპოზიციას ახალი ბიუჯეტის პროექტი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანი აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს კომისიების ერთობლივ სხდომაში, უმრავლესობა მათ მაინც ბიუჯეტის განხილვაზე უარისთვის საყვედურლობს.

**ჯაბა სამუშია** (ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე): **„მართალია, დედაქალაქის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 14 მილიონი ლარით შემცირდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის 28 მილიონიც, რომელიც წინა წელს დასუფთავების ხარჯებისთვის იყო გამოყოფილი და წლევანდელ ბიუჯეტში მთლიანად გაქრა. მიზეზი ის უსამართლო გადაწყვეტილებაა, რომლის ძალითაც დასუფთავების გადასახადი ელექტროენერგიის გადასახადს მიაბეს. ამ მართლაც სიმახინჯის გათვალისწინებით, მთლიანობაში დედაქალაქის ბიუჯეტი კი არ მცირდება, არამედ მნიშვნელოვნად იზრდება.**

**ამ ბიუჯეტში არის მუხლები, რომლებითაც თაღლითურად მანიპულირება საკმაოდ ადვილია, მაგალითად, რაიონულ ბიუჯეტებში. ხელისუფლება უარს ამბობს უამრავი მნიშვნელოვანი საკითხის დაფინანსებაზე, იმ მუხლებისთვის კი, რომელიც მისთვის ხელსაყრელია, მილიონობით ლარის დამატებაც არ ენანება. გაურკვეველი რაოდენობის თანხაა გამოყოფილი ე.წ. მშვიდობის ხიდის მოვლა-შენახვისთვის, ცალკე მუხლადაა გამოყოფილი შადრევან-აუზების ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია, „თბილისობა-2012“-ისთვის გიგანტური საწნახლის მოწყობა და მისი დემონტაჟი, თბილისობის დღესასწაულის გამო მდინარე მტკვარზე ტივით გასეირნების მოწყობა, კონცერტები და სხვ. გამოდის, დედაქალაქის ბიუჯეტში გაცილებით დიდი თანხაა გამოყოფილი გასართობ ღონისძიებებზე, ვიდრე ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე, რაც ნაციონალებისათვის დამახასიათებელია, მაგრამ სრულიად მიუღებელია მოსახლეობისათვის.**

**აუცილებლად უნდა ვახსენოთ ე.წ. სხვა ხარჯებიც, რომლისთვისაც 144 მილიონი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა საკმაოდ ბუნდოვან მუხლებშია ჩადებული და მისით მანიპულირება ძალიან ადვილია. ბიუჯეტში უნდა ეწეროს, სად რა თანხა მიდის და რატომ. სამწუხაროდ, 2012 წლის ბიუჯეტში ეს ყველაფერი გაწერილი არ არის. იქ წერია, რომ რაღაც თანხა დაიხარჯება კულტურული ღონისძიებებისთვის, მაგრამ რისთვის – არ ჩანს. რეალურად, ეს არ არის ბიუჯეტი, ეს უფრო ციფრების კორიანტელია“.**

**თამაზ შოშიაშვილი** (ქალაქ თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე): **„ოპოზიციის წარმომადგენლებმა რატომღაც არ მიიღეს მონაწილეობა კენჭისყრასა და ბიუჯეტის განხილვაში. მათ არ წარმოუდგენიათ არც ერთი კონკრეტული წინადადება, რომელსაც ბიუჯეტის განხილვის დროს გავითვალისწინებდით. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათი ბრალდებები სრულიად დაუსაბუთებელია. ბიუჯეტში დიდი ადგილი უჭირავს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებას, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებს, ასევე ეკონომიკურ პროგრამებსაც. ბევრს გვაკრიტიკებენ „სხვა ხარჯების“ გამოც. ოპონენტებს ვეტყვი, რომ დედაქალაქის ბიუჯეტი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით არის შემუშავებული, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები სწორედ ამ სტანდარტებით ხელმძღვანელობენ. ეს არის მაგალითად, FS 2001-ის სტანდარტი. „სხვა ხარჯების“ მუხლი კი მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით მიღებული მუხლი გახლავთ. ეს თანხა თბილისელებს მოხმარდებათ - სახლების გადახურვა იქნება, ლიფტების შეკეთება, თუ სხვა... ბიუჯეტში არ არის არც ერთი დაფარული მუხლი, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამტკიცებენ. იქ მკაფიოდ ჩანს, რომელი პროგრამით რა თანხა დაიხარჯება თბილისისა და თბილისელებისთვის. ჩემი აზრით, ამ 110-გვერდიან დოკუმენტში გათვალისწინებულია ყველა პრობლემა, რომელიც თბილისსა და თბილისელებს აწუხებს“.**

**თემურ ბერიძე** (ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): **„ბიუჯეტი მთავარი საფინანსო გეგმაა, რომელიც დედაქალაქის მომავალი წლის ეკონომიკურ ცხოვრებას უნდა განსაზღვრავდეს. უპირველეს ყოვლის, საკმაოდ მაღალია დედაქალაქის ბიუჯეტის დაფინანსება ცენტრალური ბიუჯეტიდან – დაახლოებით 435 მილიონი ლარი, მთლიანი თანხის დაახლოებით 75%. ეს დიდი ციფრია. რაც მთავარია, ერთია, როგორ შეადგენენ ბიუჯეტს და მეორე, როგორ შეასრულებენ მას. უკეთესი იქნებოდა, ბიუჯეტში ყველაფერი დეტალურად ყოფილიყო გაწერილი და მოსახლეობაც აქტიურად ჩართულიყო მის მიღებასა თუ შესრულებაში“.**

**ხათუნა ჩიგოგიძე**



# ჭეშმარიტება და მხოლოდ ჭეშმარიტება

## ცალკეული სპეციალისტების მიერ ქართველური ენების უგულებელყოფის ცდის — როგორც არამეცნიერული, ანტიეროვნული აქტის — აღკვეთისა და ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ამ ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №146, 147, 148)**

ავტორი (ა. არაბული) ეხება იმას, თუ როგორ აიძულებდა მეოცე საუკუნის **„პოლიტიკური კონიუნქტურა“** ენათმეცნიერებს, აფხაზური ენა გამოეცხადებინათ **„ქართული ენის დიალექტად“** და ასე შემდეგ, და, **„რა განუზომელი ნეგატივი შეიძლებოდა მოჰყოლოდა იმას, რომ ქართველი ენათმეცნიერები აჰყოლოდნენ სხვადასხვა წარმომავლობის შეკვეთილი ჭეშმარიტების მაძიებელთა მუცლითმეზღაპრეობას“.**

ავტორი ეხება იმასაც, **„თუ რა მეხთატეხას ნიშნავდა ქართველოლოგიის განვითარების წლებში შეთითხნილი „მეგრელთა სეპარატიზმის“ ბრალდება“, და, რომ სწორედ „ასეთ მძიმე ვითარებაში იქნა მოპოვებული ქართველოლოგიაში უდიდესი წარმატებები“.**

„და ახლა — აგრძელებს ავტორი — გლობალიზაციის ჩრდილიც კი იმდენად შემაძრწუნებელი აღმოჩნდა, რომ ჩვენს ზოგ კოლეგას წონასწორობა დააკარგვინა და ამ უძვირფასესი, ჭეშმარიტი მემკვიდრეობის რევიზია აფიქრებინა.

აფიქრებინა კი არა, გამოაცხადებინა!

გამოაცხადებინა კი არა, იარლიყებიც გამოაწერინა...

ის ფაქტი, რომ თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ პროცესში მართლაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ენათა და დიალექტთა სტატუსის განსაზღვრა,.. სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგივე საკითხი საეჭვო გავხადოთ მეცნიერების იმ სფეროში, რომელშიც ენათა დიფერენციაციის სურათი მართლაც ობიექტურად დგინდება მეცნიერული ჭეშმარიტი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით...

**აი, ეს, „დაკვირვების ობიექტისადმი“ ამგვარი ორგემაგე დამოკიდებულება, არის მეცნიერების საზღვრებისა და პრინციპების აღრევის კლასიკური ნიმუში“.** (გვ.40).

**პროფესორი ჭაბუკი ქირია: „ღია წერილი მეუფე ანანიას (ჯაფარიძეს):**

„...უბედურება ის კი არ არის (და სულაც არ არის!), ადამიანებს განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდეთ (ცხადია, თუ ამ განსხვავებას რამე არაჯანსაღი კონიუნქტურული სარჩული არა აქვს), არამედ ის, თუ საკუთარი მამულიშვილობის მტკიცება (უკეთეს შემთხვევაში) სხვათა უკიდურესი შეურაცხყოფისა და დამცირების ხარჯზე ხდება.

**ფუტკარაძე-გვანცელაძის „თეორია“, ჩვენი აზრით, გაუმართავია მეცნიერულად და საშიშია იდეოლოგიურად“...**

ავტორი (ჭ. ქირია) ვრცლად ეხება რა საკითხს, მოაქვს თ. გვანცელაძესთან დამოწმებული, პროფ. **ექვთ. თაყაიშვილის** მოგონება პროფ. **ალექსანდრე ცაგარელის** შესახებ:

„ბატონმა ცაგარელმა რომ თავისი „მეგრული ეტიუდები“ გამოაქვეყნა, ჩვენი საზოგადოება, ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, ერთხმად აუმხედრდა და **კინაღამ შეწამეს: მოღალატეა, უნდა მეგრელები ჩამოაშოროს საქართველოსო.** ძალიან ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ააღებინეს ხელი ენათმეცნიერულ მუშაობაზე და მის მერე შეუდგა სიგელების გამოცემას, რასაც ბევრი სხვაც გააკეთებდა უმისოდ“ (გვ. 41-42).

„მახსოვს ერთი საუბარი **ილია ჭავჭავაძესთან...** სადილად ვიყავით **ილია, ნიკო ღოღობერიძე და მე დავით სარაჯიშვილთან. ღოღობერიძემ** დასვა საკითხი: **„რა უნდა ქნას ასეთ შემთხვევაში მეცნიერმა, რასაც მეცნიერული თვალით ხედავს, აღიაროს თუ დამალოსო?“** მე ვთქვი, **„თუკი მეცნიერება რასმე უჩვენებს, როგორ უნდა მოიტყუოს და პოლიტიკა გამოურიოს-მეთქი?“.** ილიამ თქვა: მე არ ვიცი მეცნიერულად როგორია ცაგარელის მოსაზრება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მაგან ძალიან გვავნო, თითქმის ერთიანად ჩამოგვაშორა სამეგრელო, იანოვსკიმ და სხვებმა დაიხვიეს ხელზე და მოთხრა დაგვიპირესო. კარგია, რომ თვითონ აქაურმა ხალხმა არ მიიღო, საღმრთო წერილი რომ გადაუთარგმნეს, ადგნენ და გამოვიდნენ ეკლესიიდან, როცა მეგრულად დაიწყეს წირვაო“.

**„ეს ქართული ტექსტი ბატონ გვანცელაძის აზრით, იმის დასტურია, რომ ილია ჭავჭავაძეს მეგრული ქართულის დიალექტად მიაჩნია“...**

შემდგომ ამისა, ავტორი (ჭ. ქირია) ა. ცაგარელთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტს ასე აფასებს: **„ეს არის ტიპური მაგალითი იმისა, თუ როგორ ჩააჩუმეს და ჩაქოლეს მეცნიერი, რომლის ჭეშმარიტება არავის აინტერესებს“.** ავტორი აგრძელებს:

„ახლა თურმე ისევ შეყრილა საავდრო ღრუბლები, მაგრამ გამხნევდი საქართველოვ — აგერ ფუტკარაძე და გვანცელაძე გადაარჩენენ ქართველთა ერთობას!“

შემდეგ ავტორი (ჭ. ქ.) ეხება თ. გვანცელაძის მიერ ი. გოგებაშვილის, გიულდენშტედტის და სხვათა ასევე ყალბად დამოწმების ფაქტებს. საამისოდ, მოჰყავს მათი გამონათქვამები:

„...მეგრელი იმერელსა და გურულს ისე ძალიან ემსგავსება, რომ ქართლელი და კახელი ამათ ერთმანეთში ძნელად გაარჩევს. მარტო ენით არიან ცოტათი განსხვავებულნი, მაგრამ ეს ენაც ღვიძლი ძმაა ქართულისა ენისა“; „...როგორც მეგრელნი ისე სვანები ქართულს ენას წმინდად შეისწავლიან ხოლმე“... (**ი. გოგებაშვილი,** ბუნების კარი, თბ., 1912).

**„მეგრულისა და ქართულის მიმართება ისეთია, როგორც გერმანულისა და ჰოლანდიურისა“ (გიულდენშტედტი).**

„გიულდენშტედტზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ, საინტერესოა, ბატონი გვანცელაძე და ბატონი ფუტკარაძე რამდენ თვეში დაეუფლნენ ქართულს, რამდენი ხანი სჭირდება კახელს, ქართლელს, რაჭველს, იმერელს და სხვას, რომ „ისწავლოს“ ქართული ენა? თუ მეგრული და სვანური ენები არ არის, მაშ რატომ უწევს მეგრელსა და სვანს ქართული ენის შესწავლა და არ უწევთ ამის გაკეთება დანარჩენ დიალექტზე მეტყველთ?“

„...საინტერესოა ის, რომ ზოგადი სურათი მაინც სწორად დაინახა რუსმა ექიმმა (რომელმაც, სხვათა შორის, არც ქართული იცოდა, არც მეგრული და არც სვანური) და სწორი დასკვნაც გააკეთა, XXI საუკუნის ორმა პროფესორმა ლინგვისტმა კი იმდენი ქნა, რომ ეს დასკვნა პირიქით წაიკითხა“ (გვ. 49-50).

**„საკითხის მეორე მხარე: სვანურსაც და მეგრულსაც ისევე სჭირდება მოვლა და ყურადღება, როგორც ქართულს და მის დიალექტებს“...**

„ვეთანხმებით მართლმადიდებლურ ფორუმში გამოთქმულ ერთ-ერთ შეფასებას, რომ „რადიკალური ქართული პატრიოტიზმი“ (ჩვენ ვიტყოდით, **„აგრესიული ქართული ფსევდოპატრიოტიზმი“ — ჭ. ქ.) უფრო სახიფათოა, ვიდრე სეპარატიზმის რაღაც „გაფაჩუნება“ სამეგრელოში (თუმცა არავითარი სეპარატიზმის ნასახი იქ არაა).** საერთოდ ფორუმის მასალებში კარგად ჩანს ადამიანთა დამოკიდებულება სვანური და, განსაკუთრებით, მეგრული ენების მიმართ. ერთ-ერთი მასალის ავტორის მსგავსად, ჩვენც არ გვესმის **„ზოგიერთი ქართველის პოზიცია, რომლებიც ჩასაფრებული იცდიან და ელოდებიან, რომ ვიღაცამ ხმა ამოიღოს მეგრულ ან სვანურ ენაზე და მერე ქორებივით დააცხრნენ თავიანთი „პატრიოტული ქართული პოზიციიდან“...**

**არ შეიძლება ადამიანების უსაფუძვლოდ დადანაშაულება; არ შეიძლება მეგრელებისა და სვანებისადმი უნდობლობის გამოცხადება და მათ მამულიშვილობაში ეჭვის შეტანა; „ასეთი მიდგომა უკვე აღიზიანებს ადამიანებს, აღიზიანებს იმიტომ, რომ ეს არის რაღაც თავსმოხვეული, თითიდან გამოწოვილი, უაღრესად არააქტიური „პრობლემა“. არ სჭირდება დღევანდელ ჩვენს სახელმწიფოს უაზრო ვნებათაღელვანი, ხელოვნურად ამღვრევა წყლისა და ახალი „მოღალატეების“ გამოგონება“.**

ბოლოს, ავტორი (ჭ. ქ.) აღნიშნავს:. **„საინტერესოა რას იტყვიან ფსევდოპატრიოტული თეორიის ავტორები“ (რომლებიც დაუნდობლად ამათრახებენ და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერებს — არნ. ჩიქობავას, ა. შანიძეს, ვ. თოფურიას და სხვებს იმ ბრალდებით, რომ კრემლის დაკვეთას ასრულებდნენ) ზვიად გამსახურდიაზე, მეცნიერულობას დაუწუნებენ თუ მამულიშვილობას. აი, რას პასუხობს ზვიად გამსახურდია ერთ-ერთ ლექციაზე დასმულ კითხვაზე: რა განსხვავებაა ქართულსა და ქართველურს შორის? ბატონი ზვიადი პასუხობს, რომ ცნება ქართულსა და ქართველურს შორის არის არა არსობრივი, მაგრამ ნიუანსური განსხვავება. „ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივე ისტორიულ საქართველოსთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართები“ არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ეს შეიძლება შევადაროთ სემიტებისა და ებრაელების ურთიერთკავშირს. ქართველური არის რასსიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი, ვიდრე ეროვნული. არის ქართველი ეროვნება და არის ქართველური რასსა, იგივე იაფეტური. აი, სწორედ ის პალეოკავკასიური მოდგმა, იაფეტური მოდგმა, შეიძლება ითქვას, არის უფრო რასსა. როგორც არსებობს სემიტური რასსა, ისე არსებობს იაფეტური რასსაც. ეს იაფეტური რასსა არის ქართველური რასსა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულს ენას ვუწოდებთ. ქართველური ენების გამოყოფა ამ იაფეტური ენიდან მიჩნეულია დაახლოებით მესამე ათასწლეულიდან, როგორც ამას ვხვდებით გამყრელიძე-ივანოვის წიგნში, აგრეთვე ნიკო მარრის შრომებშიც. აქ არ მინდა ამაზე დეტალურად ვისაუბრო, მაგრამ აშკარად არის ის ტენდენცია ტაბუირებისა, მიჩქმალულია ის როლი პროტოქართული სამყაროსი, რომელიც მას ისტორიულად გააჩნდა და რომელზეც არის საუბარი მეცნიერთა მთელ რიგ შრომებში. აქ მიჩქმალულია ეს ყოველივე და ინდო-ევროპული წინა პლანზეა წამოწეული, მაგრამ ამ წიგნის დადებითი მხარე ის არის, რომ იქ ის პერიოდი, როდესაც ქართველური ენის, პროტოქართული ფუძეენის დანაწევრება მოხდა ცალკე ენებად და დიალექტებად, განსაზღვრულია როგორც მესამე ათასწლეული“... (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990, გვ. 290).**

„სხვების არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ამ სიტყვებითაც (სხვა თუ არაფერი) დავიმშვიდებთ თავს. ხოლო ფუტკარაძე-გვანცელაძემ მოიფიქრონ, როგორ შეიძლება „მოთარგმნონ“ თავიანთ ენაზე ბატონი ზვიადის სიტყვები ისე, რომ მათმა საოცრად გამართულმა „თეორიამ“ სიმწყობრე და სილაღე არ დაკარგოს. იმედია, ვერ იტყვიან, რომ 1990 წელს ამას ბატონ ზვიადს კრემლი ათქმევინებდა“.

**პროფესორ იოსტ გიპერტის — ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის — ღია წერილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისადმი:**

„ღრმად პატივცემულო ბატონო რექტორო,

როგორც ახლახან გავიგე, გაზეთ „ახალი თაობის“ 30 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია თქვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთ თანამშრომლის ინტერვიუ სათაურით „აჭარაში ფანატიკური ისლამი იკიდებს ფეხს“, რომელშიც იგი (თეიმურაზ გვანცელაძე) ცდილობს როგორც ჩემი ხელმძღვანელობით განხორციელებული ერთ-ერთი საერთაშორისო პროექტისა და პროექტის მონაწილეების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას, ისე ჩემი, როგორც პიროვნებისა და მეცნიერის შეურაცხყოფას ცილის წამებისა და უსაფუძვლო ბრალდებების გზით, რასაც მე დანაშაულებრივ ქმედებად განვიხილავ“.

შემდგომ ამისა, ავტორი ცალკეული მუხლების სახით (სულ 7 მუხლად) გამოჰყოფს წაყენებულ ცილისწამებებსა და ბრალდებებს და ასაბუთებს მათს სიყალბეს. ამასთან, აღნიშნავს, რომ **„პროექტი მიზნად ისახავს არა იმის შესწავლას, „რა არის მეგრული, ლაზური და სვანური — ენები თუ ქართული ენის განშტოებანი (როგორც ამას ინტერვიუში გვაბრალებენ), რაც დიდი ხანია კარგად არის შესწავლილი როგორც ქართველი ისე უცხოელი ენათმეცნიერების მიერ, არამედ იმის გამოკვლევას, გამოყენების რა სფეროები გააჩნიათ დასახელებულ ენებს“...** „...ინტერვიუში მოხსენიებული „დისკუსიის“ ავტორი მაქსიმუმ სამი პიროვნება გახლავთ, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ცნებებს „ქართული ენა“ და „ქართველური ენები“ შეგნებულად აყალბებენ“ (გვ. 58-59).

ი. გიპერტი დეტალურად ეხება იმას, თუ როგორ უწოდებს თ. გვანცელაძე „სლავისტებს“ (თუმცა მე ქართველოლოგი ვარ და არა სლავისტიო, — აღნიშნავს იქვე) რუსეთის დაზვერვის აგენტს. „ეს გახლავთ უპრეცედენტო შემთხვევა სამეცნიერო დარგის (ამ შემთხვევაში, სლავისტის) საჯარო შეურაცხყოფისა, რომელსაც სამეცნიერო, აკადემიურ წრეებში მაგალითი არ ეძებნება“...

ი. გიპერტი თხოვს უნივერსიტეტის დირექტორს, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება აკადემიური ეთიკის თვალსაზრისით და შეაჩეროს საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის ყოვლად უღირსი ცილისმწამებლური გამოხდომა მათი თანამშრომლის მხრიდან... „ვიდრე აქამდე“, მას შეუძლებლად მიაჩნია მათი „უნივერსიტეტების თანამშრომლობის შესახებ საუბარი“. ბოლოს დასძენს, რომ მოვლენების განვითარების შესაბამისად, უფლებას იტოვებს, თეიმურაზ გვანცელაძის ქმედებას მისცეს სამოქალაქო სამართლის შესაბამისი მსჯელობა“.

**ლ. ეზუგბაია, კ. გაბუნია, ჭ. ქირია: კომენტარი ინტერვიუზე „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუზე პროექტის — „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ შესახებ** (კომენტარის ტექსტი, რომელშიც მხილებულია ინტერვიუში მოცემული ბრალეულობები და ცილისწამებები, აქ არ მოგვაქვს).

**პროფესორი მიხეილ ქურდიანი: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა“ (აკადემიკოს იოსტ გიპერტის (და არა მხოლოდ მისი) სახელისა და ღირსების ცილისწამებათა და ინსინუაციათაგან დასაცავად)“.** (წერილის სათაურის მიხედვით ისედაც გასაგები მასალის ტექსტუალური მონაცემები აქ არ მოგვაქვს).

**პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი: ქართველური ენები და დიალექტები (არატრადიციული პოლემიკა ტრადიციულ თემაზე):**

ავტორი ამ წერილს, რომელსაც ჟურნალში 51 გვერდი უჭირავს, ჰყოფს ცალკეულ ნაწილებად შემდეგი დასათაურებებით: **„აქცევს პოლიტიკა ცრუმეცნიერულ აზრებს მეცნიერულად?“, „საუბედუროდ ისტორია მეორდება“, „გაცნობიერებული ჭეშმარიტება და პროექტი „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ქართულში“, „ორიგინალურობისაკენ სწრაფვა ცრუაღმოჩენათა გზით!...“, „უმაგრებენ თუ არა ილია, აკაკი, იაკობი „სამეულს“ ზურგს?“, „მოწაფეობა მძიმე ტვირთია...“, „არგუმენტირებული?.. მეცნიერული?..“, „ჩვენ სხვა ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები გვაქვს“.**

გ. გოგოლაშვილის წერილის ცალკეული ქვესაკითხების აღნიშნული დასათაურებებიც კი სავსებით ნათლად მეტყველებს მის შინაარსზე. საყურადღებოა, რომ მასალა გაჯერებულია სათანადო მაგალითებით, ციტატებით, მონაცემებით... ერთიცაა, ავტორი „სამეულის“ ნაღვაწის დასახასიათებლად დაუნანებლად იყენებს სათანადო ეპითეტებს, რაც, ზოგჯერ, ადრესატების მიმართ სიბრალულის გრძნობითაც განგაწყობს კაცს, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდგომი მოვლენები ამ სიბრალულს ერთობ გინელებს (ამაზე, ქვემოთ).

მოვიტანთ მხოლოდ ზოგიერთ შეფასებასა და ციტატას აღნიშნული წერილიდან.

ეხება რა თ. გვანცელაძის საგაზეთო ინტერვიუს, გ. გოგოლაშვილი გამოჰყოფს **7 სიცრუეს** (გამოკვეთით: სიცრუე I, სიცრუე II და ა. შ.), და, ბოლოს წერს: „დაგვეთანხმებით: ნახევარგვერდიან საგაზეთო ინტერვიუში ამდენი სიცრუისა და ცილისწამების თავმოყრა რეკორდულია. ამას მოხერხება უნდა და თ. გვანცელაძემ ეს მოახერხა; რას იზამთ, „დიადი მიზანი“ მსხვერპლს მოითხოვს“... (გვ. 95).

სათაურქვეშ, **„ორიგინალობისაკენ სწრაფვა ცრუაღმოჩენათა გზით“,** ავტორი წმინდა ენათმეცნიერული მონაცემების მოხმობით ასკვნის, რომ **ქართული ენებისა და დიალექტების ფუტკარაძისეული დაჯგუფება არის „მხოლოდ გეოგრაფიულ პრინციპებზე (ისიც არასწორად) დაფუძნებული დაჯგუფება“, და იგი „მოკლებულია მეცნიერულ საფუძველს“.**

**მამანტი ძაძამია,**
**პროფესორი, აკადემიკოსი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი



სიტყვისათვის, თუნდაც 1953 წლის 1 მარტს ჩატარებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა მაინც ვერ ჩაივლიდა ზუსტად ისე, როგორც ეს ავტორხანოვს და ზენკოვიჩს აქვთ აღწერილი, იმიტომ, რომ მაშინდელი მრავალრიცხოვანი ცეკას პრეზიდიუმის უმაღლესი და შედარებით დაბალი რგოლების შემადგენლობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა იმას, რაც საბჭოთა კავშირის ამ **"პირუთვნელ მემატიანეებს"** აქვთ აღწერილი! შემთხვევითი კი არ იყო ის ამბავი, რომ თითქმის სტალინის სიკვდილისთანავე – 1953 წლის 6 მარტს ცეკას პრეზიდიუმმა საგრძნობლად **"დაიკლო წონაში"** და 36 ადამიანიდან 10-წევრიან ბიუროდ იქცა. პრეზიდიუმიდან ისევე უბოდიშოდ გამოიყვანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის ოქტომბრის პლენუმზე არჩეული მისი ახალგაზრდა წევრები, როგორც მაგიდის ქვეშიდან გამოჰყავთ თამაშში გართული ონავარი ბავშვები. და ეს, რა თქმა უნდა, არ მომხდარა ბერიას ინიციატივით.

სამაგიეროდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ პრეზიდიუმში შევიდნენ ვიაჩესლავ მოლოტოვი და ანასტას მიქოიანი (ფაქტიურად ეს გახლდათ პარტიული გერონტოკტარიის დამყარების მორიგი, არც თუ მთლად **"უწყინარი"** პრეცედენტი).

უფრო მეტიც! როგორც უკვე ვთქვი, ზენკოვიჩმა, **"გადმოაფრქვია"** რა საკუთარი ვერსიები, წიგნის 193-ე გვერდზე უაპელაციოდ განაცხადა, რომ სტალინის სიკვდილის ვერსიაში ამოუცნობი და გასარკვევია არა ის, რომ იგი უეჭველად მოკლეს, არამედ ის, თუ როგორ მოკლეს იგი.

ზენკოვიჩი გვაუწყებს, რომ 1964 წლის 19 ივლისს, უნგრეთის პარტიულ-სამეურნეო დელეგაციის შესახვედრად გამართულ მიტინგზე ხრუშჩოვმა პირდაპირ განაცხადა, რომ იოსებ სტალინი მოკლული იქნა და აღნიშნა, რომ კაცობრიობის ისტორიამ იცის სხვა უამრავი ტირანი, რომელიც იმ ნაჯახით ეწია სიკვდილს, ხალხის კისერზე რომ ჰქონდა შემართული!..

ესეც ასე!

მაგრამ, ზენკოვიჩი, თავისი მტკიცებულებებით, სტალინის სისხლით უთხვრის ხელს მთელ პოლიტბიუროს, მათ შორის ლავრენტი ბერიასაც, ამტკიცებს რა, რომ დილემად დამდგარი საკითხზე: ვინ უნდა დაიღუპოს – **"ტირანი"** თუ **"ძველი გვარდია"**, პოლიტბიურომ სტალინის მოკვდინებით გასცა პასუხი. და თუ გავიხსენებთ ზენკოვიჩის წიგნის სათაურს, ნათელია, რომ მისი ეს **"კოლექტიური კომპრომატი"** შეიძლება მივაკუთვნოთ მორიგი ცრუმოწმეობისა და ცილისწამების კატეგორიას.

არა, სტალინის ყველა თანამებრძოლს არ აცხია ხელზე მისი სისხლი, ეს **"პატივი"** მხოლოდ ნიკიტა ხრუშჩოვს ერგო წილად. მაგრამ ლაფი, რომლითაც მათ მალე მოთხვარეს სტალინის სახელი, პოლიტბიუროს ყველა წევრს აცხია ხელზე, რა თქმა უნდა, ლავრენტი ბერიას გარდა. ჩვენს მიერ უკვე დამოწმებულმა მწერალმა ქალმა ელენემ პრუდნიკოვამ ბერიას **"სტალინის უკანასკნელი რაინდი"** უწოდა, და მე მსურს ქების სიტყვებით აღვნიშნო მისი ამგვარი ზუსტი შედარება.

თუ, კონკრეტულად როგორ მოკლეს იოსებ სტალინი, მე ახლა ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს. და არც ის არის დიდად საინტერესო, თუ ვინ გასცა მისი მკვლელობის სანქცია.

ჩემის აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია ის, თუ რა მიზეზით დაღუპეს იოსებ სტალინი, რომელსაც, თითქოსდა, საგულდაგულოდ იცავდნენ?

ვფიქრობ, რომ ამ შეკითხვებზე, ნაწილობრივ, პასუხი უკვე გაგვაჩნია, უფრო სწორად, აქ არის საკითხი, რომელზეც შეგვიძლია ვისაუბროთ... მე დავპირდი მკითხველს, რომ შეძლებისდაგვარად გავაცნობდი იმ ადამიანის ვინაობას, ვინც 1953 წელს, სახელმწიფო უშიშროების მინისტრად იგნატიევის მუშაობის პერიოდში ხელმძღვანელობდა პარტიისა და ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაცვის სამმართველოს. ამ უწყებას მაშინ ხელმძღვანელობდა თავად... სემიონ იგნატიევი.

ჯერ კიდევ 1952 წელს სამთავრობო დაცვის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ვლასიკი, რომელიც მანვე დააარსა 1946 წელს. მაგრამ 1952 წლის 23 მაისს ეს უწყება გადაკეთდა უბრალოდ დაცვის სამმართველოდ, ნიკოლოზ ვლასიკი გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან და გადაიყვანეს შსს შრომა-გასწორებითი ბანაკების უფროსის მოადგილედ, სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ ასბესტში (საინტერესოა, რომ იმავე ქალაქში, 1957 წლის ივნისის პლენუმის შემდეგ, ტრესტ **"სოიუზასბესტის"** მმართველად გადაყვანილ იქნა ლაზარ კაგანოვიჩი).

ვლასიკის ნაცვლად კი, უშუალოდ, იოსებ სტალინის დაცვის სადავეები საკუთარ ხელში აიღო იგნატიევმა.

სავარაუდოა, რომ ვლასიკს სპეციალურად **"გაუფუჭეს"** საქმე სტალინთან (გენერალს ისედაც უამრავი ცოდვა აწვა კისერზე, მაგრამ იგი ნამდვილად სტალინის დიდი ერთგული იყო).

1952 წლის 16 დეკემბერს ვლასიკი დააპატიმრეს და დროში საოცრად გაჭიანურებული გამოძიების შემდეგ – 1955 წლის ივნისში 5 წლით მოსკოვიდან გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ უკვე 1956 წელს მას ნასამართლობა მოუხსნეს. მე ვვარაუდობ, რომ ვლასიკმა გამოააშკარავა იგნატიევის ზურგს უკან მდგარი ხალხი, მაგრამ შემდეგ გაურიგდა ხრუშჩოველებს და საკუთარი თავისუფლების საზღაურად მანაც ლაფში ამოთხვარა ლავრენტი ბერიას სახელი.

ვლასიკის სახელი, ასე თუ ისე, ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, რაც შეეხება გენერალ-მაიორ სერგეი თევდორეს ძე კუზმიჩოვს (1908-1989), მისი სახელი მრავალთათვის პრაქტიკულად უცნობია. არა და, სულ ტყუილუბრალოდ... 1946 წელს, სამთავრობო დაცვის მთავარი სამმართველოს ჩამოყალიბებისთანავე, მის პირველ სამმართველოს (სტალინის დაცვას) სათავეში ჩაუდგა სერგეი თევდორეს ძე კუზმიჩოვი. 1948-1949 წლებში იგი გახლდათ სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებული სოჭის კურორტებში – მაცესტაში (სტალინის კურორტზე). 1949-1950 წლებში კუზმიჩოვი კვლავ ინიშნება სამთავრობო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსად, 1950 წელს კი იგი გადაჰყავთ ბრიანსკის ოლქის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1952 წელს მას კიდევ უფრო დაბლი რანგის სამუშაოდ გზავნიან – ინიშნება სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს დუბრავას შრომა-გასწორების კოლონიის უფროსის მოადგილედ. ამრიგად, იგი საერთოდ გამოჰყავთ სსრკ უშიშროების სამინისტროს სისტემიდან.

დაახლოებით ამავე პერიოდში სსრკ უშიშროების სამინისტროს სისტემიდან გამოჰყავთ ვლასიკიც. 1953 წლის იანვარში კი ვლასიკს, ისევე, როგორც კუზმიჩოვს, აპატიმრებენ და საბოლოოდ აძევებენ სტალინის გარემოცვიდან, სადაც იმჟამად მოვლენები ელვისებურად ვითარდებიან.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 1953 წლის მარტში, ჩაიბარა რა სსრკ შსს და უშიშროების სამინისტროები, ბერია სასწრაფოდ ათავისუფლებს პატიმრობიდან კუზმიჩოვს და ნიშნავს მას შსს დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე, რომელსაც ანდობს პარტიისა და მთავრობის მაღალჩინოსნების დაცვას (ამას შემდეგ ბერიას ბრალდებად წაუყენებენ **"ანტიბერიასეულ"** პლენუმზე). ნიშანდობლივია ისიც, რომ ბერიას დაპატიმრების მეორე დღესვე აპატიმრებენ კუზმიჩოვსაც. გაანთავისუფლეს იგი მხოლოდ 1954 წლის თებერვალში, მაგრამ გენერალი საბოლოოდ ამოვარდა აქტიური წიაღსვლებიდან და მშვიდად იცხოვრა 81 წლის ასაკამდე. სავარაუდოა, რომ მას ასე გადაუხადა სამაგიერო პარტიამ და ხელისუფლებამ სიჩუმისათვის. ამიტომ, მე გამიჭირდება ამ სიტუაციის ანალიზი. დარწმუნებით ის შემიძლია ვთქვა: მან კარგად იცოდა, რომ ბერიას წაქცევის შემდეგ საბჭოთა კავშირის წაქცევამდე დიდი დრო აღარ დარჩებოდა.

როცა ამაზე მოგითხრობთ, გაოცებული ვრჩები, იმ **"მკვლევარების"** შეგნებული თუ შეუგნებელი უყურადღებობით, იმ ფაქტის მიმართ, რომ 1946 წლის იანვრიდან ბელადის სიკვდილის დღემდე ბერიას არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა იოსებ სტალინის დაცვასთან და ამ საპატიო საქმეს სულ სხვები ახორციელებდნენ!

ამასთან, 1951 წლის აგვისტოდან სტალინის დაცვა საკუთარ ხელში ჰქონდა აღებული იგნატიევს – პარტოკრატთა პარტიის წარმომადგენელსა და უშუალოდ ხრუშჩოვის ნდობით აღჭურვილ პირს.

ამიტომაა უაზრო შტამპი იმის მტკიცება, რომ ლავრენტი ბერიამ თავისი ხალხის ხელით მოწამლა სტალინი და ა.შ. სტალინს ხომ იგნატიევის ხალხი ეხვია გარს! და სწორედ იგნატიევმა ჩამოაშორა სტალინს ჯერ კუზმიჩოვი, შემდეგ კი ვლასიკი.

და იგივე იგნატიევმა, სტალინის სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, გაუკეთა იზოლირება ამ ორ ადამიანს, მათ, რომლებმაც ძალიან კარგად იცოდნენ ბელადის დაცვის სისტემის ნიუანსები და რომლებიც საიმედოდ იცავდნენ სტალინს. წინააღმდეგ შემთხვევაში კუზმიჩოვი და ვლასიკი პირველები მიაქცევდნენ ყურადღებას სტალინის დაცვაში თავმოყრილ უცხო ადამიანებს და აქ მიმდინარე არაორდინალურ მოვლენებს და შესაბამის კვალიფიცურ შეფასებებს მისცემდნენ აღნიშნულ პროცესებს. ამიტომ იყვნენ, თავისუფლებაზე მყოფნი, ისინი, ხელშემშლელები იგნატიევისა და მისი **"შემკვეთებისათვის"**.

პავლე სუდოპლატოვი იხსენებდა, რომ 1953 წლის თებერვლის მიწურულს, სტალინის სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მან იგნატიევის საქციელში შეამჩნია **"მზარდი თავდაუჯერებლობა"**.

მეტად ფასეული დაკვირვებაა!

იგივე სუდოპლატოვი იხსენებდა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერიამ დააყენა იგნატიევის დაპატიმრების საკითხი, მაგრამ ცეკას პრეზიდიუმის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. პავლე სუდოპლატოვი ბერიას ამ ინიციატივას სსრკ უშიშროების სამინისტროს მიერ ინიცირებულ **"ექიმების საქმეს"** უკავშირებს, რაც მისი საფუძვლიანი შეცდომაა. იოსებ სტალინის მეთვალყურეობით აღძრული ამ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შეჩერება იგნატიევს ნამდვილად არ შეეძლო.

ბერიას კი მისი დაპატიმრება, უეჭველია, სტალინის სიკვდილს გამოძიებასთან დაკავშირებით სურდა. და წამსვე ისეთ მძლავრ წინააღდეგობას წააწყდა, რომ თვით ბერიაც კი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია.

სტალინის სიკვდილს დიდად არ დაუმწუხრებია მისი თანამებრძოლები. მისი სიკვდილი კი ყველაზე მეტად ნიკიტა ხრუშჩოვს სურდა.

ხრუშჩოვი არ შეიძლებოდა ყოფილიყო სტალინის ერთგული რამდენიმე სერიოზული და სავსებით გასაგები მიზეზის გამო.

ყოფილი ტროცკისტი **"ნიკიტუშკა"** (ტროცკიზმი კი სიფილისივით დაავადება იყო – მკურნალობით მისი შეჩერება შეიძლებოდა, საბოლოოდ განკურნება კი – არა) არც შეიძლებოდა სტალინის პარტიის პოლიტიკურად ერთგული მომხრე ყოფილიყო.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე საეჭვოდ გაუჩინარებული შვილის მამას, მას არ შეეძლო ეპატიებინა იოსებ სტალინისათვის ის, რომ ბელადმა დადებითი როლი ვერ ითამაშა მისი საყვარელი შვილის ბედის გადაწყვეტაში. ამის გამო ხრუშჩოვის სტალინისადმი სიძულვილის თაობაზე მწერალ ფელიქს ჩუევს ვიაჩესლავ მოლოტოვმა მოუთხრო, და ამაზე უამრავი რამ დაწერა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-9 სამმართველოს უფროსმა გენერალ-მაიორმა მ.ს. დოკუჩაევმა თავის ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ წიგნში **"მოსკოვი. კრემლი. დაცვა"**.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ხრუშჩოვს კარგად ესმოდა: თუ სტალინი ლავრენტი ბერიას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნავდა, ეს უკანასკნელი სწრაფად შეცვლიდა უსაქმურ პარტოკრატებს თავისნაირი საქმიანი ხალხით. და უკვე, სტალინის სიცოცხლეშივე, ნიკიტა ხრუშჩოვი აშკარად არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

ამიტომ, ჯერ საჭირო იყო სტალინის თავიდან მოშორება – ფიზიკურად, მერე კი უნდა გასწორებოდნენ ბერიას – ჯერ პოლიტიკურად, შემდეგ კი ფიზიკურად. ეს კი ზუსტად პასუხობდა ჩვენს ქვეყანაზე მტრულად **"ჩასაფრებული"** დასავლეთის სამყაროს პოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებს და პირადად ნიკიტა ხრუშჩოვის სულიერ მოთხოვნილებებსაც. ამ გზით კი თანდათან ჩაიფერფლებოდა საბჭოთა კავშირის ის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება, რომელიც რევოლუციამდე **"ქალამნიანმა"** სახელმწიფომ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მოიპოვა.

ამდენად, დიდად ავანტიურისტული გამოხტომა არ იქნება ჩვენის მხრიდან, თუ კი ვიტყვით, რომ ხრუშჩოვი და ხრუშჩოველები სტალინის საწამლავით მოკვლის იდეამდე მიიყვანა და ამ გადაწყვეტილების აღსრულება დააჩქარებინა არა მხოლოდ პანიკაში ჩავარდნილმა **"მეხუთე კოლონამ"**, არამედ ამ საქმეში დიდი როლი ითამაშეს დასავლეთის გავლენის აგენტებმაც, რომლებმაც საამისოდ განაწყეს ხრუშჩოვი და წარმატებით გამოიყენეს იგი საკუთარი მიზნების მისაღწევად.

1937 წელს დიდ ფილოსოფოს და მწერალ ლიონ ფოიხტვანგერთან საუბრისას სტალინმა განაცხადა: **"თქვენ, ებრაელებმა, შექმენით მართლაც უკვდავი და შესანიშნავი ლეგენდა, ლეგენდა იუდაზე"**. სტალინს მაშინ მხედველობაში ჰყავდა კარლ რადეკი, რომელთან მეგობრული ურთიერთობის საკითხებზეც ესაუბრებოდა ბელადი ფოიხტვანგერს. რადეკი წერილობით არწმუნებდა სტალინს საკუთარ უდანაშაულობაში, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ცრუობდა.

**"რამდენად უცნაურად მეჩვენებოდა მაშინ, მე, ამ ჩვეულებისამებრ მშვიდი, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისაგან, ასეთი პათეთიკური სიტყვების მოსმენა"**, – გულახდილად ეუბნებოდა მკითხველებს ეს მართლაც დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი.

მაგრამ ახლა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, სტალინის ამგვარი, უნებურად წამომცდარი აღიარება შეიძლება არც კი გაგვიკვირდეს... დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან იუდას თემა, ასე თუ ისე, მუდამ, სიკვდილამდეც კი თან ახლდა იოსებ ბესარიონის ძე სტალინს.

სიკვდილის შემდგომაც.

და ასე, სათითაოდ, დაჟინებულად, სტალინს უღალატებენ საკუთარი თანამებრძოლები (სიტყვისათვის – ადამიანს ხომ მხოლოდ მისი ის თანამებრძოლები ღალატობენ, რომელთა ერთგულებაშიც ღრმადაა დარწმუნებული). და უღალატებენ ისინი არა მხოლოდ სტალინს, არამედ საკუთარ ძლევამოსილ სამშობლოსაც, რაც იმის ტოლფასია, რომ უღალატო მშობლიურ რუსეთს...

სამწუხაროდ, ღალატის ეს დამღუპველი პროცესი მიმდინარეობს დღესაც!

პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ მრავალეროვანი სამშობლოსათვის არ ეღალატა ყველა დროისა და ყველა ხალხების პარტოკრატიას. იოსებ სტალინის მიერ შემნილი ახალი სამყაროს ჰეროიკულ და გამარჯვებებით გაჯერებულ ფონზე მაშინ არ ჩანდა პარტოკრატიის ფენომენის რუხი ნატურა, რაც სიშავეში გადადიოდა. მაგრამ, პარტოკრატია მაინც ცოცხლობდა და თანდათან უმატებდა კიდეც სიჩქარეს...

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ჭაბუა ამირეჯიბი: განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ მონატრებას, რომელსაც რუსეთში მცხოვრები ჩემი მეგობრების მიმართ გულით დავატარებ...



მისი წარდგენა არც საქართველოში, არც რუსეთში საჭირო არ არის. მისი სახელის გვერდით ნებისმიერი ეპითეტი ზედმეტი და ყალბია... დიდგვაროვან თავადთა გვარის შთამომავალმა 90 წლის განმავლობაში ყველა ქარტეხილი გამოიარა, და 16 წელი გულაგში, საიდანაც სამჯერ გაიქცა... მაგრამ არ გატყდა, სინდისთან გარიგებაზე არ წავიდა – და გაიმარჯვა! ცოცხალმა ლეგენდამ, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა, ცოტა ხნის წინათ ბერად აღკვეცილმა ჭაბუა ამირეჯიბმა, მძიმე სენის მიუხედავად, რომელსაც ამდენი წელია, ვაჟკაცურად ებრძვის, ჩვენთან ურთიერთობისთვის ძალა და დრო მაინც გამონახა.

**ჭაბუა ამირეჯიბი: „საუბრის დასაწყისმა ჩემი შენიშვნები გამოიწვია. პირველი – აუცილებელი არ არის ჩემი პიროვნების მნიშვნელობის გაზვიადება, და მეორე – დავაზუსტებ თქვენს ინფორმირებულობას ჩემი გაქცევების თაობაზე: გულაგიდან ექვსჯერ გავიქეცი, მათ შორის, სამჯერ – ერთსა და იმავე დღეს, 1945 წლის 20 სექტემბერს, თბილისში. პირველი გაქცევა – ეგრეთ წოდებული შამპანკომბინატის კოლონიიდან, მაგრამ ჩელუსკინელების ხიდზე პატრულმა დამაპატიმრა და თბილისის კომენდატურაში გადამიყვანა; მეორე გაქცევა – ცეცხლის ქვეშ, კომენდატურიდან ქალაქ თბილისის მილიციის მეცხრე განყოფილებაში ბადრაგირებისას; მესამე გაქცევა – ამავე განყოფილებიდან. ოთხწელიწადნახევარი „გაქცეული" ვიყავი, მაგრამ 1949 წლის 27 დეკემბერს დამაპატიმრეს და კვლავ დაიწყო „ჩემი გულაგი" დანარჩენი სამი გაქცევითურთ..."**

**– ბატონო ჭაბუა! მსოფლიო სახელის მქონე რომან „დათა თუთაშხიაში" განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ფილოსოფიურ მსჯელობას ადამიანთა რაობაზე, ადამიანური ცნობიერების სტერეოტიპებს. საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლილ სტერეოტიპებში ხომ არ ძევს მიზეზი იმისა, რომ დღეს საქართველოსა და რუსეთის დიალოგი ბაბილონის გოდოლს მოგვაგონებს: თითქოს სხვადასხვა ენაზე ვურთიერთობთ და ერთმანეთისა არ გვესმის?**

– უთუოდ სწორი შეფასებაა! პუტინი იმ ადამიანის ენაზე ლაპარაკობს, რომელმაც საკუთარი ხალხის წინაშე რუსეთის იმპერიის აღდგენის ამოცანა დასახა; სააკაშვილი კი რუსეთის მოწინააღმდეგის – აშშ-ის, ტყვეობაში მყოფი კოსმოპოლიტია. მიხეილ სააკაშვილის ცნობილი მიზანია – გაანადგუროს საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო ქართველი ხალხი ლაქიების ბრბოდ აქციოს, რომელიც უცხოელ ტურისტებს მოემსახურება... მისი ჩანაფიქრით, საქართველოს ტერიტორია ნატოს საკუთრება იქნება და მისი ამოცანა – საქართველოსა და ქართველი ხალხის ლიკვიდაცია – შესრულებული იქნება! ის, ვინც მის საქმიანობას თვალს ადევნებს, სხვაგვარ დასკვნას ვერ გამოიტანს.

**– ბატონო ჭაბუა! თქვენ მუდამ პიროვნების უფლებებისთვის იბრძოდით, რომლებსაც ერის ინტერესებზე მაღლა აყენებდით, მაგრამ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ხელში ყოველივე ეროვნული გლობალიზაციის შემოტევას განიცდის... როგორ ფიქრობთ, განა არ დადგა დრო, როდესაც ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურის შესანარჩუნებლად საჭიროა ცალკეული პიროვნების ინტერესებისა და გლობალიზაციის ზოგიერთი „სიკეთის" მსხვერპლად გაღება?**

– დიახ, მე ყოველთვის ვიბრძოდი პიროვნების უფლებებისთვის, მათ შორის – ერის ინტერესების, მისი კულტურისა და შემდგომი ინტელექტუალური განვითარების დაცვის უფლებისათვის! გლობალიზაცია ერისა და კაცობრიობის მტერია, მას მთელი სიცოცხლე ვებრძოდი და სიკვდილის შემდეგაც შევებრძოლები – იმით, რაც დავწერე!..

რაც შეეხება ეროვნულ თვითმყოფადობას, მწამს, რომ გლობალიზაციასა და კოსმოპოლიტიზმთან ორთაბრძოლაში ის გაიმარჯვებს.

**–„ინტელიგენციისათვის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საუკეთესო საშუალება კონსტრუქციული ოპოზიციაა. არა მარტო იმიტომ, რომ მისთვის ეს სულის ბუნებრივი მდგომარეობაა, არამედ იმიტომაც, რომ ასეთი წინააღმდეგობის გარეშე თვით ყველაზე შესანიშნავი, ყველაზე დემოკრატიული ხელისუფლებაც კი დიქტატურად გადაგვარდება", – ეს თქვენი სიტყვებია ინტერვიუდან, რომელიც „მოსკოვსკიე ნოვოსტის"1992 წლის 21 იანვრის №25-ში დაიბეჭდა. თქვენი აზრით, დღეს საქართველოში რა ურთიერთობაა ინტელიგენციასა და ხელისუფლებას შორის?**

– ინტელიგენციისა და ხელისუფლების ურთიერთობის თექვსმეტი წლის წინათ ჩამოყალიბებული წესი დღესაც სწორად მიმაჩნია, ეს დიქტატურისაკენ მუდმივად არსებულ მიდრეკილებასთან ბრძოლის ერთადერთი საშუალებაა. სწორად მიმაჩნია ქართველი ინტელიგენციის დღევანდელი დამოკიდებულება ხელისუფლებასთან, როგორც გაძარცულისა – მძარცველთან, თანაც აქ მხოლოდ ადამიანთა უფლებებს არ ვგულისხმობ...

**– ცოტა ხნის წინათ – 2011 წლის 18 ნოემბერს – საქინფორმმა, მთელი საქართველოს დარად, 90 წლის იუბილე მოგილოცათ. ამასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ – რა იყო ყველაზე მთავარი ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრებაში? ყველაფერს თავიდან რომ იწყებდეთ, რას გააკეთებდით სხვაგვარად და რას არ შეცვლიდით?**

– ამას მუდმივად მეკითხებიან. გიპასუხებთ: საკუთარი წარსულით კმაყოფილი ვარ, გარდა ერთი სახასიათო მოვლენის – ღრმა მოხუცებულობისა... ვიხსენებ და მწარედ ვნანობ ჩემს მნიშვნელოვან და, თუნდაც, უმნიშვნელო შეცდომებს, სიცოცხლეს თავიდან რომ ვიწყებდე, მათ აღარ გავიმეორებდი...

ამ ინტერვიუს პუბლიკაციის შესაძლებლობას გამოვიყენებ და განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ მონატრებას, რომელსაც რუსეთში მცხოვრები ჩემი მეგობრების მიმართ გულით დავატარებ... აი, ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ბებრულმა მეხსიერებამ შემოინახა: ჟენია ევტუშენკო, ბელა ახმადულინა, ბორის მესერერი, მარლენ კორალოვი, იური როსტი, ანდრეი ბიტოვი, ჟენია პრიმაკოვი... მათთან კიდევ, თუნდაც, ერთხელ შეხვედრაზე ვოცნებობ, ვინც ჯერ კიდევ ცოცხალია, გამუდმებით მათზე ვფიქრობ, მე მათთან ვარ! გალია კორნილოვა მთელ ჩემს მრავალრიცხოვან ოჯახს ახსოვს... უფალმა მომიტევოს, რომ ამ წუთას ყველა ვერ გავიხსენე! თქვენც მაპატიეთ, მეგობრებო...

**P.S. ბატონი ჭაბუა რომ არ დამღალა, დამშვიდობება გადავწყვიტე. შევთანხმდით, რომ საუბარს უახლოეს ხანებში გავაგრძელებდით. მაგრამ წამოსვლისას მან შემდეგი სიტყვები დამიწერა: „თუ აზრობრივი სწორება აუცილებელი იქნება, ამას თქვენ განდობთ". ჭაბუა ამირეჯიბის ამ სიტყვებზე უფრო მაღალი შექება არასოდეს დამიმსახურებია...**

ესაუბრა
**არნო ხიდირბეგიშვილი**

# მითხარი როგორია შენი ტელევიზია და გეტყვი ვინა ხარ შენ

ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის ტელემიმომხილველი ყოველკვირეული **"ექსპრესი"** წერდა: **"შეიძლება ტელევიზია ვაქციოთ სიბრიყვის, სიგიჟის, გამოთაყვანების, გაუხეშების სრულყოფილ იარაღად... ოკეანისგაღმელმა სოციოლოგებმა გამოიგონეს ტერმინი "ვიდიოტი", რომელიც ორი სიტყვისაგან შედგება "ვიდეო" და "იდიოტი", ხოლო ინგლისელებმა – ტერმინი "კრეტინომეტრი"... ზოგიერთთა ხელში კი პირიქით, ტელევიზია ეს არის ინფორმაციისა და კულტურის გავრცელების ძლიერი იარაღი, სიხარულის წყარო, ხალხების დაახლოების საშუალება, სიბერის მოსაწყენი დღეების დამთრგუნველი... ჩვენ შეგვიძლია ცნობილი გამოთქმის პერიფრაზირება და ვთქვათ: "მითხარი, როგორია შენი ტელევიზია და გეტყვი ვინა ხარ შენ!"** (ციტირებულია ა.ვ. კუკარკინის წიგნიდან **"По ту сторону расцвета"**, მოსკოვი, 1981, გვ. 185).

ტელევიზია, ადამიანის ცნობიერებაზე ზემოქმედების ეს მართლაც ზემძლავრი იარაღი, საუბედუროდ, ჩვენი პოლიტიზირებული ტელეჟურნალისტების ხელში ხალხის ზომბირების, გამოთაყვანების საშუალებად იქცა.

შემთხვევითი არ არის ის, რომ გლდანში საცხოვრებელი კორპუსების კედლებზე დღესაც წაიკითხავთ უჩინარი ხელის მიერ რამდენიმე წლის წინ შავი საღებავით დაწერილ სიტყვებს: **"რუსთავი-2 გარყვნილების ბუდე!"**.

უფრო ადრე, კედლებზე წერდნენ: **"ძირს შევარდნაძე!"**.

ეს წარწერებიც დღემდეა შემორჩენილი.

ეს არ არის ერთი კაცის ახირება. ეს არის იმ საზოგადოების აზრი, რომელიც თავის აღშფოთებას, თავის პროტესტს ამგვარი ფორმით გამოხატავს.

ოციოდე წლის წინ, სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების დღიდან საქართველოს ტელევიზია გადაიქცა დეზინფორმაციის გავრცელების, ცილისწამების, ტრაბახის, ცრუ დაპირებების, ხალხის მოტყუების საშუალებად.

კარგად მახსოვს ის ტელეჟურნალისტები, რომლებიც ხმის ტრაგიკული ჟღერადობით, **"აღშფოთებულნი"** ლაპარაკობდნენ დიქტატორ გამსახურდიაზე, ქართული კულტურის მტერზე, რომელიც **"მერსედესით"** დაბრძანდებოდა, **"ჩაუშესკუ-გამსახურდიაზე"**, რომელმაც საქართველოს კუთხეები დააპირისპირა, წამოიწყო ძმათამკვლელი ომი, რომლის ბრძანებით ე.წ. **"ბუნკერში"** სასტიკად აწამებდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, აჩვენებდნენ წამების იარაღს... ლაპარაკობდნენ მეგრელებზე, რომლებიც თურმე ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ ხელისუფლებას მხარს უჭერდნენ გამსახურდიას მეგრული წარმოშობის გამო... ამართლებდნენ ბანდფორმირებების მიერ სამეგრელოს ხუთგზის აოხრებას... ციხიდან გამოშვებულ რეციდივისტებს, მკვლელებს, მძარცველებს გმირებად წარმოაჩენდნენ...

ვხედავ, შენს ტელევიზიას და გეუბნები ვინც ხარ შენ!

როგორც ამბობენ, ყოველ ადამიანში არსებობს სინდისის ხმა, მაგრამ ნუთუ ერთხელ მაინც არ შეაწუხათ ღვთიური წარმოშობის სინდისის ხმამ ეს ჩვენი ტელეჟურნალისტები?

არც არასდროს შეაწუხებთ, რადგან, ეშმაკს არიან მიყიდულნი!

გავიდა წლები. ისტორიას ჩაბარდა შევარდნაძის, ამ **"დიდი"** პოლიტიკოსის მაქებარი ტელევიზია, მაგრამ დარჩა ათასობით მოტყუებული ტელემაყურებელი, ათასობით გამრუდებული ცნობიერება...

დადგა 2003 წელი და საქართველოს ისტორია დაიწყო აქედან – **"ვარდების რევოლუციის"** დაბადებიდან მერვე წელს ტელევიზიაში ატყდა ერთი ვაი-უშველებელი! ნუთუ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა? არა, ძვირფასო მკითხველო! ყველაფერი ლოგიკურად ვითარდება. მსგავსი შობს მსგავსს. შევარდნაძემ ხელისუფლებასთან ერთად **"ნაცებს"** ტელევიზიაც ჩააბარა!

გამოჩნდა ახალი სახეები, ახალი ტელეკომპანიები, არხები... მაგრამ ძველი, გენივით მდგრადი, შინაგანი, არსებითი დარჩა. მისი დევიზია: **"მეფე მოკვდა, გაუმარჯოს მეფეს!"**

**"დიდი"** პოლიტიკოსის ქება-დიდება შეიცვალა **"მიშამაგარიას"** ქება-დიდებით!

ასეთები არიან ჩვენი ტელეჟურნალისტები მარად და მარად, ხოლო ხელმძღვანელნი მათნი ეროსი კიწმარიშვილის სახით **"პოლიტიკური პროსტიტუციები"** და როგორც ერთი გაზეთი წერდა, **"ტელევაჭრებიც"** არიან...

ვხედავ თქვენს ტელევიზიას და გეუბნები ვინც ხარ!

უნდა ითქვას ის, რომ **"ტელევაჭრების"** ხელში საქართველოს ტელევიზიამ ამ რვა წლის მანძილზე **"დახვეწა"**, **"გააუმჯობესა"** მუშაობის სტილი. ტელეწამყვანები თუ დიქტორები სარცხვენელზე ან მკერდზე აფარებული საქაღალდით თვალებდაუხამხამებლად ტექსტს კითხულობენ სხაპასხუპით, სწრაფად... არც პაუზა, არც მძიმე, არც წერტილი... ქართულ ბგერებს უცნაურად გამოთქვამენ... **"სვეტურად"**, ალბათ, ასეთია მოდა... ადგილიდან რაიმე ამბის, მაგალითად თვითმფრინავით ვინმე ჰოლივუდის გეივარსკვლავის ან ზანგი მომღერლის ჩამოსვლას გადმოსცემენ ისე, თითქოს ხუთი კილომეტრი ერბინოთ, ქოშინით, სიტყვების ყლაპვით, ღრმა ჩასუნთქვა-ამოსუნთქვით, თვალებდაქაჩულნი ერთსა და იმავე ფრაზას რამდენჯერმე იმეორებენ...

რა მართალი იყო ბატონი ბიძინა ივანიშვილი, როცა ამ ჟურნალისტ გოგო-ბიჭებს ეუბნებოდა: დამშვიდდით, დაძაბულნი ნუ ხართ, თავისუფლად იგრძებით თავი, კარგი ქართულით იმეტყველეთო.

საქართველოს ტელევიზია დემოკრატიით კეკლუცობს. ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით თითქმის ყოველ დღე უზნეობას აგიტაცია-პროპაგანდას უწევს. **"ცნობადი"** ქალბატონები ტრაბახობენ ვის რამდენი ქმარი ჰყავდა... ტელესტუდიაში სტუმრად იწვევენ პედერასტებსა და ლესბოსელებს, რომლებიც თავიანთ **"გაუსაძლის"** ცხოვრებაზე წუწუნებენ და ტელეწამყვანები უთანაგრძნობენ, გაგებით უდგებიან მათ პრობლემებს, ყველაფერი კი თურმე ქართველი ერის, საზოგადოების ჩამორჩენილობის ბრალი ყოფილა...

ასეთია ტელევიზია და გეუბნებით ვინცა ხართ თქვენ!

საქართველოს ტელევიზია წალეკა ლათინოამერიკულმა ტელესერიალებმა. მე არ ვიცი, თვითონ ამ ქვეყნებში რა წარმატება აქვთ ამ ფილმებს, მაგრამ მათი შემყურე ნორმალური ფსიქიკის ადამიანი თანდათან გამოთაყვანდება.

არამც თუ ქართული ცნობიერებისა და ცხოვრების წესისათვის, არამედ ევროპული კულტურისათვის, ევროპული კინემატოგრაფისთვის, ტელევიზიისთვის ეს ტელეკრეტინობა უცხო და მიუღებელია. სამაგიეროდ, მისაღებია ჩვენი ტელევიზიის მესვეურთათვის, მათ განათლებას და გემოვნებას სავსებით აკმაყოფილებს.

ჩვენს ტელევიზიაში **"ტანცი-მანცია"** გამართული. ქართული სიმღერა, ქართული ცეკვა, ქართული მიხრა-მოხრა შეცვლილია ნეგრო-ამერიკულით. უკანალების უგვანო ქნევა, სქესობრივი აქტის იმიტაცია, ხელებით გენიტალიების ქექვა და წივილ-კივილი!

აი, გონაშვილისა და დები იშხნელების მშობლიური ერის მწარე ხვედრი!

უნიჭობა, უვიცობა და არაპროფესიონალიზმი! აქედან გამომდინარე, ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე უსიტყვო მორჩილება, არაობიექტურობა, ფშუტე თავთავივით ყელყელაობა, სნობისათვის დამახასიათებელი ყოველივე უცხოურისადმი ბრმა თაყვანისცემა, მაიმუნისებრი მიმბაძველობა!

სამწუხაროდ, ასეთად ვხედავ ჩვენს ტელევიზიაში დასაქმებულთ!

ძვირფასო მკითხველო! არ გეგონოთ რომ მე ჩასაფრებული კაცი ვარ და მხოლოდ ცუდსა ვხედავ. ვხედავ კარგსაც, მაგრამ მე ცუდზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ეს ცუდი ტელევიზიის საშუალებით, განსაკუთრებით **"ახალი წელთაღრიცხვით"** 2003 წლიდან, ახდენს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის ზომბირებას, იწვევს ეროვნული ცნობიერების გამრუდებას, ტრადიციების დავიწყებას, ეროვნულ ღირებულებათა, ზოგადად ზნეობრივ ღირებულებათა დევალვაციას, ამერიკანიზაციას!

სამწუხაროდ, ის კარგი რაც არის, იმასაც ებრძვიან!

მხედველობაში მაქვს ტელეკომპანია **"მაესტრო"**, რომელიც შეძლებისდაგვარად ობიექტურად აშუქებს მოვლენებს და მისი დახურვა ხელისუფლების წისქვილზე წყალს დაასხავს.

ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ თავისუფალი, ობიექტური, არაპოლიტიზირებული ტელევიზიისათვის.

**თენგიზ კუბლაშვილი**

**P.S.** ამ წერილს ვამთავრებდი, როცა ტელევიზიის საშუალებით შევიტყვე ფრიად საინტერესო, ბარონ მიუნჰაუზენის სადარი ფანტასმაგორია ქალაქ ლაზიკის აშენების შესახებ. ვაუ! (ამერიკულად ერთხელ მაინც მეც შევძახებ). რას არ გაიგონებ ამ ჯადოსნური ყუთიდან, ტელევიზორი რომ ჰქვია! მოდი და ნუ დაუჯერებ საფრანგეთის ყოველკვირეულ ტელემიმომხილველ **"ექსპრესს"**, რომელმაც ტელევიზიის შესახებ ასეთი რამ თქვა: **"მითხარი, როგორია შენი ტელევიზია და გეტყვი ვინა ხარ შენ!"**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უგულავას მორიგი შეტევა გაზეთების წინააღმდეგ - თბილისში აღარ დარჩება ადგილი, სადაც შეიძლება, გაზეთი გაიყიდოს

თბილისის მერიის მიერ ქალაქში სავაჭრო ჯიხურების განთავსების უფლებასთან დაკავშირებით გამოცხადებული აუქციონის შედეგად დედაქალაქში უკვე არსებულ პრესის გამავრცელებელ ჯიხურებს დახურვის საფრთხე ემუქრებათ. მერიის მიერ გამოცხადებული აუქციონი ძირითად შემთხვევაში სწორედ იმ ადგილებზეა, სადაც უკვე დგას პრესის გამავრცელებელი ჯიხურები. როგორც **„პლანეტა ფორტეს"** დირექტორი მერაბ ჩანჩალაშვილი აცხადებს, მას უკვე დაუკავშირდნენ დედაქალაქის ზედამხედველობის სამსახურიდან და არსებული ჯიხურების აღება მოსთხოვეს. ჟურნალისტები შეეცადნენ, მიმდინარე პროცესზე მერიის წარმომადგენლების კომენტარი მოეპოვებინათ, მაგრამ მერიაში ამისთვის ვერ მოიცალეს.

მერიის ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი თამარ დვალი დაგვპირდა, რომ გაარკვევდა დეტალებს და კომენტარს გააკეთებდა, თუმცა, მან მოგვიანებით ტელეფონს აღარ უპასუხა.

ხოლო როგორც მერიის პრესსამსახურში განგვიცხადეს, ის თათბირზე იმყოფებოდა და ვერ გვიპასუხებდა. პრესის ასოციაციის თავმჯდომარე ლაშა ტუღუში აცხადებს, რომ მერიის მიერ გამოცხადებული აუქციონი, იმ ადგილებზე, სადაც პრესის გამავრცელებელი ჯიხურები დგას, რეალურად პრესის გავრცელებას სერიოზულ პრობლემებს უქმნის და შესაძლოა, ძალიან მალე ქალაქში პრესის გავრცელება შეუძლებელი გახდეს.

პრესის გამავრცელებელი კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი აუქციონში მონაწილეობას მიიღებენ და უკვე გამართულ აუქციონებშიც იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა ეს მარცხით დასრულდა, რადგან ძნელია, პრესის გამავრცელებელმა კომპანიამ კვების და სასმელების გამავრცელებელ კომპანიას გაუწიოს ფინანსური კონკურენცია და რამდენის გადახდასაც ისინი შეძლებენ, იმდენის გადახდა მოახერხოს.

შპს **„პლანეტა ფორტეს"** დირექტორი მერაბ ჩანჩალაშვილი აცხადებს, რომ თუ პროცესი არ შეჩერდა, რეალურად ყველა პრესის გამავრცელებელ ორგანიზაციას დახურვა მოუწევს.

მაგალითისთვის – მერიის მიერ გამოცხადებული აუქციონი ეხება ისეთ ადგილებს, სადაც **„პლანეტა ფორტეს"**, კომპანია **„მაცნეს"** და შპს **„ელვასერვისის"** ჯიხურები დგას.

მაგალითად აუქციონი 70, ლოტი 41, მისამართი პეკინის გამზირი 2, ასევე აუქციონი 70 ლოტი 43, მისამართი სოფელი დიღომი, ჩალიპირები, ეს ის ადგილებია, სადაც მერიამ აუქციონი გამოაცხადა, რეალურად კი აქ შპს **„მაცნეს"** ჯიხურები წლებია, დგას.

ასევე ასეთი ადგილებია: აუქციონი 75 – ლოტი 28, მისამართი ნუცუბიძის მე-4 მჰრ 36ი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, ასევე აუქციონი 75 ლოტი 48, მისამართი დოლიძის ქუჩის დასაწყისი, ეს ის ადგილებია, სადაც შპს **„ელვასერვისის"** ჯიხურები დგას და მათ ამ აუქციონის შედეგად აღება და სანაგვეზე მოსროლა მოუწევთ.

**„დაგვირეკს და ზეპირი დავალების საფუძველზე გვითხრეს, რომ ჯიხურები ავიღოთ, ამაზე უარს ვამბობთ და მოვითხოვთ ოფიცილურ საბუთს მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან. სწორედ ამ სამსახურიდან დარეკეს, აიღეთ ჯიხურებიო. ჩვენ ვუთხარით, მოეწოდებინათ ოფიციალური საბუთები. ეს საბუთები გვჭირდება თუნდაც იმაში, რომ ამის მიხედვით ვიმოქმედოთ ან გავასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება შემდეგ. ჯიხურების აღებას ითხოვენ თითქმის ყველა უბნიდან, სადაც კი გვაქვს, ისანში, სამგორში, გლდანში, საბურთალოზე, დიღომში და ა.შ. ფაქტობრივად, მთელი ქალაქიდან მოითხოვენ ჯიხურების აღებას. დღეს, რომ ამ მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ ხვალ და ზეგ სხვა, გარეუბნებიდანაც იგივეს მოითხოვენ.**

**მე როგორც ვნახე მათი აუქციონები, ზუსტად იმ ადგილებზეა გამოცხადებული, სადაც ჩვენი, მაცნეს და სხვა, პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციების ჯიხურები დგას, წლებია. დღეს კი გვირეკავენ და ჯიხურების აღებას გვთხოვენ.**

**ამ აუქციონების გამოცხადებით გვემუქრება ძალიან დიდი საფრთხე, რომ ძალიან მალე დავიხურებით. ჩვენ ერთ აუქციონში უკვე მივიღეთ მონაწილეობა, მაგრამ ძალიან დიდი მარცხი ვიწვნიეთ, რადგან ამ აუქციონში იმხელა თანხებია გადასახდელი, რომელსაც პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციები ვერ გავწვდებით. მოგეხსენებათ, რომ პრესა არ არის მომგებიანი ბიზნესი, შესაბამისად, 10.000-ებს ჩვენ ფიზიკურად ვერ გადავიხდით. დღესაც კი გვაქვს ძალიან ბევრი ობიექტი, რომელიც დოტაციაზე მუშაობს, მაგრამ გამომდინარე იქედან, რომ პრესის გავრცელება აუცილებელია, ჩვენ ამას ვარეგულირებთ სხვა ადგილებით და არ ვხურავთ ასეთ დოტაციაზე მომუშავე ჯიხურებს.**

**რეალურად მერიამ გამოაცხადა აუქციონი ზუსტად იმ ადგილებზე, სადაც ჩვენი ჯიხურები დგას, როცა შეეძლო, ამ ჯიხურებიდან 10-15 მეტრში გამოეცხადებინა აუქციონი. არა, პირიქით ზუსტად ჩვენს ადგილებზე აცხადებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არსებობას ვეღარ შევძლებთ. პრესის გავრცელებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. ჩვენ ვაპირებთ მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრას და თუ ამ შეხვედრაზეც არაფერი გამოვიდა, ჩათვალეთ, რომ დავიხურებით და ვეღარ მივაწვდით საზოგადოებას პრესას",** – განაცხადა შპს **„პლანეტა ფორტეს"** დირექტორმა მერაბ ჩანჩალაშვილმა.

პრესის ასოციაციის თავმჯდომარე ლაშა ტუღუში ხედავს საფრთხეს, რომ თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა და არსებული ჯიხურების აღება მოითხოვა მერიამ, ძალიან მალე ქალაქში პრესის ყიდვა შეუძლებელი გახდება.

**ლაშა ტუღუში**: თუ ასე გააგრძელეს, საბოლოო ჯამში ჩვენ მივალთ იქამდე, რომ ქალაქში გაზეთის გაყიდვა გახდება პრობლემა. უბრალოდ, აღარ დარჩება ადგილი, სადაც შეიძლება გაზეთი გაიყიდოს, ეს პრობლემა დიდი ხანია, დგას. სამწუხაროდ, პერიოდულად ხელისუფლება იწყებს ისეთ პროცესებს, რომელსაც პრესის გავრცელებისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია. ეს არის მედიის და სიტყვის თავისუფლების ნგრევისკენ მიმართული პროცესი. პროცესი არის მუდმივი ხასიათის. ფაქტია, რომ ამდენი ხანია, ერთი და იგივე პრობლემების წინაშე ვდგავართ.

ვერაფრით ვერ მოხერხდა მათთან საერთო ენის გამონახვა, ბევრი ფორმა შევთავაზეთ, მაგრამ მერიასთან შეთანხმება არ ხდება. ვთავაზობთ, მათი წესებით მოხდეს ცვლილებები, თუ დიზაინი არ მოსწონთ, დიზაინს შევცვლით, თუ გადასახადია გადასახდელი, გადასახადს გადავიხდი. მერიის მხრიდან კი მხოლოდ დაპირებები ან სიჩუმეა. შედეგი არის ის, რომ ყოველდღიურად ავიწროებენ პრესის გავრცელების ორგანიზაციებს.

პრესა სადღაც ხომ უნდა გაიყიდოს? ადრე იყო, რომ აყარეს ეს ჯიხურები და დადგეს თავისი გაურკვეველი ჯიხურები. ახლა გამოაცხადეს აუქციონი და მაინც და მაინც სადაც გაზეთი იყიდება, ყველგან კვების ობიექტები უნდათ, გახსნან. ადრე სადაც იყო მეტროებში სტენდები, გაყარეს ეს ხალხი, სადღაც ისეთ ადგილებში გადაიყვანეს, სადაც ვერავინ ვერ მიაგნებს. რა უნდათ, ვერ გავიგეთ. მაშინ პირდაპირ თქვან, რომ აღარ უნდათ პრესის გავრცელება, მიიღოს კანონი პარლამენტმა, რომ კრძალავენ პრესის გავრცელებას და გასაგები იქნება ყველაფერი.

თბილისის მერიას ვთავაზობთ, გავაგრძელოთ მოლაპარაკება, მაგრამ თავს არიდებენ. დავდიოდით ქალაქის ხელმძღვანელობასთან, ქალაქის პრემიერთან, ვთავაზობდით წინადადებებს, ერთი შევთავაზეთ, არ წამოვიდნენ, მეორე შევთავაზეთ – არ წამოვიდნენ. შეხვედრებზეც კი არ მოდიან. დაგვინიშნეს შეხვედრა და არ მოვიდნენ, მეორედ დაგვინიშნეს, კიდევ არ მოვიდნენ, პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი, ამბობენ, განვიხილავთ, განვიხილავთო და ვერ დაადგა საშველი. ვთავაზობთ იმას, რომ იყოს ნორმალური, ცივილური ვითარება. ხომ არ შეიძლება, გაუთავებლად, რამდენჯერ ვინმეს მოუნდება, რომ გაზეთის მაგივრად ხინკალი გაყიდოს, აიღოს გაზეთის გამავრცელებელი ჯიხური და გაყიდოს ხინკალი?

კი, ბატონო, გაყიდონ ეს ხინკალი, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი ადგილი აქვს? ხომ არ შეიძლება, რომ ყველგან ხინკალი იყიდებოდეს და ყველგან კვების ობიექტები იყო. ხომ არ შეიძლება ქართული საზოგადოება ხინკლის მჭამელ საზოგადოებად გადავაქციოთ, ხომ აქვს არსებობის უფლება პრესას, ჟურნალს, წიგნს? წიგნი გააგდეს, გაზეთი არ უნდათ, ჟურნალი არ უნდათ, რა უნდათ, ვერ გავიგე ნამდვილად.

**– მერიამ გამოაცხადა აუქციონი, ამ აუქციონში მონაწილეობა შეუძლია, მიიღონ პრესის გამავრცელებელმა ორგანიზაციებმაც. რატომ არ არის ეს თქვენთვის მისაღები, ფინანსურად ვერ გაწვდებიან პრესის გამავრცელებელი ორგანიზაციები ამას თუ რა არ მოგწონთ? მერია ამ შემთხვევაში, როგორც ამბობენ, ყველას აყენებს თანაბარ პირობებში და ყველას შეუძლია აუქციონში მონაწილეობის მიღება, თქვენ რა საფრთხეებს ხედავთ აქ?**

– არ არის ყველა თანაბარ პირობებში. რა აუქციონზეა საუბარი იმ ადგილებზე, უკვე დგას ჯიხურები? ეს ხომ არ არის ცარიელი ადგილები, რომ აუქციონი გამოაცხადონ? ჯერ ერთი, ცარიელ ადგილებზეც სწორი იქნებოდა, რომ გამოიყოს ტერიტორია, სადაც მხოლოდ პრესის გაყიდვა იქნებოდა შესაძლებელი, რაც არის განსხვავებული პროდუქტი. ხომ არ შეიძლება მთელი ქალაქი კვების ობიექტებად ვაქციოთ? ადამიანებს ხომ აქვთ უფლება, რომ წაიკითხონ? თუ არ გვაქვს ამის უფლება, მაშინ გვითხრან პირდაპირ.

ჩვენ ახლა ვსაუბრობთ იმ ობიექტებზე, რომლებიც წლებია, არსებობს, აქ ადამიანები მუშაობენ. ამაზეა საუბარი. არ აგრძელებენ შეთანხმებას, არ უნდათ არაფერზე საუბარი, ჰაერში ჩამოკიდეს მთელი მედია და პრესის გავრცელება, მუდმივად გვაქვს ეს პრობლემები.

**– თქვენ ხედავთ საფრთხეს, რომ პრესის გავრცელება პრობლემა გახდება თბილისში?**

– აქ საუბარია არსებულ ჯიხურებზე, ვიმეორებ არსებულზე. ჩვენ ახლა უნდა ავიღოთ ეს ჯიხურები, რომელიც რამდენიმე წელია, არსებობს და ახლიდან ჩავატაროთ აუქციონი. რას ნიშნავს ეს? არსებული ჯიხურის ადგილზე შეიძლება ვიღაცა მოვიდეს და თქვას, მე მინდა, აქ ბანკი გავხსნაო. გასაგებია, რომ საბანკო ბიზნესი უფრო მომგებიანია, მაგრამ ასე შეიძლება, ნებისმიერ ადგილზე აიღო ჯიხური და გახსნა სხვა, უფრო მომგებიანი ბიზნესი. მაგ ლოგიკით შეიძლება, მივიდეს ვიღაცა მერიაში და თქვას, რომ მერიის ადგილზე გააკეთებენ უფრო მომგებიან ბიზნესს, ამიტომ უნდა დაანგრიონ მერია და იქ რამე სხვა უნდა გახსნან. მშვენიერი პრესტიჟული ადგილია, საბურთალოა. ამ ლოგიკით ყველაფერი შესაძლებელია, თუკი მეტი ფულის გადახდაზე ვისაუბრებთ.

ადგილების მეტი რა არის თბილისში? გამოაცხადონ სხვა ადგილებზე აუქციონი და ეს იქნება თანაბარი პირობები. უკვე არსებულის აღება და მტკვარში გადაყრა ნამდვილად არ არის თანაბარ პირობებში ჩაყენება. ასე ხომ არ შეიძლება? რა საზომით უდგებიან გაუგებარია ჩვენთვის ეს ყველაფერი. საბოლოოდ ყველაფერი იქეთ მიდის, რომ პრესის გავრცელება ამ ქალაქში შეუძლებელი გახდება.

შეგახსენებთ, რომ **„რეზონანსმა"** აუქციონის ჩატარებამდე 2 კვირით ადრე საბურთალოს რაიონში, ბულაჩაურის და იოსებიძის ქუჩების გადაკვეთაზე, 2 ნოემბერს, დილით, ახალი ჯიხური უკვე აღმოაჩინა სწორედ იმ დიზაინით, რომელიც მერიის ვებ-გვერდზეა განთავსებული და სწორედ იმ ლოტზე, რომელიც ასევე მერიის მიერაა გამოცხადებული. ახალი დიზაინის ჯიხური ეკუთვნის 28 ლოტს, ეს გახლავთ აუქციონი 65, რომელიც 16 ნოემბერს უნდა ჩატარდეს. თავდაპირველად მერიაში ამას უარყოფდნენ, თუმცა მოგვიანებით აღიარეს და **„რეზონანსს"** ამ შეცდომის აღმოჩენისთვის და დახმარებისთვის მადლობაც გადაუხადეს. ახლა საინტერესოა, რა ბედი ელის არსებულ პრესის გამავრცელებელ ჯიხურებს. იმედია, მერიაში ამ საკითხზე პასუხის გაცემისთვის შესაბამისი პირები მოიცლიან.

**ლანა ბერიძე**

## პრეზიდენტმა ებრაელი ბიზნესმენები შეიწყალა

როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ისრაელის მთავრობისა და პირადად ისრაელის პრეზიდენტის თხოვნის საფუძველზე, ასევე, ჰუმანური მოსაზრებებით, მიიღო გადაწყვეტილება, შეეწყალებინა ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი.

**„ეს გადაწყვეტილება მიღებული იყო, ასევე, ჰუმანური მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, თუ რა ასაკის არიან დაკავებულები და როგორია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა",** – განაცხადა მანჯგალაძემ.

შეგახსენებთ, რომ ებრაელი მსხვილი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი 2010 წლის ოქტომბერში საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დააკავეს. რონი ფუქსს – 6,5 წლით, ზეევ ფრენკელს კი 7 წლით პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი.

მაშინ, რატომღაც, ხელისუფლებიდან არავის გახსენებია, რომ უცხოელი ბიზნესმენების საკმაოდ უსაფუძვლოდ დაპატიმრება და გასამართლება სწორედ **„ჰუმანური მოსაზრებით"** არ იყო გამართლებული და დადებით იმიჯს ნამდვილად ვერ შეუქმნიდა საერთაშორისო არენაზე ისედაც ავტორიტეტშერყეულ საქართველოს, სადაც ინვესტორთა რიცხვი, ხელისუფლების გაუმართლებელი **„იშკილების"** გამო, კატასტროფულად იკლებს!

სინამდვილეში კი სააკაშვილმა ებრაელები მხოლოდ მას შემდეგ გაანთავისუფლა, რაც მათი სამართლიანი პრეტენზიები შეარბილებინა და მხოლოდ მათი კუთვნილი თანხის ნაწილს დააჯერა.

ამავე დროს, როგორც ჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ დაირხა ხმები ებრაელი პატიმრების რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფის თაობაზე, რადგან, ბუნებრივია, რომ ციხეში გამწესებულ ებრაელ პატიმრებს სპეციალურად ქაშერის საჭმელს არავინ მოუმზადებდა და ისინიც, ალბათ, იძულებული იქნებოდნენ, სხვა პატიმრებთან ერთად დასჯერებოდნენ ღორის ხორცს. მოკლედ, როგორც არსენა ყაჩაღი იტყოდა: **„ძალით გაჭმევ ღორის ხორცსა, კისერში ჩაგასხამ წვენსა..."**

ახლა კი თავს იწონებს საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანი და აცხადებს, რომ ლონდონის სასამართლოს დადგენილებით ქვეყანამ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაზოგაო, მაგრამ რამდენს წააგებს საქართველო ებრაელ ბიზნესმენებზე ძალაობით და მათი უკანონოდ დაპატიმრებით, ამაზე ხელისუფალნი რატომღაც არაფერს ამბობენ. მაგრამ ფაქტია, რომ უცხოელი ინვესტორები ამგვარ **„ეშმაკობებს"** არ შეგვარჩენენ.

როგორც ამ შემთხვევაზე იტყვიან: **"სომეხმა კიდევ ერთხელ გადააგდო ებრაელი"!**



# ხელისუფლებამ ეკლესიას ანგარიში გაუსწორა და ეს ევროსაბჭოს მოთხოვნათა შლეიფში შეფუთა

**გასულ კვირას მართლმადიდებელი მრევლისა და სახელმწიფოს დავა ზოგიერთი რელიგიური კონფესიისთვის საჯარო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსის მინიჭების თაობაზე „მორიგებით“ დასრულდა. პარლამენტმა სამოქალაქო კოდექსში შეტანილ საკანონმდებლო ცვლილებას დაურთო „განმარტებითი ბარათი“, სადაც, იურისტებისა და ექსპერტების განცხადებით, იგივე განმარტებებია მოცემული, რომელთაც ისედაც ითვალისწინებდა საკონსტიტუციო შეთანხმება. გვესაუბრება საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ცაცანაშვილი, რომელიც თავის დროზე თავად იყო საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმების ერთ-ერთი ავტორი.**

– მართლმადიდებლური ეკლესია უკვე რვა წელიწადია რეგისტრირებულიც არის და აღიარებულიც. თავად ვიყავი 2002 წლის საკონსტიტუციო შეთანხმების ერთ-ერთი ავტორი და კარგად ვხვდები, რომ ამ პირველი პუნქტით საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი დააკნინეს – მას სხვა რელიგიური კონფესიების მსგავსად მისცეს საჯარო სამართლის იურიდიულ სუბიექტად **„დარეგისტრირების“** უფლება.



საკონსტიტუციო შეთანხმება 12 მუხლისაგან შედგება და ამბობს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული როლი აქვს. ამიტომაც სახელმწიფო და ეკლესია შეთანხმდნენ, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის სუბიექტია და გამოყოფილია სახელმწიფოსგან.

**– იგივეა ნათქვამი პარლამენტართა „განმარტებით ბარათში“.**

– ჩემთვის, როგორც იურისტისთვის, გაუგებარია, **„განმარტებით ბარათს“** რა ნორმატიული აქტის სახე აქვს? ეს არის აბსურდული **„განმარტებითი ბარათი“,** სადაც იგივე წერია, რაც ისედაც არის განსაზღვრული საკონსტიტუციო შეთანხმებით.

**– და მაინც, რას აძლევს ეს საკანონმდებლო ცვლილება სხვა რელიგიურ კონფესიებს ისეთს, რაც აქამდე არ ჰქონდათ?**

– არაფერს აძლევს, გარდა მიშას საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა!.. ვფიქრობ, კანონს დართული უნდა ჰქონოდა განმარტებები, რაც მათ რელიგიური უფლებებისა თუ თავისუფლების რეალიზებაში მიეხმარებოდა. სწორედ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო მართლმადიდებელ ეკლესიასთან მოლაპარაკებით, სადაც სამართლის საკითხებში პროფესიონალი ექსპერტებიც იქნებოდნენ ჩართული. არც მართლმადიდებელი ეკლესია იყო ამის წინააღმდეგი, მაგრამ პარლამენტმა დაჩქარებული წესით, საქართველოს პატრიარქის აზრის გაუთვალისწინებლად, მიიღო რელიგიური უმცირესობებისთვის კანონი.

იაკობ გოგებაშვილი რად აქებდა გრიგორიანულ ეკლესიას? ის ამბობდა, გრიგორიანელები უფრთხილდებიან თავიანთ რელიგიას, ხალხის, მრევლისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება განაპირობებს მათი ეკლესიისა და პირველი პირისადმი ამგვარ დამოკიდებულებასო. აქედან გამომდინარე, თუ სომხეთის სახელმწიფოს მეთაურს ამგვარ მაღალ რანგში აჰყავს თავისი რელიგიური ლიდერი, მეც მაქვს პრეტენზია, ჩემს სახელმწიფოშიც სცემდნენ პატივს პატრიარქს. საქართველოს პარლამენტმა კი ჩვენს პატრიარქს გზა მოუჭრა სომხეთის პატრიარქთან მოლაპარაკებისკენ, რათა ქართულ ეკლესიასაც სომხეთში იგივე სტატუსი ჰქონოდა, რაც მათ საქართველოში მოითხოვეს. რა დისკრიმინაციაზეა ლაპარაკი, თუკი რასაც შენგან ითხოვენ, იმავეს ითხოვ სხვისგანაც?! პატრიარქი ამბობს, დავსხდეთ, განვიხილოთ ეს საკითხიო და ეს გულისხმობს იმასაც, რომ სამართლებრივად უნდა გაიმართოს პუნქტები და დეტალები, თუ როგორ, რა წესით უნდა დარეგისტრირდეს ესა თუ ის რელიგიური კონფესია, რომ დაცულ იქნეს ჩვენი ეროვნული იდენტურობა და განისაზღვროს პირობები თუ პრიორიტეტები.

ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში არსებობს საკანონმდებლო განმარტებები, თუ რომელ რელიგიებს მიანიჭონ საჯარო სამართლის იურიდიული სუბიექტის სტატუსი. განმარტებები მიანიშნებს, რომ პრიორიტეტი ენიჭება ტრადიციულ რელიგიურ მიმდინარეობებს ან იმ რელიგიურ მიმდინარეობებს, რომლებსაც მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავთ. ასე რომ, განმარტებების გარეშე მსგავს საკითხებს ხელაღებით ევროსაბჭოს წევრ დიდ ქვეყნებში არ წყვეტენ. ევროპაში, სადაც ზოგან კათოლიციზმი დომინირებს, ზოგან – ლუთერანობა ან პროტესტანტიზმი, სხვადასხვა ქვეყნის იდენტურობისთვის დამახასიათებელი ვითარებანი გაითვალისწინა, ჩვენ კი მისი მოთხოვნები გავაფართოეთ და აბსურდამდე მივედით. პატარა საქართველოს ხელისუფლება ბუნდოვანი კანონით ხელს უწყობს ისეთი რჯულის მისიონერობასაც კი, რომელიც არ არსებობდა საქართველოში. კანონის ბუნდოვანება ნებისმიერ კონფენსიას საშუალებას აძლევს, გააპროტესტოს არსებული ვითარება, თუკი სხვა რელიგიური მიმდინარეობები სარგებლობენ სტატუსით, ჩვენ რატომ არ შეიძლება გვქონდეს იგივე უფლებაო?

ევროპა რწმენის თავისუფლებას აღიარებს, მაგრამ არ შეურაცხყოფს სხვათა ღირსებას, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი კი შეურაცხყოფილია. ასევე მეორე უკიდურესობაა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების მოთხოვნა. ამის თაობაზე საპატრიარქომაც გამოთქვა მოსაზრება და თანახმაა, შესრულებულ იქნეს ევროკავშირის მოთხოვნა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამიჯვნის თაობაზე.

მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროს ეკლესიის პირველ პირს ნიშნავს პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური ან მისი წარმომადგენელი. ჩვენ გვგონია, ეს მაღალი სტატუსია, სინამდვილეში კი პირიქითაა – ეკლესია სახელმწიფოს პირველ პირზე დაქვემდებარებული ხდება. ეკლესიას პარლამენტში თავისი დეპუტატები შეჰყავს და სახელმწიფოს სტრუქტურულ ერთეულად მოიაზრება.

ვიმეორებ: ევროსაბჭო სხვადასხვა ქვეყანას ტოლერანტობის დაცვას იმიტომ მოუწოდებს, რომ რელიგიური აფეთქებები გამოირიცხოს. კავკასიაში კი არაერთხელ მოხდა **„რელიგიური აფეთქების“** პროვოცირება. ერთხელ კიბერსივრცეში გავრცელდა საქართველოს პატრიარქის ისეთი განცხადება, რომელიც სინამდვილეში არ უთქვამს და რაც აზერბაიჯანის რელიგიურ ლიდერთან აპირისპირებდა. მაშინ მეზობელი ქვეყნების სულიერმა ლიდერებმა თავად გაარკვიეს ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ დეზინფორმაცია ერთ-ერთი ქვეყნიდან (თუ არ ვცდები, ბელგიიდან) რომელიღაც ჯგუფმა რელიგიური შუღლის ჩამოგდების მიზნით გაავრცელა.

ახლაც მგონია, რომ ქართველი და სომეხი ერების დაპირისპირება ხელოვნურად გამოიწვიეს. ყოველთა სომეხთა პატრიარქის წაბრძანების შემდეგ საკანონმდებლო ცვლილების ასე სწრაფად მიღება სხვას ვერაფერს მაფიქრებინებს. ამაში საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლობამაც ითამაშა როლი. ხელისუფლებამ ვერ აიტანა, რომ პატრიარქმა და მიტროპოლიტებმა 26 მაისს პოლიციის ძალადობა აღლუმზე არმისვლით დაგმეს, ვერც ის, რომ ეს ფაქტი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ამიტომ, ვფიქრობ, ხელისუფლებამ ეკლესიას ანგარიში გაუსწორა და ეს ევროსაბჭოს მოთხოვნათა შლეიფში საგანგებოდ შეფუთა.

**– სომხეთის პატრიარქს იმედი ჰქონდა, რომ სტატუსის მიღების შემდეგ ქონებრივ დავასაც გადაწყვეტდა.**

– ეს საკითხი სტატუსთან არ არის დაკავშირებული. არსებობს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც განმარტებულია, რომ თუ რომელიმე ქვეყანაში რელიგიურ ორგანიზაციას სტატუსი მინიჭებული არა აქვს და ის დააყენებს სადავოდ ქონების საკითხს, სასამართლო ასეთ საქმეს მიიღებს და განიხილავს. ე.ი. სტატუსის უქონლობა ამას ხელს არ შეუშლის.

**ეკა ასათიანი**

## რატომ ებრძვიან ბასილ კობახიძე და საიტი „დრონი.გე“ ქართულ ეკლესიას

მიმდინარე წლის 21 ნოემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქართველ სასულიერო მოღვაწეებთან ერთად მოსკოვში ჩავიდა. დიახ, იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელიც საუკუნეების მანძილზე გეგმაზომიერად, ნაირგვარი პოლიტიკური ფილოსოფიისა თუ კონიუქტურის მქონე სახელმწიფოს (ცარისტული, კომუნისტური) ზოგჯერ ებრძოდა ქართულს...!

ჰო, დავუბრუნდეთ მთავარს. იმას ვამბობდით, რომ ქართველების მიმართ ამგვარად განწყობილი სახელმწიფოს დედაქალაქში ჩავიდა ჩვენი ერის სულიერი მამა, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა.

თბილისში კი სხვადასხვა გამოცემების ფურცლებზე თუ ექსპერტად წოდებული ინდივიდების ბაგეებზე აიშალა მგზნებარება და ვერბალური ღვარცოფი, ისტერია და კვნესა იმის თაობაზე, რომ ეს იმაზე მეტია, ვიდრე უბრალოდ ვიზიტი, რომ ეს რაღაც კონსპირაციული გეგმის ერთი ფრაგმენტი და შენიღბულ-შეთქმულ-განდობილ კაცთა პოლიტიკაა. არადა, რა სასაცილოდ, რა საწყალობლად მოჩანს ეს ხალხი ამ პოზაში თუ ამ პოზიციის გამოხატვისას.

ნაჩქარევად დასკვნების გამოტანა არ არის კარგი საქმე და აქამდე ვერიდებოდით კიდეც მათზე შეგვქმნოდა ამგვარი შთაბეჭდილება, თუმცა ახლა უკვე დარწუნებული ვართ, რომ ეს ჯგუფი (ამ ჯგუფში ვგულისხმობთ რელიგიათმცოდნე ბასილ კობახიძეს და გამოცემა დრონი.გე-ს), რომლებიც პროპაგანდისტული მანქანის კარგად თავგაქნილ ჭანჭიკებს წარმოადგენენ, სულგანაბული, სადღაც, მხოლოდ ტელევიზორსა და კომპიუტერის მკრთალად განათებული, სინამდვილეში კი ბნელი ოთახის სიღრმეში მიყუჟული ელოდებიან რაიმე ისეთს, რაც ხელში ააღებინებს კალამს და მისცემს საბაბს, შეთხზას რაღაც ისეთი, რაც მათი წარმოდგენით, შებღალავს პატრიარქის ავტორიტეტს. ასეთი რამის **"აღმოჩენის"** შემდეგ კი დარწუნებული ვართ, ყმუილით გარბის საწერ მაგიდასთან და ყმუილითვე აგრძელებს და ამთავრებს პასკვილს არსებულზე.

ყოველ შემთხვევაში, მაშთი **"შემოქმედების"** გაცნობის შემდეგ, ნამდვილად დაგრჩება კაცს შთაბეჭდილება, რომ ბოროტად აჟიტირებული და აღგზნებული იყო **"პროდუქტზე"** მუშაობისას.

**საკ. კორესპონდენცია**

## „ბათუმელებმა“ შანტაჟისტი პოლიციელი ამოიცნო!

გაზეთ **„ბათუმელების“** განცხადებით, ორწლიანი ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მან მიაკვლია პოლიციელს, რომელიც ორი წლის წინათ გაზეთის ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფის კოორდინატორს აშანტაჟებდა, რათა ამ უკანასკნელს უშიშროების სამსახურთან ეთანამშრომლა.

2009 წლის ნოემბერში გაზეთმა განაცხადა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს თანამშრომელი, სახელად **„დავითი“**, შეეცადა, თანამშრომლობაზე დაეყოლიებინა გაზეთის ჟურნალისტური გამოძიების ჯგუფის კოორდინატორი თედო ჯორბენაძე; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მაკომპრომეტირებელი ფოტოების გამოქვეყნებით დაემუქრა.

ამ საქმის გასაჯაროებიდან, დაახლოებით, ერთ კვირაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საქმე შანტაჟის აშკარა ნიშნებს შეიცავდა და რომ მან გამოძიება დაიწყო. თუმცა მას შემდეგ გამოძიების შესახებ რაიმე ახალი ინფორმაცია არ გავრცელებულა, სამართალდამცველები კი აცხადებდნენ, რომ შეუძლებელი იყო შესაძლო შანტაჟისტის დადგენა.

**„ბათუმელების“** თქმით, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის საკუთარ გამოძიებას აწარმოებდა. შედეგად, მან დაადგინა ეჭვმიტანილი შანტაჟისტი და ის აღმოჩნდა **შსს**-ის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომელი დავით დევნოზაშვილი. გაზეთის ცნობით, დევნოზაშვილი თბილისში, დოლიძის 26-ე კორპუსში ცხოვრობს. მისი ამოცნობა გაზეთ **„ბათუმელების“** დირექტორმა მზია ამაღლობელმა შეძლო, რომელმაც დევნოზაშვილს სახლში **„ბათუმელების“** თანამშრომლებთან ერთად მიაკითხა.

გაზეთის ცნობით, მზია ამაღლობელი დევნოზაშვილთან საუბრის შემდეგ დაუკავშირდა საპატრულო პოლიციას და აცნობა, რომ დავით დევნოზაშვილი სწორედ ის პირია, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებით აშანტაჟებდა ჟურნალისტ თედო ჯორბენაძეს.. პოლიცია მივიდა დევნოზაშვილის საცხოვრებელ ადგილას. თუმცა, დაახლოებით, ერთ საათში, რა დროსაც, **„ბათუმელების“** ცნობით, პოლიცია სატელეფონო კონსულტაციებს აწარმოებდა, სათანადო აქტის შედგენის გარეშე დატოვა ადგილი. მათ მხოლოდ ის უთხრეს ჟურნალისტებს, რომ საქმის გამოძიება და დევნოზაშვილის ბინაზე თვალთვალი მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ გამოძიება საქმის სრულიად ახალ გარემოებებს იკვლევს. **„სამინისტროს გენერალური ინსპექცია გამოძიებას აგრძელებს და იმედი მაქვს, რამე ახალი გვექნება“,** – განუცხადა ჟურნალისტებს შსს-ის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა მიმდინარე წლის 24 ნოემბერს.

მოვლენათა ამგვარი **„მდორედ“** განვითარება იმის საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობს თანდათან **„ჩაფუშოს“** ვნებათა ღელვის ბურთი და ეს საქმეც ისევე მიაჩუმათოს, როგორც პოლიციელთა თვითნებობის სხვა უამრავი ფაქტი მიუჩუმათებია. იმ ქვეყანაში, სადაც სანდრო გირგვლიანისა და სხვა უდანაშაულო ახალგაზრდების მხეცურად მკვლელი პოლიციელები თავისუფლად დასეირნობენ, ან ერასტი კიწმარიშვილს ეხმარებიან ტელეარხის მესერზე გადაძრომასა და სხვისი ქონების უკანონოდ დაუფლებაში, სულაც არ არის გასაკვირი, თუ ბათუმელი პოლიციელის ამგვარი **„მსუბუქი“** დანაშაული სათანადო რეაგირების გარეშე დარჩება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, კანონის შესაბამისი ყველა საჭირო ზომა მიიღოს, რათა საზოგადოებას გამოძიების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს.

**საკ. კორესპონდენცია**

ეროვნული

# კოლხეთი სამი ათასი წლის წინათ, აიეტის მეფობის ჟამს

## კარგად იცნობ შენს მშობლიურ კუთხეს?

ახლა დავაკვირდეთ ზემოთ ჩამოთვლილი გვარების დაბოლოებას, გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნა ბატონ ჯონ ჩედვიკის მიერ ამოკითხული და გაანალიზებული ლურსმული წარწერებიდან, რომელიც აღმოაჩინა თიხის ფირფიტებზე მიკენური სამყაროს სამეფო სასახლის ნანგრევთა გათხრების დროს და დავრწმუნდებით იმაში, რომ ამ გვარების დაბოლოება **"ია"** მშობლიური ქალაქის ამ პოლისის სახელწოდება უნდა იყოს. გვარის დაბოლოება **"ია"** იმ დროს კოლხისათვის თანამედროვე პასპორტის მსგავსი საბუთი იყო და ამტკიცებდა იმას, რომ ის პოლისი **"ია"**-ს მკვიდრი და ნამდვილი მაცხოვრებელია და გამორიცხული ჰქონდა ყველა შესაძლებლობა გაესაღებინა თავი სხვა პოლისის მაცხოვრებლად.

პელასგ-მაკრონებს – მეგრელებს და ჭანებს ისე, როგორც შუმერებს, ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე ჰქონდათ ქალაქი-სახელმწიფო, რომლის სახელწოდება **"ია"** ყოფილა და ჰყოლიათ მეფეები აიეტის წინაპრები ჰიპერიონი და ჰელიოსი.

ამ მოსაზრების დამტკიცება არქეოლოგიური კვლევით და მეფე-დიდებულთა სამარხების აღმოჩენით კუნძულ ევბეაზე, ჩემის აზრით, შეუძლებელია. ბერძნები **"ბარბაროსთა"** დიდების ყოველგვარ ნაშთებს ანადგურებდნენ, ხოლო ძველი კოლხები მამაკაცის გვამებს მიწაში არ მარხავდნენ, ხარის გაუთელავ ტყავში ახვევდნენ და ხეზე ჰკიდებდნენ. ასე რომ, მრავლადაა ბურუსში მოქცეული საკითხები.

მიუხედავად ამისა, შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ პელასგი-კოლხები-მეგრელები და ჭანები იმ დროის კვალობაზე მაღალი ხელოვნებისა და კულტურის მატარებლები ყოფილან. შეუთხზავთ მათ ისეთი ხალხური სიმღერები, რომლებმაც რამოდენიმე ათას წლებს გაუძლეს. ეს სიმღერებია: **"ოდოია"**, მთვარის ღვთაება **"ნანა"**-ზე, ფინიკიელების მიერ მოტაცებულ **"იო"**-ზე, შუმერების ქალაქ **"ერეხეთ"**-ზე და სხვა. შეუქმნიათ ესენი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი ცხოვრობდნენ ეგეოსის ზღვის კუნძულებზე. რა არის სიმღერა **"ოდოია"**? ის შეუქმნიათ კოლხურ ტომებს – მეგრელებს და ჭანებს თავიანთი ქალაქ-სახელმწიფოს **"ია"**-ს არდავიწყების და სამარადისო ხსენებისათვის. ამ სიმღერას დღესაც ისეთი სიყვარულითა და აღფრთოვანებული სიხარულით მღერიან სამეგრელოში, როგორც მას მღეროდნენ კუნძულ ევბეაზე ოთხი ათასი წლის უკან მეგრელები.

შუმერების კულტურის გავლენას განიცდიდა ახლო აღმოსავლეთის მკვიდრი მოსახლეობა, მათ შორის გამონაკლისი არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ პელასგი კოლხები, ამიტომ, ისე, როგორც შუმერები, კოლხებიც დიდ თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაება **"ნანა"**-ს მშობელ დედას, რომელსაც განუზომელ თაყვანს სცემდნენ და ყველაფერზე მაღლა აყენებდნენ. ეს თვისება შემორჩა კოლხებს ახალი წელთაღრიცხვის მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. სამეგრელოს ყველა კუთხეში დედას **"ნანა"**-ს უწოდებდნენ. სამწუხაროდ, ოდიდან მოყოლებული ეს სასიყვარულო სახელი დაავიწყებინეს ხალხს, როგორც ღვთაების სახელი, ძველი, სარწმუნოების გადმონაშთი. ყველაფერი ეს ნაძალადევი აგიტაციის შედეგი იყო. მიმდინარე საუკუნის ოცდაათიანი წლების ახალგაზრდობამ სამარცხვინოდ ჩათვალა ამ სიტყვის ხმარება.

საჭიროდ ვთვლი მეგრულ დიალექტში, საყვარელ დედებს დავუბრუნოთ თავიანთი უძველესი ღვთაებრივი სახელი **"ნანა"**, რომელიც სასიამოვნოდ ჟღერს და ადიდებს დედების ავტორიტეტს.

**"ნანა"**-ს სადიდებლად სიმღერები შეუქმნიათ მეგრელებს და მას დღესაც დიდი სიყვარულით და აღტაცებით მღერიან. დაახლოებით ოთხი ათასი წლის წინათაა შექმნილი სიმღერები: **"ნანაია ნანა"**, **"ნანასქუა"**, **"ვოვნანა"**, **"დიდოია ნანა"** – ყველა ეს სიმღერა რაღაცის უკმარისობის, თითქოსდა უძლურების გამომხატველს წააგავს, მაგრამ როგორი აღელვებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, ამ სიმღერების მოსმენა უამებს გულს, უწყნარებს ნერვებს, ანელებს გამწვავებულ განცდებს, სიხარულს გვრის ავი ფიქრებით შეპყრობილს. არ მეგულება **"ნანა"**-ზე უფრო გულშიჩამწვდომი, აღელვებული გრძნობების დამაამებელი სიმღერა სხვა ქართულ სიმღერებს შორის.

სამწუხაროა, სიმღერა **"იო"**-ზე დავიწყებას რომ მიეცა. ამ სიმღერას სამეგრელოში მღეროდნენ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე. იწყებოდა იგი ასე – **"ჰოჰო იო მუშენ ვამორთიო"**, ქართულად კი ასე გამოითქმის – **"ჰოჰო, იო, რატომ არ ბრუნდები, რატომ არ მოდიხარ"**-ო. ამ სიმღერას აგუგუნებდა რვა-ათი კაცი. ეს სიმღერა კარგად ემახსოვრებათ მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლების თაობას. **"იო"** ხომ არგოსის მეფის ასული იყო, რომელიც ფინიკიელებმა მოიტაცეს და ეგვიპტეში ჩაიყვანეს. მოტაცებულ **"იო"**-ს არგოსელები უკან უხმობდნენ, თხოვდნენ უკან დაბრუნებას, მაგრამ იგი არ ჩანდა. ეგვიპტელებნი მას უკან არ უშვებდნენ.

როგორც ეტყობა, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე გავრცელებულ სიმღერას **"იო"**-ზე პელასგი კოლხებიც მღეროდნენ. შავი ზღვის სამხრეთი აღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსახლების შემდეგაც კოლხებმა ეს სიმღერა არ დაივიწყეს და დღემდე შემორჩათ. ასევე ჩვენამდე მოაღწია სიმღერამ შუმერების ქალაქ ერეხეთზე, რომელსაც ეხლაც მღერიან სამეგრელოში.

ყველა ჩამოთვლილი სიმღერის წარმოშობას თავისი დრო და მიზეზი აქვს. შესაძლოა, უფრო მეტ დაზუსტებას საჭიროებდეს ყოველივე ეს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ახსნა-განმარტების გარდა, სხვა ახსნა მათ არ მოეძებნებათ.

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან და არქეოლოგიური კვლევის შედეგიდან ნათლად ჩანს, რომ ეგეოსის ზღვბის კუნძულ ევბეაზე პელასგ კოლხებს – მეგრელებს და ჭანებს, ისე როგორც შუმერებს, ჰქონიათ ქალაქი-სახელმწიფო, რომელიც ჰიპერიონის ბრწყინვალე ვაჟმა ჰელიოსმა დაუნაწილა თავის შვილებს აიეტს და ალოევსს. ქალაქ-სახელმწიფოს სახელი ყოფილა **"ია"**. **"ია"** მეგრული გვარების დანამატია და სახელწოდებაა მშობლიური ქალაქისა, ან ქალაქ-სახელმწიფოსი, ბატონ ჯონ ჩედვიკის არქეოლოგიური კვლევის მიხედვით.

დღესდღეობით ჩვენში გავრცელებული სიმღერები ქალაქ **"აია"**-ზე სახელწოდებით **"ოდოია"**, სიმღერები მთვარის ღვთაება **"ნანა"**-ზე, შუმერების ქალაქ ერეხეთზე და არგოსის მეფის ასულ **"იო"**-ზე შექმნილია ეგეოსის ზღვის კუნძულ ევბეაზე ოთხი ათასი წლის უკან და მეტყველებს იმაზე, რომ პელასგი კოლხები – მეგრელები და ჭანები, ახლო კავშირში ყოფილან შუმერებთან, ჰქონიათ ქალაქი-სახელმწიფო, რომლის სახელი ყოფილა **"ია"** და ჰყოლიათ მეფეები ჰიპრონი და შემდეგ ჰელიოსი.

**ამბროსი კილასონია**

*(გაგრძელება იქნება)*

# ვერიკო ანჯაფარიძის ჩანაწერიდან

*(გთავაზობთ ნაწყვეტს ბატონების ფაუსტ ნადარაიას და ზურაბ ბიგვავას წიგნიდან "მარტვილი")*



ვერიკო ანჯაფარიძეს ყველა ქუთაისელად მიიჩნევს, რადგან ქუთაისშია დაბადებული. ამიტომ, ჩვენს წიგნში მარტვილის გამოჩენილ ადამიანებთან მისი დასახელება ბევრ ვინმეს გაუკვირდება. თუმცა, მარტვილში უჩვენოდაც ყველამ კარგად იცის, რომ დიდი ქართველი მსახიობი ვერიკო ივლიანეს ასული ანჯაფარიძე წარმოშობით ჩვენი კ უ თ ხ ი დ ა ნ ა ა, მარტვილელია, სოფელ კიწიიდან.

კიწიელებს არასოდეს დაავიწყდებათ 1964 წლის ივლისის ის ბედნიერი დღე, როდესაც მათი სოფლის სკოლის ეზოში ვერიკო ანჯაფარიძესთან შეხვედრას 2.000-მდე ადამიანი ესწრებოდა...

ამ შეხვედრის შესახებ არაერთი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული შესანიშნავ ლიტერატორსა და პროზაიკოსს, რომან **"კოლხური ზარის"** ავტორს, ბატონ ომარ ხუხუას, რომლის უბის წიგნაკში თანასოფლელთა გულთბილი მიღებით უზომოდ გახარებულ 64 წლის ვერიკო ანჯაფარიძეს ჩაუწერია:

**"ძლივს ასრულდა ჩემი მრავალი წლის ნატვრა. ვეწვიე ჩემს სამშობლოს, ჩემი მამა-პაპის სოფელს, კიწიას. მივდიოდი კიწიისკენ მიმავალ გზაზე, გული კრთოდა, სუნთქვა მეკვრებოდა. მაშინ ხომ სულ ბავშვი ვიყავი, როცა მამა კიწიაში წაგვიყვანა. ცოტა რამ დამრჩა მეხსიერებაში. ეხლა ვიგრძენი კიწიის საოცარი სილამაზე. მარჯვნივ და მარცხნივ იშლებოდა შესანიშნავი ხედი. თვალი ვერ ძღებოდა. იმიტომ, რომ ამ ბუნების შეგრძნებასთან გრძნობა იმისა, რომ ეს ჩემი მიწა-წყალია, საოცრად მაღელვებდა. განა შეიძლება ოდესმე დამავიწყდეს, ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ჩემს თანამემამულეებთა შეხვედრა. მეგონა, ყოველი ადამიანი, რომელსაც იქ ვხვდებოდი, ჩემი მკვიდრი იყო და უაღრესად ძვირფასი ჩემთვის. დედა რომ მომიკვდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მარტო დავრჩი ამ ქვეყნად – თუმცა მეუღლეც მყავს, შვილებიც, შვილის-შვილებიც, მაგრამ ასეთი ყოფილა დედის დაკარგვა. სულ-ერთია, რა ასაკშიც არ უნდა იყო და გუშინ ჩემი კიწიელებით გარშემორტყმული რომ ვიყავი – ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დედის ალერსი ვიგრძენი და დედაჩემის მზრუნველი ხელის შეხება განვიცადე. თურმე, რა ძვირფასია შენი მიწა-წყალი. ერთ წუთს მარტო რომ დავრჩენილიყავი, ვემთხვეოდი ჩემს მიწას – საცა მამა-პაპის ნაფეხურები კიდევ ატარებენ სითბოს.**

**ვერიკო ანჯაფარიძე,**
**1964 წლის 21 ივლისი"**

ამ პატარა ჩანაწერიდანაც ნათლად ჩანს, რომ ქართული სცენის ბრწყინვალე ვარსკვლავი და დიდოსტატი ვერიკო ანჯაფარიძე კიწიას თავის მშობლიურ სოფლად მიიჩნევდა.

სამარადისო დიდება მის სახელს!

# ხუთდღიანი სარეზერვო სამსახურის უკან, შესაძლოა, დიდი ფულის გათეთრების მცდელობა იმალებოდეს!

თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, მალე, **„ნებაყოფლობითი ხუთდღიანი რეზერვი"** ამოქმედდება. მართალია, რეზერვისტების მომზადების საჯარო კამპანია უკვე დაწყებულია, მაგრამ საბოლოოდ, რა შედეგი ექნება ექპერიმენტს და რა ფორმას მიიღებს ეს ინიციატივა, სამინისტრო არ აკონკრეტებს. ვრცელდება ხმები, რომ ხელისუფლება ნებაყოფლობითი რეზერვის დანერგვით, სამხედრო უწყებებში **„ტყის ძმებისა"** და სხვა კრიმინალური დაჯგუფებების გაერთიანებას ცდილობს. რამდენად რეალურად მიიჩნევს ამ ინფორმაციებს და როგორ აფასებს რეზერვისტთა მომზადების ხუთდღიან პროგრამასა და თავდაცვის ბიუჯეტის 45მილიონიან ზრდას, ივანიშვილის მრჩეველთა საბჭოს წევრი, სამხედრო ექსპერტი **ირაკლი სესიაშვილი**:

– აბსოლუტურად გაუგებარია, მსგავსი ფორმით, სამხედრო ინიციატივის დაყენება – რას ნიშნავს, ნებაყოფლობითი რეზერვი, თანაც ხუთი დღით? როცა თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ რეზერვი ნებაყოფლობითი იქნება, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ასი ათასი ადამიანი მივა მოსამზადებლად, ასი ათასივე უნდა მიიღო. ასევე გაუგებარია, როგორ აპირებს ამის დარეგულირებას თავდაცვის სამინისტრო?

**– რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ თავდაცვის სამინისტრო ამ ინიციატივით სხვა მოქმედებებს ნიღბავს?**

– ვერ გეტყვით, ერთადერთი, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ხუთდღიან რეზერვს არანაირი შედეგი არ ექნება, ამიტომაც თავდაცვის სამინისტრომ ყველა კითხვაზე უნდა გვიპასუხოს. ხუთდღიანი სარეზერვო სამსახური, არაფრის მომტანი არ იქნება ქვეყნისთვის, ამის გარანტიას გაძლევთ. შესაძლებელია, ამ ინიციატივის უკან დიდი ფულის გათეთრების მცდელობაც იმალებოდეს. ხუთი დღის განმავლობაში რეზერვისტების მომზადება ხომ არც თუ ისე მცირე თანხებთან იქნება დაკავშირებული.

**– ფულის გათეთრების მცდელობაზე ჯერ არაფერი თქმულა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება „ტყის ძმების", „მხედრიონისა"" და სხვა დაჯგუფებების გაერთიანებას ცდილობს. რამდენად რეალურია ეს?**

– ამ ინციატივას იმდენად უსუსური და არაფრისმთქმელი საფუძველი აქვს, რომ მისი მიბმა სამხედრო სტრუქტურასთან ვერ წარმომიდგენია. რა კავშირი აქვს ხუთდღიან რეზერვს ვიწროპოლიტიკურ ინტერესებთან, ამის შეფასება რთულია.

**– თუმცა, თქვენი ვარაუდები გაქვთ.**

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლება ბანდფორმირებებს აყალიბებს, რომ ბაჩო ახალაია ყოფილ კრიმინალებს ხვდება და ა.შ. თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება და ხელისუფლება კრიმინალურ დაჯგუფებებს აერთიანებს არჩევნების დროს გამოსაყენებლად, გაუგებარია, რა საჭიროა ამისთვის ხუთდღიანი რეზერვი. დაჯგუფებების გაერთიანება, მათი შეკრება და გადამზადება, ყოველგვარი ხუთდღიანი, აბსოლუტურად სულელური ინიციატივის გარეშეც შეიძლებოდა – სამხედრო ნაწილში შეიყვანდნენ დაჯგუფების წევრებს და, სურვილის შემთხვევაში, მოამზადებდნენ კიდეც. უმჯობესია თავდაცვის სამინისტროსგან მივიღოთ პასუხი.

**– თქვენ ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი ხართ, საინტერესოა, თქვენი გუნდი მსგავსი ინფორმაციების გადამოწმებაზე არ მუშაობს?**

– ხელისუფლების ყველა უკანონო ქმედებასა თუ ჭორზე რეაგირება, ვფიქრობ, არასერიოზულია. ცხადია, გუნდი ამ და სხვა საკითხებს აანალიზებს და ცდილობს, დასკვნებიც გამოიტანოს, მაგრამ რთულია, კანონის ძალით გამყარებულ უსამართლო ხელისუფლებას დაუპირისპირდე. ინფორმაციის გადამოწმება და მისი დამუშავება ხდება, მაგრამ ყველაფერზე ხმამაღლა **არ** ვისაუბრებ.

**– თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 45 მილიონით გაიზარდა, ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ეს თანხა მართლა „ხუთდღიან რეზერვს" უნდა მოხმარდეს?**

– არ გამოვრიცხავ. რეზერვისტთა მომზადებისთვის, ცხადია, დაფინანსებაა საჭირო, ბიუჯეტშიც შესაბამისი მუხლი უნდა არსებობდეს. სამწუხაროა, რომ ზოგადად, თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის კონტროლს საზოგადოება ვერ ახორციელებს. კონკრეტულად, ამ სამინისტროში არის ხარჯები, რომელიც ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ფულის გადინება ხდება სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, თავდაცვის სამინისტროს ორი პროფესიონალური გუნდი ჰყავს – კალათბურთისა და რაგბის, რომლისთვისაც შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებული არ არის, თუმცა მათ შესანახად ათეულობით მილიონი იხარჯება. სპორტის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ აქ საუბარია პროფესიონალურ და არა სამოყვარულო გუნდზე, როგორიც აშშ-ს არმიაშია აპრობირებული. ამიტომ ვამბობ, რადგანაც თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის კონტროლი შეუძლებელია, ინფორმაცია იმის შესახებ, რა ცვლილებები შევა ბიუჯეტში, ჩვენთვის მხოლოდ თვისობრივი ხასიათისაა, შინარსობრივ დასკვნებს, სამწუხაროდ, ვერ ვაკეთებთ, რადგან ჩვენ არ ვიცით, რეალურად, შიგნით რა ხდება.

**– თუ კრიმინალური დაჯგუფებების გაერთიანების შესახებ ინფორმაცია რეალური აღმოჩნდა, რა ზომებს მიიღებთ?**

– ბატონმა ბიძინამ ღიად განაცხადა, რომ ჩვენი მიზანი არჩევნებამდე მშვიდობიანი გზით, ყოველგვარი რევოლუციური მოწოდებების გარეშე, მისვლაა. აქციები და არეულობა, ხელისუფლებას აძლევს ხელს ძალაუფლების გასამყარებლად. არ დაგავიწყდეთ, რომ მათ ჰყავთ საკმაოდ სერიოზული ძალა – პოლიცია და სპეცსამსახურები. გვესმის, რომ ამ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნების მოლოდინი არ უნდა გვქონდეს, მაგრამ მოსახლეობის კონსოლიდირებით, მიუხედავად გაყალბებისა, ჩვენ მმართველი გუნდის დამარცხებას შევძლებთ და ხელისუფლებაშიც მოვალთ. თუ კრიმინალური ბანდფორმირებები, მართლაც შეიქმნება, ჩვენ მათ არა ძალას, არამედ, ჩვენს პოზიციას – სამართლიანობასა და თავისუფლებას დავუპირისპირებთ. თუ ჩემი პირადი აზრი გაინტერესებთ, პირდაპირ გეტყვით, ხელისუფლებას სრულებითაც არ სჭირდება კრიმინალური ბანდფორმირებები, რადგან მას მსგავსი დაჯგუფებები ისედაც ჰყავს. პოლიცია და მისი ქვედანაყოფები, საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკურ დაკვეთას ასრულებენ და კანონის ფარგლებსაც ადვილად სცდებიან? ჩვენთვის პოლიცია გაცილებით საშიშია, ვიდრე კრიმინალური გაერთიანებები. ვიცით, ხელისუფლების მსგავსი სტრატეგია თვითონ მმართველი გუნდისთვის იქნება დამღუპველი. ჩვენ ხელისუფლების ბანდფორმირებებს, იმავე ტიპის კრიმინალურ დაჯგუფებებს არ დავუპირისპირებთ.

**რუსუდან შელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# “ვალმოხდილი აღმსარებელი ამბროსი”



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ამბროსის ცხოვრება და მოღვაწეობა. პუბლიკაცია ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს ჭყონდიდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის მეუფე პეტრეს თანადგომით. მიძღვნილი პატრიარქ ამბროსის დაბადების 150 წლისთავისადმი.

*„1995 წლის 18-19 სექტემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქოს ტაძარში შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული საეკლესიო კრება, რომელიც გახსნა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. პატრიარქმა კრების მონაწილეებს ამცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ისტორიული გადაწყვეტილება ერისა და ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შერაცხილ იქნა წმინდანთა დასში “ამბროსი აღმსარებლის” სახელით და მისი ხსენების დღედ დაწესდა 16 (29) მარტი“.*

მამამ რჩევა ინება მხოლოდ. **„პეტროგრადი დიდი ქალაქია, არ აგიყოლიოს მისმა უცნაურმა ჩვევებმა და მომხიბლელობამ** – დაააარიგა ალექსანდრე – **თავდაჭერა ყველა საქმეში მარგებელია. დიდსულოვნება იწინამძღვარე. თვალები ფართოდ გაახილე და ჭეშმარიტ გზას არასდროს ასცდე. ადამიანის ცხოვრება ეს არის ურთულესი პროცესი და წარმატებულია ის, ვინც ჰპოვებს თავის სავალს, მიაღწევს საკუთარ მიზან-საწადელს. ჩახვდება ვინ აირს თავად და რისთვის მოავლინა უფალმა ამ ქვეყნად. სამშობლოს მოწყვეტილის იმედი ღმერთი და ლოცვაა, როგორც ჩემი შვილი... თქვენ აირჩიეთ საკუთარი გზა და უფალს მუდმივად ვევედრები გიერთგულოს... ბიბლიაში სწერია, ადამიანის ცხოვრება არის გამოცდაო... ყველანი ჩვენგანი ვაბარებთ ამ გამოცდას ჩვენეული შესაძლებებით, თუმცაღა ბევრი მოგვეკითხება, ჩვენვე, ადამიანი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს თავისი ცხოვრების მოწყობაში, იგი ძალით თავს მოხვეული კი არ უნდა იყოს, არამედ თავადვე წარმართოს, რადგან თვითონვე იყოს კმაყოფილი ანუ არჩევდეს ცოდვასა და მადლს. განა ერთხელ მითქვამს!.. და ახლაც მსურს გავიმეორო, წმინდა იოანე ღვთისმეტყველს ყავდა მოწაფე, რომელმაც ავაზაკობა ჩაიდინა. წმიდა იოანე წავიდა მის მოსაძებნად და სდია იქამდე, ვიდრე უკან არ მოაბრუნა და ისევ ჭეშმარიტ გზაზე არ დააყენა. აი, მამების მოვალეობა. იმას არ გეუბნები შვილო, მე დამჭირდება შენი ცუდი საქციელიდან მობრუნება, მაგრამ ორი დიდი ფასეულის დაფასება მოგიწევს, ერთი სულიერებისა, მეორე კი ეროვნული საუნჯისა. გახსოვდეს ეს მუდამ.“**

ანა მამასთან ჩამოვიდა. 15 წლის ქალიშვილი სწავლას რუსეთში დაასრულებდა და შემდგომ საკუთარ ბედს ეწეოდა. ისევე როგორც ნინომ, მან ცხოვრების გზა დაუკავშირა ექიმ ვიქტორ დონდუას და საფრანგეთს გაემგზავრა.

არქიმანდიტრმა იცოდა, მისი უფროსი ქალიშვილი ცნობილი ოჯახის რძალი გახდა. ვიქტორის ძმები: ვარლამ და დავით დონდუები შეძლებული და გავლენიანები იყვნენ, როგორც საქართველოში ასევე საფრანგეთში.

მამა ამბროსი აქტიურად ჩაება პატარა ქალაქის ცხოვრებაში. თითქმის ყველა ღონისძიებაში უწევდა დასწრება და სიტყვით მიმართვა საზოგადოებისათვის, ქადაგებას მუდმივად ასრულებდა შემდეგი სიტყვებით **„ღმერთმა დაგლოცოთ, ჩვენთან არს ღმერთი“.**

შემოდგომა მოსავლის აღებისა და დაბინავების ოქროს ხანაა. რუსეთში აქტიურად იწყება კარტოფილის, კომბოსტოს, მზესუმზირის, ბოლოკისა და სხვა სასოფლო პროდუქტების მოწევა.

ეკლესია, მიუხედავად სეზონური ციებცხელებისა, არ განიცდიდა მრევლის ნაკლებობას. ამბროსის საქმე არ შემსუბუქებია. ამასთან ფიქრობდა ალექსანდრეზე და ნინოზე, მათ მომავალზე.

საკუთარი ოჯახური ცხოვრების ფანტელმა მეტეორივით ჩაიქროლა. თეთრი ფიფქებით მორთული მოვიდა და ელვა-ჭექის მოვარდნით დასრულდა. მადლობა უფალს, რომ შვილები დედის მოგონებებს არ ივიწყებდნენ. ანას არც ახსოვდა მშობელი დედა – კესარია, თუმცა გარეგნობით საოცრად გავდა მას. ამბროსი ამისთვის ჰმადლობდა უფალს. სკოლაში დადიოდა, იზრდებოდა, უფრო მშვენდებოდა ანი.

ცხოვრების თანამგზავრის, ერთგული მეგობრის, უახლესი პიროვნების პოვნის უძლევი ძალა, რაც პირადი ბედნიერების პოვნასთან ერთად გამრავლების გარდაუვალობის აუცილობლობას ქმნის. მალე კარს მოადგება ანას. ამბროსის არ სურდა იქ, სამშობლოდან შორს, სტრაია რუსაში უცხო გარემოში ეპოვა გულის სწორი უმცროს ქალიშვილს. არქიმანდრიტს სული და გული საქართველოსკენ მოუწევდა და შვილები იქვე სურდა დაოჯახებულიყვნენ. სამყარო ფართეა, ადამიანმა იქ უნდა გაშალოს ფრთები სადაც მისი ბედნიერებისა და სულიერი კმაყოფილების კალო ილეწება, რადგან სამშობლოს მიწაზე მყარად დამდგარი ადამიანზე ბედნიერი არავინაა – ფიქრობდა იგი.

რა იქნებოდა, როგორც ამას ამბროსი წინასწარ ვერ განსჭვრეტდა, თუმცა ანას გონიერების ძალიან ეიმედებოდა. ერთი კი ცხადი იყო, შვილის სურვილს ვერ დააბრკოლებდა. პარიზიდან ნინო იწერებოდა და დას სთხოვდა სკოლის დამთავრებისთანავე საფრანგეთში ჩასულიყო.

როდის ახდენილა ყველა ოცნება და სურვილი? თუმცა ცდას აქვს მუდამ გარკვეული უპირატესობა.

მომდევნო წელს, ნოემბრის ბოლოს მთავარანგელოზობისა და გიორგობის დღესაწაულების დასრულების შემდეგ ამბროსი პეტროგრადს ჩავიდა. ალექსი მოინახულა, მისი სწავლითა და ცხოვრებით დაინტერესდა და იქიდან ხერსონში გაემგზავრა, რომ მეუფე კირიონი მოენახულებინა. არქიმანდრიტმა იცოდა, რომ კირიონს ჯერაც ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ უხდებოდა ცხოვრება, რაც მას სასტიკად სტანჯავდა.

შექმნილ სიტუაციაში ამბროსის სითამამე და გადაწყვეტილება რისკის ტოლფასი იყო. ეგზარხოსის მკვლელობაში მონაწილეობის ბრალდებით, რუსეთის მოძულე ქართველების ერთად შეყრა სითამამეზე მეტი გახლდათ.

გრძნობდა ამას ამბროსი და მაინც გადადგა თამამი ნაბიჯი. ენახა, ებაასა გულმხურვალე თანამემამულესთან. ეს ყოველივე უნებლიე მიზიდულობის ძალისხმევით ხდებოდა, რომელიც ხშირად მოსალოდნელ განაჩენზე უფრო ძლიერია.

კირიონი და ამბროსი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ნამსახურევი იყვნენ. ერკვეოდნენ იქ მიმდინარე პროცესებში. ორთავესვის მნიშვნელოვანი იყო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. არა ნაკლებ ინტერესს იწვევდა აფხაზეთის ეპარქიაში რუსეთის ხელისუფლების აქტიური ბრძოლა, ამ ძირძველი ქართული მხარის გარუსებისათვის.

ბევრი რამ გაიხსენეს. გულთბილად ისაუბრეს.

– მეუფეო! – მიმართა ამბროსიმ – თქვენმა ნაშრომმა **„აფხაზეთი. ისტორიულ-საეკლესიო ესკიზები“,** ჩემი რედაქციით, რომ გამოიცა 1907 წელს პეტროგრადში, ბევრი ვინმე ჩააფიქრა. რადგან სააწინააღმდეგო ბევრი ცრუ ბრალდებები გაკადრეს.

კირიონს რა დაავიწყებდა იმას, რომ ამბროსი აფხაზეთის სამოქალაქო და საეკლესიო ცხოვრებას ზედმიწევნით კარგად იცნობდა. ამიტომ იგი უამრავჯერ ჩართულა პაექრობაში შენიღბულ მტერთან მიმართ, რომლებიც აფხაზეთში ქართველთა გავლენის შესუსტებას და იქ ქართულად წირვალოცვის აკრძალვას ცდილობდნენ.

– მახსოვს მამაო ამბროსი.

– დაუვიწყარია 1906 წელი, იმ იუდა ვოსტროგანოვმა, ორი წერილი, გამოაქვეყნა გაზეთ **„კოლოკოლში“**. ერთი **„რუსის“**, მეორე კი **„კავკასიელის“** ფსევდონიმით, სადაც გდებდნენ ბრალს იმაში, რომ შეცდომა იყო თქვენი დანიშვნა აფხაზეთის ეპისკოპოსად. მადლობა უფალს, თვით რუსებმა უპასუხეს იმ პროვოკატორს... ბოგოიავლენსკიმ გაზეთ **„მოსკოვსკიე ვედომოსტით“** რა უწოდა მაშინ ვოსტროგონოვს?... გრუზინოფობიით შეპყრობილიო.

ორი დღე-ღამე დარჩა ამბროსი თანამემამულესთან. გულწრფელად ბევრ რამეზე ისაუბრეს. ეს იყო ხალასი და უფლის ნებით სამშობლოსათვის უანგაროდ შეყვარებული ღვთისმსახურთა ურთიერთობა.

მათ იცოდნენ, რომ მხოლოდ სიყვარული არაფერს შველოდა ქვეყანასა და ეკლესიას. პრაქტიკულად უნდა ემოქმედათ. ამისთვის სათანადო ტაქტიკისა და ხერხის შერჩევა იყო საჭირო. იმპერიალისტური მანქანა, ულმობლად სრესდა ყოველივე პროგრესიულს. რაც მის თარგს არ ემთხვეოდა.

არქიმანდრიტ ამბროსის მთელი გულისყური საქართველოსაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ცდილობდა არ გამორჩენოდა მიმდინარე არც პოლიტიკური და მით უფრო საეკლესიო ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.

* * *

პირველი მსოფლიო ომის დაწყება (1914 წლის 1 აგვისტო) რუსეთის მოსახლეობა ერთგვაროვნად როდი შეხვდა. იაპონიასთან ომის სამარცხვინო წაგების შემდეგ მთავრობამ იზრუნა არმიისა და ფლოტის გაძლიერებისათვის, მაგრამ რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლეობის მდგომარეობა რთული, ხოლო დამორჩილებული ხალხების პირობები კიდევ უფრო მძიმე იყო.

რუსეთის სამღვდელოების უმთავრესი საზრუნავი გახდა დახმარება გაეწიათ მეომარი ჯარისკაცებისთვის. ამ მოძრაობამ რუსეთის მთელ ტერიტორიაზე დიდი გამოხმაურება მიიღო. ვერც სტარაია რუსას ტაძარი იქნებოდა გამონაკლისი.

მამაო ამბროსი მეომრების გადასარჩენად ყოველ დილით ლოცვას აღავლენდა. შემდგომ მუდმივად მოუწოდებდა მრევლს, რითაც შეეძლოთ ხელი გაემართათ ფრონტისთვის. დახმარება გაეწიათ დაჭრილთა და დაღუპულთა ოჯახებისთვის. თავადვე მიდიოდა მეომარ დაკარგულ ოჯახებში და ახლობლებს ანუგეშებდა. მათ არწმუნებდა სამშობლოსთვის თავგანწირვა ნებისმიერი პიროვნების წმინდა მოვალეობაა.

გაზეთებში და მთავრობის ოფიციალურ მოწოდებაში ფართოდ შუქდებოდა რუსეთის ჯარის წარმატება–წარუმატებლობები. ფრონტზე მიმდინარე მოვლენები.

პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით ბოლშევიკური ორგანიზაცია მოსახლეობას არ ურჩევდა მსხვერპლის გაღებას. უმეტესწილ ხალხს ლენინის, სტალინის, ძერჟინსკისა და სხვათა გვარ-სახელები ეკერა პირზე.

მოსახლეობა მაინც მზად აღმოჩნდა მხარი დაეჭირა ფრონტზე მყოფი თავიანთი შვილების, ქმრებისა და ძმებისთვის.

სტარაია-რუსაში არსებულ სკოლაში ჩატარდა კრება, სადაც სპეციალურად იმსჯელეს, შემოეღოთ სასკოლო ლოცვები, სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოსთვის.

ამ კრებაზე მონაწილეობდა მამა ამბროსი და მონასტრის სამი მღვდელი. არქიმანდრიტმა სიტყვით მიმართა შეკრებილთ, მონაწილეობა მიეღოთ შემოწირულობების შეგროვებაში.

ქადაგებებში ამბროსი მუდამ უარყოფდა ომს, ძალადობას, სისხლისღვრას. მოუწოდებდა ქვეყნებსა და მათ მეთაურებს მიეტევებინათ ერთურთისათვის, მიემართათ ქრისტეს მცნებისთვის.

ამბროსი გულისფანცქალით ელოდებოდა ცნობებს საქართველოდან, იქ მიმდინარე მოვლენებზე. გრძნობდა მოსახლეობა და სამღვდელოება არაფერს დაიშურებდა ფრონტისთვის.

იცოდა ამ მნიშვნელოვან პროცესს ხელმძღვანელობდა ახლად დანიშნული კავკასიის მეფის ნაცვალი მიხეილ რომანოვი და მთავარეპისკოპოსი პიტირიმე ოკნოვი. თუმცა ომში მონაწილეობის საკითხში იყო ქართულ პოლიტიკურ პარტიათა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება, რადგან გამითქმებოდა აზრი, რომ გარკვეულ პროცესზე იყო დამოკიდებული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ქართველი სამღვდელოება და მისი აქტიური ნაწილი კალისტრატე ცინცაძე, ნიკიტა თალაკვაძე, ლეონიდე ოქროპირიძე, ქრისტოფორე ციცქიშვილი და სხვები ყველა ღონეს მიმართავდნენ მიზნის მისაღწევად.

კავკასიის ფრონტზე ომი 1914 წლის ოქტომბერში დაიწყო და წარმატებით განხორციელდა შეტევები ერზუმის, ოლთისისა და ერევნის მიმართულებით. თურქთა ჯარებმა მაშტაბური ოპერაცია წამოიწყეს ოლთისის რუსთა დაჯგუფებების გასანადგურებლად, მაგრამ ვერ განახორციელეს ჩანაფიქრი. სასტიკად დამარცხდნენ.

თურქების წინააღმდეგ იბრძოდნენ ქართველი მეომრები, მაშინ საქართველოს გამოცდილი ოფიცრები ყავდა. ომმა მეზობელ ქვეყნებს შორის მდგომარეობა დაძაბა და წინა პლანზე წამოსწია ეროვნული საკითხი.

მძიმე აღმოჩნდა აჭარის მოსახლეობის მდგომარეობა, რადგან ქობულეთთან ბრძოლებში თურქებმა იძალეს და დასავლეთ საქართველოს საშიშროება დაემუქრა.

ამ პერიოდში არქიმანდრიტმა მიიღო ცნობა საფრანგეთიდან. ნინო წერდა, რომ რუანაში შემეძინა ქალიშვილი, რომელსაც მეფე-თამარის სახელი შევარქვიო. ამ ცნობამ ამბროსი ძალიან გაახარა. პირველი შვილიშვილი საზღვარგარეთ მოევლინა ქვეყანას, მაგრამ მისი სისხლისა და ხორცის ნაწილი იყო.

**„თამარ, ჩემო პაწია თამარ, ღმერთმა გაგაჩინა და საქართველოში ჩამოგიყვანოს მისმა ძალამ და მფარველობამ“** – ევედრებოდა უფალს. სამშობლოს მოწყვეტილი მღვდელმსახური. რამდენჯერ უფიქრია და უნატრია კესარია რომ ცოცხალი იყოს როგორც გაიხარებდაო.

დისშვილის დაბადების ამბავი ანამ რომ გაიგო საოცრად გაიხარა. მეორე თუ მესამე დღეს მამას გაუბედა.

– საფრანგეთში გამიშვი. მე უკვე აქ სწავლა დავასრულე და იქ გავაგრძელებ მეცადინეობასო, თანაც ნინოს შვილს აღზრდაში შევეშველებიო.

მაშინათვე პასუხის გაცემა გაუძნელდა ამბროსის. ანას წასვლის შემდეგ კვლავ მარტო ყოფნა ემუქრებოდა. მართალია უამრავი საქმე ჰქონდა, ესათუთებოდა დაკისრებულ მოვალეობას, მაგრამ გულისდარდისა და მძიმე ყოფის დაძლევას ანას სიახლოვე და მასზე მზრუნველობა უადვილებდა. ის საფრანგეთში აპირებდა წასვლას. საკუთარი არჩევანი ჰქონდა, საკუთარ გზა – სავალი. როგორც სხვა შვილებისთვის არ დაუშლია, ანასაც ვერ გადაუდგებოდა.

მშობელი ვალდებულია შვილის გულში ღრმად ჩაიხედოს.

რადგან ანას სურვილი ღმერთის ნება იყო. დაჰყვა შვილის ნებას. ერთად პეტერბურგში ჩავიდნენ, ალექსანდრე მოინახულეს. თურმე მასაც მიეღო ბარათი ნინოსგან ქალიშვილის დაბადებაზე. ალექსანდრე ბედნიერი სჩანდა. მან მამას და დას საცოლე წარუდგინა და განუცხად, რომ მალე ჯვრისწერას აპირებდნენ.

ანა ბედნიერებისგან გაბადრული ჩაჯდა მატარებელში. ამბროსის რამოდენიმე წელი მოუწევდა ლოდინი, რომ ქალიშვილს შეხვედროდა.

გამოთხოვებისას ეს დააბარა.

– საქართველოში შეხვედრამდე. ჩვენი სამშობლო იქ არის, ჩვენი სულიერი და ფიზიკური გარჯის ადგილი.

დრო მიდიოდა. შვილების ხილვის დანაკლისს ალექსანდრე ავსებდა. იგი შაბათკვირას ზოგჯერ ჩავიდოდა სტარაია რუსაში და გვერდით ყოფნით მამას ამხნევებდა.

მოულოდნელად გარდაიცვალა სახალხო პოეტი აკაკი წერეთელი. ჯერ კიდევ არ განელებულიყო აკაკი წერეთლის გარდაცვალების დიდი მწუხარება საქართველოში, რომ ნინოს სახელობის ლაზარეთში გარდაიცვალა **„მთის არწივი“** ვაჟა-ფშაველა.

ამ ორი შემოქმედის სამარადისო სასუფეველში გადასვლით, ჩაქრა ორი დიდი მგოსნის ლამპარი, რომელნიც ნათელს ჰფენდნენ საქართველოს დიდებას.

ამბროსიმ საქართველოდან შორს, ჯერ სტარაია რუსაში გადიხადა პანაშვიდი, შემდეგ შვილთან, ალექსანდრესთან და პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან ერთად ილოცეს ღირსეულ მამულიშვილების სულებზე. მათთან საუბრისას არ მორიდებია, რომ ნებისმიერ პირობებში, მშვიდობიან თუ ომის ჟამს ერი უნდა ფიქრობდეს საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე. იქ დავანებული განძეულობა ხალხის საკუთრებაა და მისი ხელყოფის უფლება არავის აქვს.

**ბორის დავითაია,**
სენაკი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლხური თეთრი

*ნუმიზმატიკა*

მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში საქართველო ყოველთვის იყო მსოფლიოს მნიშვნელოვანი მოვლენების აქტიური მონაწილე. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ პირველი მონეტების შემოღებიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ძვ.წ. VI საუკუნეში ძველ კოლხეთში უკვე მიმოქცევაში იყო ვერცხლის მონეტა – კოლხური თეთრი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს მონეტად მიიჩნევა.

საქართველოში არ არის კუთხე, სადაც შემონახული არ იყოს სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული მონეტები შორეული წარსულიდან. აქ აღმოჩენილი ქართული და უცხოური მონეტების თანმიმდევრული ცვალებადობა ზუსტად ასახავს ჩვენი ქვეყნის წარსულს და ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს. ქართული მონეტების მიმოქცევის 26-საუკუნოვან პერიოდში, დროისა და პირობების შესაბამისად, იცვლებოდა მონეტის გარეგნული მხარე – ზედ აღბეჭდილი მეფეების სახელები, წარწერათა შინაარსი, მონეტების ფორმები. ზოგჯერ მოჭრილ ფულზე უცხო სიუჟეტები და უცხოური წარწერები ჩნდებოდა, რაც პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზეზებით იყო ნაკარნახევი.

მიუხედავად ამისა, საქართველო თითქმის უწყვეტად ინარჩუნებდა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ უმთავრეს რეგალიას – საკუთარ ფულს. მაშინ, როცა VI საუკუნის 80-იან წლებში ქართლში არაბები ბატონობდნენ, ქართლის ერისმთავრები – გურგენი და სტეფანოზი ახერხებდნენ, მოეჭრათ მონეტა, რომელსაც ასომთავრული წარწერები და ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო – ჯვარი ამშვენებდა.

**კოლხურ მონეტებს შორის ყველაზე გავრცელებულია II ტიპის ნახევარდრაქმა, რომელიც დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. კოლხური თეთრის არსებობა ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ძვ. წ. VI-V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სახელმწიფო არსებობდა.**

## კოლხური თეთრი – კულტუროლოგიური ასპექტები

დასავლეთ საქართველო, ისტორიული კოლხეთი, სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. აქ. ძვ.წ. VI-IV სს. იჭრებოდა და III-II საუკუნეებში მიმოიქცეოდა კავკასიაში პირველი ვერცხლის ფული ე.წ. კოლხური თეთრი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათი კვლევისას კულტუროლოგიურ ასპექტებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

დიდია ამ მონეტების როლი და მნიშვნელობა კოლხური საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში, იმ გეოგრაფიულ-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ქვეყნის **„სასიცოცხლო არედ“** რომ მოიაზრება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კოლხური თეთრების, განსაკუთრებით ე. წ. II ტიპის ჩვეულებრივ ტრიობოლ-ნახევარდრაქმების (1,2-2,6 გრ) წვრილი საფასეების არეალი ზუსტად ემთხვევა ქვეყნის ზემოთ აღნიშნულ სასიცოცხლო არეს, კოლხეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროს. ეს მონეტები, პრაქტიკულად, დასავლეთ საქართველოს საზღვრებს გარეთ არ გადიოდა, ქვეყნის შიდა ბაზარზე კი ინტენსიურად მიმოიქცეოდა. ეჭვგარეშეა, ისინი ყოველდღიურ საცალო სავაჭრო-სასაქონლო გარიგებებში, წვრილმან ოპერაციებში ხურდა ფულის დანიშნულებას ასრულებდა. ბერძნული კლასიკური სამონეტო ტექნიკით მოჭრილი კოლხური თეთრის ჩვეულებრივი სერიები შეადგენდა ამ დროის დასავლეთ საქართველოს ძირითად სამონეტო ნომინალს, რომელიც ამასთანავე კონკრეტული ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონის სოციალურ სტრუქტურასთან სრულ შესაბამისობაში იმყოფება.

კოლხური თეთრების აბსოლუტური უმრავლესობა ანონიმური, უსახელო, ანეპიგრაფიკულია. აღნიშნული ვითარება, კულტურულ-ისტორიული გარემოება სულაც არ უშლიდა ხელს მის ემისიებს, მოეხდინა შიდა კოლხური ბაზრის მონოპოლიზაცია. მაშინ იქ კარგად იცოდნენ მისი იკონოგრაფია (დღეს, სადავოა, მონეტაზე ქალის თავია ამოტვიფრული თუ მამაკაცისა), ისიც – თუ ვინ ჭრიდა ამ მონეტებს, იცოდნენ მისი რეალური შინაგანი ღირებულება და, შესაბამისად, ნდობით ეკიდებოდნენ მას. ამით უნდა აიხსნას ძვ.წ. V-IV საუკუნეების განძების მომრავლება, მონეტების ფულადი მიმოქცევიდან ამოღება, ტეზავრაცია.

კოლხური თეთრი ისეთივე ნდობით სარგებლობდა ადგილობრივ მოსახლეობაში, როგორც მასთან ერთად მიმოქცევაში არსებული **„პასპორტიზირებული“** ბერძნულწარწერიანი ფულები, მაგალითად, ქალაქ სინოპეს საქალაქო ვერცხლის მონეტები. მოგვიანებით, ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულისათვის, კოლხეთშიც წარმოშობილა (კონტროლის მიზნით?) მათზე ბერძნული ზედწერილობის – ასონიშნების დატანის საჭიროება. საუბარია ჩვეულებრივი ტიპის ტრიობოლ-ნახევარდრაქმებზე. სხვა უსახელო მონეტებთან შედარებით მათი რიცხვი საგრძნობლად მცირეა; თვინიერ **„ბარღების განძისა“** და კერძო კოლექციებისა, კოლხურ ასონიშნიან მონეტათა რეგისტრირებული რაოდენობა 150 თუ აღწევს. რიცხობრივად მათზე ბევრად მეტია დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი ანონიმური კოლხური თეთრების ტრიობოლ-ნახევარდრაქმების რაოდენობა.

მაგალითად: საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დღეისათვის რამდენიმე ათასი მონეტა ინახება, მოსკოვის საისტორიო მუზეუმსა და პეტერბურგის ერმიტაჟში – 1500-ზე მეტი. ათეულობით და ასეულობით არიან ისინი წარმოდგენილი კერძო კოლექციებში, ჩვენი პროვინციების (მაგ. მესტიის მუზეუმში დაცულია 20 კოლხური თეთრი) თუ საზღვარგარეთის მუზეუმებში.

ყველა შემთხვევა კოლხური თეთრის განძის აღმოჩენისა, ზუსტად ასახავს კულტურულ-ისტორიული ეპოქისათვის, კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი ფულად-სასაქონლო მიმოქცევის ხასიათს. დაგროვების საშუალება აქ ყველგან წამყვანი ფულადი ერთეული, წვრილი ნომინალის (ტრიობოლ-ნახევარდრაქმები) ვერცხლის მონეტებია, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ნდობით სარგებლობდა მოსახლეობაში, მათ. ძვ.წ. V-II საუკუნეებში საფლავშიაც ატანდნენ და ოჯახებშიც ინახავდნენ. რაც უფრო წონადია განძი, მით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო მისი საბაზრო ღირებულება. მსხვილი სავაჭრო გარიგებებისას ხდებოდა მათი აწონა, წვრილმანი ვაჭრობისას ამის საჭიროება არ არსებობდა, რადგან ნაკლული ან გაცვეთილი ნომინალი შესაბამისად კარგავდა ფასს და მსყიდველობით უნარს.

ანტიკურ სამყაროში, იქ, სადაც დაწინაურდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, დიდი ინტენსივობით მიმოიქცეოდა ძვირფასი ლითონის, ოქროსა და ვერცხლის მონეტა, აღინიშნება საზოგადოებრივი ცხოვრების გაცხოველება და ეკონომიკური აღმავლობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ევოლუცია, ფული მისი ინკულტურიზაციის, ანუ სოციალიზაციის მექანიზმი ხდება. მონეტამ ყველგან შეცვალა ძველი **„პრესტიჟული და პრიმიტიული ფასეულობანი“**, რადგან მონეტის ვერცხლი, კეთილშობილი ლითონი, თავად გამოდიოდა რეალური მომხმარებლური ღირებულების მატარებლად. არც ის არის შემთხვევითი, რომ კოლხური თეთრები მაღალმხატვრული, რეალისტური იერის საკულტო, რელიგიური ხასიათის გამოსახულებითაა შემკული. მისი ესთეტიკური მხარე შესაბამისობაშია მონეტის მომხმარებელი საზოგადოების გემოვნებასთან, მისი კულტურული განვითარების დონესთან. ამასთანავე, კოლხური მონეტები მაღალპროფესიონალი, და არა უცილობლად ბერძენი, ოსტატების ნაწარმია. ასეთი სპეციალისტების ყოლით სახელმწიფო ინსტიტუტები იყვნენ დაინტერესებული, შესაბამისად, მაღალი უნდა ყოფილიყო მათი სოციალური სტატუსი. კოლხეთში მონეტების ასეთი ფართო გავრცელება გვიჩვენებს, რომ ამ საზოგადოებაში უკვე ფული ყველგან და ყველაფერში საჭირო გამხდარა, კლასობრივ საზოგადოებაში **„ყველგან ვერცხლის მონეტების წკრიალი ისმის“**, ის მისი ინდიკატორი და ექსპლუატაციის საშუალებაა. სადაც მონეტა მიმოიქცევა, იქვე ჩნდება საგადასახადო ინსტიტუტები, გადამხდელები და გადასახადის ამკრეფები, სახელმწიფო მოხელეები, კაპიტალის, ჩვენ შემთხვევაში, განძის დამგროვებლები. ამასთანავე, ამ უკანასკნელებმა რაც შეიძლება მეტი საქონელი უნდა გაყიდონ და ნაკლები შეიძინონ, რათა შექმნან დანაზოგი – კაპიტალი. ძვ.წ. V-III საუკუნეების კოლხეთში მონეტების დაგროვება, მათი ამოღება მიმოქცევიდან ნამდვილად ასეთი ფულად-სასაქონლო ურთიერთობების მაჩვენებელია. საყურადღებოა დ. კაპანაძისა და კ. გოლენკოს დაკვირვება კოლხური განძების წარმოშობაზე. მათი აზრით: ***„განძების ფორმირების პროცესში უპირატესობა ყოველთვის ძველ მონეტებს ეძლეოდათ, თუ კი ისინი მაღალი სინჯის, ხარისხისა იყვნენ“.*** ეს კარგად ჩანს **„ქობულეთის განძის“** მაგალითზე, რომელშიც სრულფასოვანი, სრულწონიანი, საგანგებოდ შერჩეული მონეტებია შეგროვებული, ხოლო მისი **„პატრონის ხელში, კოლოსალური რაოდენობის კოლხურ თეთრებს გაუვლია“**. იგივე შეიძლება ითქვას სულორის განძის თაობაზეც. შესაბამისად, კოლხური თეთრის მიმოქცევა კოლხური საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ფონზეა განსახილველი, რადგან ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს მოსახლეობის ყველა სოციალურ ჯგუფზე, მმართველ ფენებზე თუ უშუალო მწარმოებლებზე, მევენახე-მეღვინე მეთემეებზე ერთნაირად ღრმა გავლენა მოუხდენია.

კოლხურ თეთრებში გვხვდება სპილენძის გულიანი, ვერცხლის თხელი ფირფიტებით გადაფარებული ე. წ. პლანკირებული მონეტები. ჩვენთვის ძალზე საყურადღებოა ზუგდიდის რაიონის სოფ. ერგეთაში აღმოჩენილი კოლხურების განძი, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილმა (79 ცალი) მიაღწია საქ. სახ. ისტორიის მუზეუმამდე. ყველა მათგანზე ბერძნული მაგისტრატის სახელთან დაკავშირებული ასონიშნებია, რაც კონკრეტული ქრონოლოგიური ჯგუფის მაჩვენებელია, მიუხედავად სიქათა მრავალფეროვნებისა. ამ განძის მონეტების **„აბსოლუტური უმრავლესობა“**, მათ შორის 11 ნატეხი, გ. დუნდუას სიტყვებით, ***„დაფარულია მოწითალო ფერის ბრინჯაოს ნაფიფქით, ზოგიერთი მათგანი საერთოდ სპილენძისაგან უნდა იყოს დამზადებული“***. გარდა ამისა, მონეტის თერთმეტივე გადანაჭერი ჩანს რომ სუბერატულია.

1950 წელს ქიმიკოსმა თ. აროშიძემ ე. წ. წვეთოვანი მეთოდით შეისწავლა მხოლოდ ოთხი კოლხური თეთრის სტრუქტურული შემადგენლობა და, მიუხედავად ამისა, მეტად საყურადღებო შედეგი მიიღო: ამ მონეტებში სპილენძის რაოდენობა მერყეობდა 48,00%-დან 71,73%-მდე, ხოლო ვერცხლის შემცველობა, შესაბამისად, 28,42%-დან 51,17%-მდე აღწევდა. ერთ-ერთ ნიმუშში ტყვიის შემადგენლობა 2%-ია. ორ მონეტაში ოქროს მინარევიც არის, რაც იქნებ სხვადასხვა საბადოების მადნის გამოყენებაზე, მათ თავისებურებაზე მიგვანიშნებდეს.

...შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ სპილენძმინარევებიანი ვერცხლისაგან ამზადებდნენ კოლხური თეთრების გარკვეულ სერიებს, რასაც ხელი უნდა შეეწყო ინფლაციური პროცესების განვითარებისათვის კოლხეთის სამეფოში.

კოლხური თეთრების გავრცელების საზღვარი ნათლად გვიჩვენებს ძვ.წ. V-III საუკუნეების დასავლეთ საქართველოში ერთიანი ეკონომიკური სივრცის არსებობას, რასაც განაპირობებდა კოლხეთის სახელმწიფო. ამასთანავე, კოლხური ფულის აღმოჩენის სიხშირე, მიუხედავად იმისა, თუ ვინ ჭრიდა მას, უდავოდ ქვეყნის კლასობრივი დიფერენციაციისა და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის მაღალი ფორმის არსებობის დამადასტურებელია. არქეოლოგიური მასალების ანალიზის თანახმად, ძვ.წ. V-IV საუკუნეებში კოლხეთის ეკონომიკა დინამიურად ვითარდებოდა შესაბამისი პოლიტიკური სტაბილურობის პირობებში.

...კოლხური თეთრი, რომელიც ძვ.წ. V საუკუნის მიწურულში მოიჭრა, როგორც ფაზისის საქალაქო მონეტა, სულ მალე გადაიქცა მთელი ქვეყნის ძირითად საგადასახადო საშუალებად, წამყვან ფულად ერთეულად, თავისებურ ეროვნულ ვალუტად, რომელიც ნაკლები რაოდენობით, ინერციით ძვ.წ. III საუკუნეშიც განაგრძობდა არსებობას, მიუხედავად ალექსანდრე მაკედონელის ოქროსა და ვერცხლის ფულის მოზღვავებისა.

**გურამ ლორთქიფანიძე, გოჩა გერაძე**



კოლხური თეთრი – ძვ. წ. VI-III საუკუნეების ვერცხლის მონეტა, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე. კოლხური თეთრის მოჭრას მკვლევართა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ ბერძნულ ახალშენებს (ფასისს). არსებობს კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალი.

## პოეზიის კუთხე

### ოთარ თორელი

*შაირი სიტყვით*

ეჰ, რამდენჯერ ქართველებს
იმედით გვიმღერია:
“ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზე მოგიწყენია,
აწმყო თუ არა გწყალობს,
მომავალი შენია...”
არ იქნა არ გვეღირსა
ჭეშმარიტი მესია,
ეს კი არა, ბედნავსებს,
ნატო შემოგვესია!
გაქსუვდნენ და გალაღდნენ,
გადაჭამეს მთა-ბარი,
შადრევანა პირველი
გახლავთ მათი მთავარი.
ხალხი ლუკმა-პურს ეძებს,
მიხუინა გვაბოლებს,
შინაურს თუ გარეულს
ტრაბახით თავს აწონებს.
შეხედავ, ვერ მიხვდები,
მუშაობს თუ ერთობა,
ბერიკობას უფრო ჰგავს
მისი პრეზიდენტობა.
ერთი სიტყვით, ნაცბელადს
ძალზე მოსწონს მეფობა,
ქვეყნის დანგრევის ფასად
ეს ტახტი არ ეთმობა!
ამ დროს შეხეთ ქართველებს,
ქედი დაუდრეკიათ,
ვერ მიმხვდარან ქვეყანა,
მათი მისახედია.
ნასომხრების “შაიკა”
კომბლით გასარეკია.
თავთხელ მიშას რომ ჰკითხო,
სულ სხვაგვარად ჰგონია,
მას ხომ სკამზე ჯდომისთვის
ხალხთან მუდამ ომი აქვს.
ბოროტ ხელისუფლებას
ელის ავი ფინიში,
ჯოჯოხეთში ქვაბს ადევს
მათ სახელზე ფირნიში.
სამუდამო სატანჯველს
სჯობს მიხვდნენ ადრიანად,
აიხვეტონ, წავიდნენ
გუდა-ნაბადიანად!

## ნანაშ ნინა

ჩქინ ოდიშურ მარგალურით,
ჩქინი ობედიანეშით,
მარტვილურ დო სენაკურით,
ჩქინ ოჭანე – ოლაზეშით,
ჩქინი წკონდა ლაკადურით
გევონწყუათ ჯვეშ ჩონგური,
ქიგვობირათ არძაქ წორო
ტყაში რშიალიში შორო:
ნანაშ ნინა, ნანაცალო,
სამორდებო, საყოროფო,
კირიბ, ოხვამეში კარსგ
სასანთელო, საღორონთო...
ნანაშ ნინა – წყარი წკონდა,
წყარი – ოხვარჩალაია,
მოფურინე ცას ტორონჯი
სარკე – ოსარკალაია...
ნანა ჩქინი – ბჟა დო თუთა,
მურიცხეფი – ხვიჩა-ხვიჩა,
ცირა – აშასვასვაფილი
გოპირელი ედემიშა...
ნინა ჩქინი წირდა, სქვამი,
მოჭყუდუში გვირა თოლი,
თირტს გორნელი გურმეჭვია,
მოჭირხოლე მაჭირხოლი...
უკუნეფშე ეშნაფალა,
გიფალირი დიდი ჭყონი,
ამდღა კოლხიშ შინი ვეყიდ
ნინა ჩქინი ვარდგკონი...
ნანაშ ნინა, მითაჟამშე
კოლხეფიში შურ დო გური,
ნინა ჩქინი რინაშ არზი
დო რინაშა ოსხუნური...
ნანაშ ნინა – ორქოშ ძია
ხურხიშ გიობუნაფალი,
ირკოჩიში ღორონთიშა
ხატშა მიმაყუნაფალი...
ნანაშ ნინა, ნანაშ ნინა,
ჰამო ნანაიაშ ნინა,
არძა მარგალს ქოჭყოლოფდას
ნანაშ ყოროფა დო რჩქინა...

**რამაზ კუპრა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური გვარების სუფიქსების განმარტება

გვარების უმრავლესობა (ქართული იქნება თუ უცხოური) ორი სიტყვისგან შედგება: პირველი (საწყისი) ფუძე სიტყვაა, მეორე – დაბოლოება, იგივე სუფიქსი. მაგალითად: მამულაშვილი = მამულა(ფუძე-სიტყვა) + შვილი(სუფიქსი), კორკოტაძე = კორკოტა + ძე, ქალდანი = ქალდ + ანი, ფალიანი = ფალ + იანი, გომართელი = გომართ + ელი, ქობალია = ქობალ + ია, ჯახუა = ჯახ + უა, გიგაური = გიგა + ური, არაბული = არაბ + ული, ჩანადირი = ჩანად + ირი, თაბაგარი = თაბაგ + არი, ხალვაში = ხალვა + ში, ვარაზი = ვარა + ზი, ჯიბუტი = ჯიბუ + ტი, ხავთასი = ხავთა + სი, შერმადინი = შერმად + ინი, ცაავა = ცა + ა-ვა, ინგოროყვა = ინგორო + ყვა, ტუჟბა = ტუჟ + ბა, ყოლბაია = ყოლ + ბა-ია, გაბელაია = გაბელ + ა-ია, კვეკვესკირი = კვეკვე + სკირი, კეკესკუა = კეკე + სკუა, მესხი = მეს + ხი, ჭუმბაშვილი = ჭუმ + ბა-შვილი, ქაფიანიძე = ქაფ + ია-იანი-ძე, ღამბაშიძე = ღამ + ბა-ში-ძე, ქვაცაბაია = ქვა + ცა-ბა-ია...

უცხოურ გვარებშიც ასეა: მაგელან(ი) = მაგელ + ან(ი), მანიანი = მან + იანი, ფიშერ(ი) = ფიშ + ერ(ი), დემირელი = დემირ + ელი, კაპურ(ი) = კაპ + ურ(ი), კუშნირ(ი) = კუშნ + ირ(ი), ტეილორ(ი) = ტეილ + ორ(ი), პუშკინ(ი) = პუშკ + ინ(ი), ბახ(ი) = ბა + ხ(ი), ბუბარაქ(ი) = ბუბარა + ქ(ი), პიკასო = პიკა + სო, ბუშ(ი) = ბუ + შ(ი), ტორეს(ი) = ტორე + ს(ი), ჯონსონ(ი) = ჯონ + სონ(ი), ილიადი = ილია + დი, მიცკევიჩ(ი) = მიცკე + იჩ(ი), ჩაუშესკუ – ჩაუშე + სკუ, დონსკი = დონ + სკი, ნუარე = ნუა + რე, რივალდო = რივალ + დო, ცვაიგ(ი) = ცვაი + გ(ი), ოლდრიჯი = ოლდრ(ი) + ჯ(ი), შულც(ი) = შულ + ც(ი)...

ახლა განვმარტოთ ეს სუფიქსები ჩვენებურად:

**ან(ი), იან(ი), იონ(ი), ონი, მან(ი)** – ან(ი) – ქართულ-შუმერული ანბანის პირველი ასო. მთვარე, ცა (შუმერ.) ანა, ნანა(ლაზ-მეგრ.) – დედა. ანანა(აფხ.) – დედა. იონ(მეგრ.) – წაყვანა, ყოლა. ონ(ი) – ქართულ-შუმერული ანბანის 16-ე ასო, შუმერულად მზის გზას ნიშნავს. შდრ.: სიონი, კავკასიონი, რიონი, ონი... მან(ი) – ქართულ-შუმერული ანბანის 13-ე ასო, შუმერულად კაცს ნიშნავს, ასევეა გერმანულად და ძველსპარსულად. მა(სვან-მეგრ.) – მე, მამა (ქართ.) იან(ი) – ჩემ-იანი, შენ-იანი... (მეგრ.: ჩქიმ-იან, სქან-იან...). გვარები: *მორგანი, როლანი, კიგანი, შლიმანი, ბორმანი, მანი, ჰოფმანი, ყაზარიანი, დამიანი, მუნტიანი, მანიანი, მასტროიანი, დარტანიანი, სიმენონი, დელონი, ბაირონი, ანტონიონი, ბრუნიონი...*

**ა-(ვა)** – ა(აქ არის, შენთანაა, შენიანია). *ივაშიძა(ვა), კუროსა(ვა), კა(ვა), სა(ვა)...*

**აბ(ი), იბ(ი)** – შუმერულად და ძველქართულად წყალს ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით – ცოდნას, რამეთუ წყალი ცოდნის სიმბოლოა. შდრ.: იბანს (ქართ.), იბონს(მეგრ.). *რაბი, დაბი, გაბი, კარიბი, გრიბი, დელიბი...*

**აზ(ი), ზი** – ზის, უზის, ჰყავს... *ლაპეროზი, ბარეზი, ბეროუზი, ჰაფეზი, კორტეზი...*

**აკ(ი), იკ(ი), კი** – კი – თანხმობის აღმნიშვნელი ნაწილაკი. *ბისმარკი, კლარკი, კუკი, დვორჟაკი, ბალაკი, კოლჩაკი, რემარკი...*

**არ(ი), რე, რა** – ჭეშმარიტად არის, აქ არის. რე(მეგრ.) – არის. რა(შუმ.) – მზე. *რენუარი, როტარი, როდარი, რიშარი, ჯაბარი, მარე, მეგრე, კარა, ნუარე...*

**ას(ი), ეს(ი), ის(ი), სი** – იმისია, ვისი პირმშოცაა, ვისი ნაშიერიცაა. *ხუარესი, დიასი, ანონისი, ხიმენესი, ფიუნესი...*

**ატ(ი), უტ(ი), ტ(ი)** – ტ(მეგრ.) – კერტი, ძუძუსთავი. *მოცარტი, კანტი, ლასტი, ლისტი, მიურატი, გუტი, მუტი...*

**აქ(ი), იქ(ი), ქი** – აქაურს ნიშნავს, ქი(შუმ.) – მიწა. ანქი(შუმ.) – სამყარო. ქიანა(მეგრ.) – სამყარო. *ბუბარაქი, ჩილიქი, ზარიქი, თარიქი...*

**აფა, იფა, ფა** – აფ(მეგრ.) – მისიანია, საკუთარი. ადიღურად შვილს ნიშნავს. *კადაფი, ხალიფა, ზალიფა, საფა, ჯულიფა...*

**ბა** – მამასაც ნიშნავს და შვილსაც (მეგრ-სვან-შუმ.) *ლულუმბა, მუსამბა, დროგბა, ბულბა, ბიბა...*

**ბერ(ი), ერ(ი), იერ(ი)** – სამივე ქართული სიტყვაა: ბერი (კოლხ.) – ყმა, შვილი. ერი ერია, იერი – იერი (სახე). *ვებერი, შტაინერი, შილერი, ფიშერი, ეგზიუპერი, დრაიზერი, ბერბერი...*

**გ(ი)** – გ(მეგრ.) – ჰგავს. *ბერგი, ბერინგი, გერინგი, ბოინგი, ცვაიგი...*

**დი, დო** – დი(შუმ-სვან.) – დედა, დო – დვრიტა. *ვერდი, სორდი, ფიჯერალდი, ბონდი, გარიბალდი, ფრანგულიდი, რივალდო, რეინალდო...*

**ელ(ი), ალ(ი), ლი** – ადგილსაც ნიშნავს და ლოდინსაც. *ჰეგელი, მაკიაველი, რაველი, სტენლი, ნობელი...*

**ია, უა** – ია(მეგრ.) – შვილი. უა – იგივე მნიშვნელობის. *მეხია, ერედია, კინალია, ჩევერია, ეჩებერია, ვალუა, მორია, ბენუა...*

**ინ(ი)** – იმნაირს ნიშნავს, სიტყვიდან **„ინერ“**(მეგრ.) – იმნაირი. *პუშკინი, რეპინი, რაბინი, პუტინი, ჰუსეინი, გრინი, საბატინი...*

**ირ(ი)** – ირ(მეგრ.) – ყოველი, ირო – ყოველთვის. *გირი, კანტემირი, კუშნირი, ალდაირი, ადემირი...*

**ორ(ი)** – ორი, ორეული, ერთნაირი, იგივე. ორო(მეგრ.) – ჩრდილი, ლანდი. *ჟუნიორი, ტეილორი, მელორი, ფანდორი, პასტორი...*

**სკირ(ი), სკუ(ა)** – მეგრულად შვილს ნიშნავს, ნაშიერს. *გრაბოვსკი, პიჩორსკი, ლუჩესკუ, ჩაუშესკუ, პეტრესკუ (პეტრეს შვილი), პოპესკუ...*

**სონ(ი), სო** – სონ(მეგრ.) – სადაური. სო?(მეგრ.) – სად? *ლარსონი, ჯონსონი, პიკასო, ჯეკსონი, ტომსონი...*

**ურ(ი)** – შუმერულად და ძველქართულად დასახლებულ ადგილსაც ნიშნავს და შვილსაც. შდრ.: სადაური? აქაური, იქაური. *იბარური, კიური, კაპური, შუქური...*

**ულ(ი)** – ურ-ის რბილი ფორმაა იგივე მნიშვნელობის. *რაული, პაული, სქოული...*

**ყვა** – ყოლა. *ცაყვა, ბაყვა, საყვა, ამუყვა...*

**ში** – იგივეა, რაც სი (მეგრულ-სვანური), იმისია, მისი ნაშიერია. *ფრიში, პორტიში, სანტუში, გომეში, ძებიში...*

**ჩი, იჩ(ი)** – ჩ(მეგრ.) – კვება. *მიტიჩი, მიცკევიჩი, ბაბიჩი, პეტროვიჩი...*

**ც(ი)** – ც(მეგრ.) – პატივისცემა, მოკრძალება. *კალცი, შულცი, ბარენცი, კონფუცი, სტეინიცი, მაშტოცი...*

**ხ(ი)** – ხ(მეგრ.) – შობა, გაჩენა. *ბოსხი, ბახი, კოხი, სერხი...*

**ჯ(ი)** – ჯ(მეგრ.) – ფუძე, ფესვი. *ოლდრიჯი, რაჯი, ფაჰრაჯი, საფანჯი...*

**ავტორის შენიშვნა: სპეციალისტები ამ საკითხს ალბათ სიღრმისეულად გაშუქებენ.**

**ნარო კოლხელი**
**(ნარიმან იაშაღაშვილი)**

# გინდ ველოსიპედი დაუდგამთ და გინდ სპილოს ხორთუმი

უცნაური არქიტექტურა, მოსიარულე ძეგლები და გაურკვეველი შინაარსის სკულპტურები ბოლო დროის ქართული სინამდვილის განუყოფელი ნაწილი გახდა. როდესაც ვარდების მოედანზე, იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც ადრე დავით აღმაშენებლის ძეგლი იდგა, ველოსიპედის სკულპტურა დადგეს, ბატონ **მერაბ ბერძენიშვილთან** გასაუბრება ვცადე, მაგრამ ტელეფონზე ქალბატონმა მიპასუხა: – მერაბი პოლიტიკაში არ ერევა. დღეს ერთი ხელისუფალი მოვა, ხვალ – მეორე, ზეგ – მესამე, მერაბს არც ეს აინტერესებს და არც ისეთი სისულელე, როგორიც კვერცხებზე დადებული **„შლოპანცების“** სკულპტურააო.

**ლეონა ნაკაშიძე,** მხატვარი: **„დიდი სატკივარია, როდესაც მერაბ ბერძენიშვილის ძეგლი გააქვთ რესპუბლიკის მოედნიდან და მის ადგილას ველოსიპედის ქანდაკებას დგამენ. სასაცილო და ამავდროულად, ძალიან სამწუხაროა, რაც ხდება. ეს ცუდი მხოლოდ ხელოვანებისთვის კი არა, ხალხისთვისაა. დავით აღმაშენებლის კარგი ქანდაკება არაფერია და რაღაც ჯართია ფასეული? ეს ველოსიპედი სპორტკომპლექსთან ან სტადიონთან რომ დაედგათ, გავიგებდი, მაგრამ ქალაქის ცენტრში? სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მერაბი ამით შეურაცხყოფილი კი არ უნდა იყოს, უნდა გაიცინოს. როგორ შეიძლება ასე მოექცე შენს ქალაქს, თუ იგი გიყვარს?”**

როდესაც დავით აღმაშენებლის ძეგლს ქმნიდა, მერაბ ბერძენიშვილთან სკულპტორი **ლევან სალუქვაძე** მუშაობდა, რომელსაც **„კვირის პალიტრა“** ესაუბრა:

– ამ ძეგლზე მეც მიმუშავია, ბატონ მერაბს ვეხმარებოდი და ვიცი მისი ცალკეული დეტალი როგორ იყო გაკეთებული. გადატანისას ზოგი დეტალი დაზიანდა და ეს ხარვეზები ახლაც ეტყობა. ამას იმდენად დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც იმას, რომ მოქანდაკის პროფესიული ჩანაფიქრი დაირღვა, რომელსაც ის კაცი 10 წელი ელოლიავებოდა. პიედესტალი, რაზეც აღმაშენებლის ძეგლი იდგა, უძვირფასესი მასიური დიაბაზის ქვის იყო. ასეთი ქვების მოპოვება დღეს შეუძლებელია და ისინი ძეგლის გადატანისას დაიმტვრა. ძეგლი გადაიტანეს არქიტექტურულად აბსოლუტურად გაუმართლებელ სიმაღლესა და პიედესტალზე, რომელზეც უხარისხო ფილებია მიკრული. წარწერაც ასევე არაპროფესიულია. ოქროსფერი ასოები მიატყეპეს, თითქოს დაწესებულების აბრა იყოს და არა ძეგლი. როდესაც ძეგლს დგამდნენ, მთელი ღამე რესპუბლიკის მოედანზე ვიყავით. ბატონ მერაბს ღამეები არ ეძინა, რომ ძეგლი სწორად დამდგარიყო. ძეგლის გადატანა არ შეიძლება ისე, რომ ერთ დღეს ამწე მოიყვანო და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგა. ძეგლისთვის მთავარია განათება, როგორ დგას ძეგლი მოძრაობის მიმართ. რაც მთავარია, ძეგლს უნდა ჰქონდეს გარემო, საიდანაც გამვლელები შეძლებენ მის აღქმას. დავით აღმაშენებლის ძეგლი არ არის მანქანიდან აღსაქმელი, ის მოედნიდან საყურებელი ძეგლია. ფეხით მოსიარულე მასთან უნდა გაჩერდეს და ისე აღიქვას.

**– რას ფიქრობთ თუნდაც ველოსიპედსა და კვერცხებზე დადებული „შლოპანცების“ სკულპტურაზე?!**

– ასეთ ქანდაკებებში უფრო პოლიტიკური აზრი დევს, რომ ჩვენ ვართ ევროპული, ლიბერალური ფასეულობების მატარებელი ქვეყანა და ხელოვნებაშიც ასეთი ტენდენციები გვაინტერესებს.

ველოსიპედს, როგორც სატრანსპორტო საშუალებას, არ ედგმება ძეგლი. დარწმუნებული ვარ, მასში რაღაც აზრი იქნება ჩადებული. ადრე იქ მძიმე, ტოტალიტარული არქიტექტურა იყო, რომელსაც **„ანდროპოვის ყურებს“** ეძახდნენ, მერე კი იდგა მეფის ძეგლი, რომელიც მონარქისტული განწყობის მატარებელი იყო, ახლა კი ჩვენი ხელისუფლება ცდილობს **„გაალაითოს“** სიტუაცია, სივრცეს სიმძიმე, მოღუშულობა მოუხსნას და ე.წ. გამახალისებელ ძეგლებს დგამს. მდგარიყო აღმაშენებლის ძეგლი იქ და ველოსიპედის სკულპტურა სხვაგან დაედგათ. უამრავი ადგილია თბილისში.

რაც შეეხება კვერცხებზე დადებულ **„შლოპანცებს“**, მის ავტორს ეს იდეა სხვანაირად ჰქონდა გადაწყვეტილი, კვერცხებზე კედები იდო, მაგრამ ჩვენმა დამკვეთებმა შეუცვალეს. კედებში დასცხებოდა თუ რატომ შეაცვლევინეს? ამ ქალბატონს ჰქონდა თემა, კედი იმდენად სასიამოვნო და მსუბუქია, კვერცხებზეც რომ დადგე, არ დაიმტვრევა. აი, ასეთი მარტივი კონცეპტუალური იდეებია. ჯამბაზი ხალხის წინაშე რომ გამოვა და ცხვირზე ვაშლს გაიჩერებს, ასეთი ტიპის ხელოვნებაა დღეს ჩვენში პოპულარული.

**– მაგრამ ჯამბაზობას პოპულარული ენით ხუმრობა, მაიმუნობა ჰქვია.**

– ეს გლობალური მოვლენა, მსოფლიო ტენდენციაა. არსებობს სერიოზული ხელოვნებაც და ასეთი ხელოვნებაც და არსებობის უფლება მასაც აქვს. ჩვენი მენტალიტეტისთვის მხედრის ქანდაკება უფრო მისაღებია, ვიდრე ველოსიპედის, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ორივე ტიპის ძეგლები თანაცხოვრობენ ერთ გარემოში. პრობლემას ამაში არავინ ხედავს. ხალხს საქართველოში აღიზიანებს სოციალური ფონი, პოლიტიკური გარემო და ერთი კაცის მიერ მიღებული ვოლუნტარისტული გადაწყვეტილებები, ეს ძეგლი აქ უნდა იდგესო. თორემ ძეგლი არ მაღიზიანებს, გინდ ველოსიპედი დაუდგამთ და გინდ სპილოს ხორთუმი.

**– გადაიტანეს გოგი ოჩიაურის „აჯანყებული გურულიც“.**

– ეს ბატონი გოგი ოჩიაურის ძალიან კარგი ქანდაკებაა. ეს ძეგლი 1905 წლის აჯანყების აღმნიშვნელი ექსპრესიულ მანერაში შესრულებული და ქართული ქანდაკების ერთ-ერთი შემოქმედებითი მწვერვალია. რატომ გადაიტანეს და ვის რას უშლიდა, ან სად აქვთ ამდენი ფული, რომ ძეგლები ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ. ეს იმას ჰგავს, ზვიად გამსახურდიას დროს აბაკელიას რელიეფები რომ მოანგრიეს იმელის შენობას, რადგან მათზე ლენინი და სტალინი იყო გამოსახული. არადა, ეს იყო ქართული ქანდაკების ისტორია.

ძეგლის გადატანის მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ 60-იანი წლების ქანდაკებაა და ვიღაცამ გადაწყვიტა, ამ ეპოქაში ჩარჩენილი ლანჩხუთი როგორმე გამოეყვანათ და იქ თუ, ვთქვათ, შუშის კუბს დადგამენ, ამით ლანჩხუთი XXI საუკუნის რაიონი გახდება?!

ეს ყველაფერი ერთი პირის გემოვნების ნაყოფია, ერთი კაცის გადაწყვეტილება, რაც მე არ მომწონს, მაგრამ მას აქვს მიზანი, სწრაფად დაეწიოს თანამედროვეობას და ეს რაც შეიძლება ეფექტურად გააკეთოს. რაც ხელისუფლებაშია, სულ ისეთ რამეებს აკეთებს, რომ საქართველო ევროპას დაამსგავსოს. რამდენად გვინდა, რომ ევროპას დავემსგავსოთ და რამდენად სწორია ეს, უკვე პოლიტიკური საკითხია და ცალკე თემაა.

არ მომწონს ის, რაც თბილისში ხდება, არ მომწონს ის, რომ ქართული ქანდაკების სკოლაში, რომელიც საკმაოდ მაღალი დონისაა, უკანასკნელი მოჰიკანებიღა დარჩნენ. ამას წინათ **„პესკებზე“** როიალი დადგეს. საშინელებაა, იმიტომ, რომ ნაჩქარევად და უხარისხოდ გაკეთდა. ან ქვის როიალი რა იდეაა? თუ მაინცდამაინც როიალი უნდოდათ, უკეთესი მაინც გაეკეთებინათ. ძალიან ბევრ გადაწყვეტილებას, რაც ქანდაკებას ეხება, ათბალიანი სისტემით 2+-ით დავუწერდი.

**მოქანდაკე გოგი ოჩიაურსაც ვკითხეთ იმ ძეგლებზე, რომლებიც ბათუმსა და თბილისში დაიდგა:**

– ბათუმში დადგმული ქანდაკების ფოტო არ მინახავს, რაც შეეხება ველოსიპედს, ტელევიზიით ვნახე. არ ვიცი, ეს რა არის. კონკრეტული თაობა აგებს ამისთვის პასუხს. არა ვარ ამ ხელოვნების პატივისმცემელი, მაგრამ ეს მსოფლიო პროცესია.

**– ცნობილი გახდა, რომ ლანჩხუთიდან თქვენი სადიპლომო ნამუშევარი „აჯანყებული გურული“ გადაიტანეს.**

– უკვე იმუნიტეტი მაქვს, მიჩვეული ვარ ჩემი ძეგლების გადატანა-მტვრევას. ასეთი ბედი აქვთ ჩემს ქანდაკებებს. ეს ჩემი სადიპლომო ნამუშევარიც მოსკოვიდან დამტვრეული გამომიგზავნეს. ამჯერად, როგორც ვიცი, მხოლოდ ადგილი შეუცვალეს და სად გადააქვთ, არ ვიცი. ორი თვის წინ ჩემი ქალიშვილისთვის შეუტყობინებიათ პარლამენტში, რომ ძეგლის გადატანა უნდოდათ და იქნებ ბატონმა გოგიმ ადგილი შეარჩიოსო. არც ველოდი ასეთ ზრდილობიან დამოკიდებულებას, არა ვარ ამას მიჩვეული. ისე, ამ ქანდაკებას არავითარი კავშირი არა აქვს გურიასთან. კომუნისტებისა და მათი მახინჯი იდეოლოგიისადმი ლოიალური არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ამ ქანდაკებაში არ ჩამიდვია რაიმე ანტიკომუნისტური. ახალგაზრდა ვიყავი და აჯანყება გავაკეთე. აკადემიაშიც მიხვდნენ, რომ არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი და მკითხეს, ეს რა აჯანყებააო. მე კი იდიოტივით ვიმეორებდი, აჯანყებაა-მეთქი. არ მიმტკიცებდნენ ამ ნამუშევარს და რატომ, ვერც მე მივხვდი, ვერც ჩემი ხელმძღვანელი ნიკოლოზ კანდელაკი. სასწავლო ნაწილის გამგემ სამსონ ნადარეიშვილმა მირჩია, ძეგლს 1905 წლის აჯანყება დაარქვიო. თუ ეს არის მიზეზი, რაც გინდათ, ის დაარქვით-მეთქი. დაარქვეს 1905 წლის აჯანყება და მერე ამ ძეგლს გურულიც მიაბეს.

მხატვარ გოჩა წულაძეს მოსწონდა ეს ქანდაკება და მითხრა, ჩემს მეგობარს (რომელსაც დიდი პოსტი ეჭირა) ლანჩხუთში შეუძლია დადგას ეს ძეგლიო. შემიკვეთეს და რატომ არ დავდგამდი? ამ ძეგლის გახსნაზე, რომელიც ეგნატობის დღესასწაულს დაამთხვიეს, არ წავსულვარ. ისე, ამ ძეგლის გახსნა ცელქობა იყო. მხატვარმა ბათიკო ურუშაძემ მიამბო. გაითამაშეს სცენა, რომ ეგნატე ნინოშვილის ნაწარმოების პერსონაჟ დარიკოს დაედევნებიან ჟანდარმები. ის ცხენით ჩემს ზეწარგადაფარებულ ქანდაკებასთან მივარდა და მიმართა, მიშველეო. მერე ჩამოჰკრა ტილოს ხელი და – აააა! – **„ბღავის“** ჩემი ქანდაკება. ასე გახსნეს ეს ძეგლი და იმდენი ჭკუა მეყო, რომ გახსნაზე არ წავედი.

**იზო რიკაძე**



## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

(გთავაზობთ წერილს (ნაწყვეტებს) ბატონ არჩილ გოგელიას წიგნიდან "ასეთია სპორტული ცხოვრება")

# გაიოზ ჯეჯელავა

ფეხბურთზე წერა ძნელია; მით უმეტეს – ფეხბურთელზე; კიდევ უფრო მეტად – ცნობილ ფეხბურთელზე, რომელიც გულშემატკივართა რამდენიმე თაობას ახსოვს და ამ ხსოვნას მოწიწებით ინახავს...

მე კი ძალიან მინდოდა დამეწერა წერილი კაცზე, რომელსაც პატივს ვცემ, რომელიც ჩემთვის განასახიერებს ქართული ფეხბურთის ფრიად რომანტიკულ წარსულს და საკუთარი პრინციპებისათვის მედგარ მებრძოლ ღირსეულ პიროვნებას.

ურიცხვი ადამიანების წარმოდგენაში სპარტაკ ჯეჯელავა დღემდე რჩება ყოვლისშემძლე ფეხბურთელად: განთქმული ინსაიდი განუმეორებელი ფინტებითა და ცრუ მოძრაობებით, მახვილგონივრული აზროვნებით, ორიგინალური საფეხბურთო სვლებით, ენერგიით, მიზანსწრაფვით. ასეთი იყო მოედანზე ტანმორჩილი თბილისელი ფორვარდი. მისი სტიქია იყო შეუკავებელი, უწყვეტი იერიში. არასოდეს – არც მაშინ, 30-40-იან წლებში, არც მოგვიანებით, იგი არ სცნობდა დაცვით ტაქტიკას, საფეხბურთო **"ბეტონს"**, კლიტედადებულ საჯარიმო მოედნებს.

ხალხმრავალ დაცვას გინდა **"ბეტონი"** უწოდე, გინდა **"კირქვა"**, სულ ერთია, იგი უნდა დაინგრეს, დაიშალოს, დაიმსხვრეს – ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თავბრუდამხვევი მაღალტექნიკური შეტევით. ფეხბურთი თავისი ბუნებით ვერ ჰგუობს გადამეტებულად დაცვით ტაქტიკას. მისი უპირველესი ფუნქციაა შეტევა და კიდევ შეტევა. იმარჯვებს ის, ვინც გონივრულად და უკეთ უტევს. თბილისის **"დინამო"** მუდამ იერიშისთვის იყო გამზადებული. თავსაც ვიცავდით, რა თქმა უნდა, მაგრამ იძულებით: იმ წუთებშიც მეტოქის კარი გვიტაცებდა, იერიში გვწყუროდა.

**"...ვითამაშოთ მეტოქის ნახევარზე! ასეთი უნდა იყოს ქართული ფეხბურთის დევიზი..."** – ეს სიტყვები გაიოზ ჯეჯელავას ეკუთვნის. ეს გახლდათ მისი თამაშის სტილი. ამ პრინციპების ერთგულება იყო უმთავრესი, რისთვისაც მაყურებელმა შეიყვარა იგი. მისი თანაგუნდელებისა და ფეხბურთის ქომაგების მახსოვრობაში გაიოზ ჯეჯელავა ზედმიწევნით მახვილგონივრულ ფეხბურთელად რჩება. აი, იგი მიემართება მეტოქის საჯარიმო მოედნისაკენ და მოულოდნელად **"უპატრონოდ"** ტოვებს ბურთს, რათა გაოგნებული მცველი სულ სხვა მხარეს გაიტყუოს, თავად კი ისევ ბურთთან დაბრუნდეს: კარისკენ გზა ხსნილია. აი, გაიოზ ჯეჯელავა პაუზას აკეთებს, მერე ელვის უსწრაფესად ბურთს მცველის გასწვრივ ურტყამს, თავად საწინააღმდეგო მხრიდან უვლის და... სადღაა მცველი: მან ბურთიც დაკარგა და გაიოზ ჯეჯელავაც. ბურთი და გაიოზ ჯეჯელავა უკვე მეკარის პირისპირ რჩებიან; აი, გაიოზ ჯეჯელავა ლამის კუთხურის ალამთან გაჭრილა, პირითი ხაზის გასწვრივ მიიწევს წინ, მცველები კი გულარხეინად არიან – აქედან ეშმაკიც ვერ შეაგდებს ბურთს, მაგრამ... მოჭრილი **"საფირმო"** დარტყმა, ბურთი ხმელი ფოთოლივით უცნაურ ირაოს აკეთებს, სცდება სახტად დარჩენილ მეკარესაც და ნება-ნება ეშვება ბადეში; გაიოზ ჯეჯელავა დიდი სისწრაფით მიექანება, უკან იტოვებს მცველებს, რომლებიც ამაოდ ცდილობენ ფეხი გამოსდონ და წააქციონ. იგი მთელი ტანით იხრება პარტნიორისაკენ, ყველანაირად მიანიშნებს, პასს გაწვდიო, მაგრამ... უცებ სრულიად საწინააღმდეგო მხარეს იხრება, ბურთს არავის არ აწვდის და მოტყუებული მცველების ზურგს უკან თავის საქმეს აკეთებს; ტანმორჩილ ჯეჯელავას, რომელსაც **"ხმელეთზე"** ძნელად ვინმე თუ სჯობდა, წესით და კანონით საჰაერო ბრძოლები უნდა წაეგო ტანმაღალ მცველებთან. მაგრამ საჯარიმოში ჩამოწოდებული თითქმის ყველა ბურთი მისი ნადავლი ხდებოდა. უბრალოდ, მან ტანმაღალ მეტოქეებზე უკეთ იცოდა, სად და როდის დახვედროდა ჰაერში დაკიდებულ ბურთს. აი, გაიოზ ჯეჯელავას კარის ზედა ძელამდე აუტანია ფეხი და იქ, ჰაერში, ცდილობს ბურთის დამორჩილებას...

ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია გაიოზ ჯეჯელავას ამოუწურავი საფეხბურთო არსენალისა. ყველაფერი სრულდებოდა ლაზათიანად, ლამაზად, არტისტულად, მაღალტექნიკურად და, რაც მთავარია, თვალშეუვლები, განუმეორებელი სისწრაფით.

იგი იყო ვარსკვლავი, ფეხბურთელი, რომელსაც არასოდეს უცდია გამოეწვია მაყურებლის აღტაცება თვითმიზნური, კომიკური საფეხბურთო ელემენტებით. მხოლოდ ერთხელ **"გაეხვა შარში"**. ეს იყო დონეცკში, როცა ამხანაგურ მატჩში ყველა მოატყუა მეკარის ჩათვლით, მოიხედა, ბურთი კარის ხაზთან გააჩერა, ჩაიჩოქა და თავით შეაგორა ბადეში. მაშინ მსაჯმა მოედნიდან გააძევა არაეთიკური საქციელისათვის, რაზედაც პროტესტი არ გამოუთქვამს.

ფეხბურთი მისთვის იყო თამაში, რაინდული თამაში და არა თვითმიზნური საცირკო ტრიუკები. თითოეული მოძრაობა, ფინტი თუ დარტყმა, მხოლოდ და მხოლოდ გუნდის ინტერესებისათვის იყო გამიზნული და არა ამაო ეფექტის მოსახდენად.

იგი 1933 წელს **"აღმოაჩინეს"**, როცა თბილისში ცეკავშირის გუნდთან სათამაშოდ ჩამოვიდა ქალაქ ხარკოვის ნაკრები. იმ მატჩში სპარტაკმა გოლი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, რადგან მეტოქე მცველის უხეში თამაშის გამოისობით კოჭი იტკინა. მაშინ სპარტაკის მშობლებმა არც კი იცოდნენ მისი საფეხბურთო დებიუტისა და ტრავმის თაობაზე და მხოლოდ მეორე დღეს წაიკითხეს გაზეთებში. ფაქტიურად ეს გახლდათ საკმაოდ მძიმე ტრავმა, რაც ყოველთვის ახსენებდა ხოლმე თავს გაიოზ ჯეჯელავას თავისი არც თუ ხანგრძლივი სპორტული კარიერის განმავლობაში.

აღიარება შედარებით გვიან მოვიდა. თბილისის **"დინამო"** არასოდეს ყოფილა ის გუნდი, სადაც ახალბედას ერთბაშად უცხადებდნენ ნდობას.

1938 წელს მოსკოვის **"ტორპედომ"** წარმატებული ტურნე ჩაატარა საფრანგეთში და მოსკოვში შედგა მისი შეხვედრა თბილისის **"დინამოელებთან"**, სადაც ახალბედა ჯეჯელავა გამოდიოდა. მან ეტყობა მატჩის დაწყებისთანავე დაძლია ღელვა და მსაჯის სასტარტო სასტვენიდან მეხუთე წუთზე გაიტანა გოლი. შემდგომი ორი ბურთიც მისი მახვილგონივრული ჩაწოდებით გაიტანეს თბილისის დინამოელებმა. ასეა თუ ისე, მოსკოვის **"ტორპედოსთან"** მატჩში ჯეჯელავამ საბოლოოდ დაარწმუნა ფეხბურთის სპეციალისტები, რომ იგი ნამდვილად **"სადინამოე"** ფეხბურთელი იყო.

მანამდე კი იყო მატჩი ბასკებთან, სადაც მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ რამდენიმე მცველი მოატყუა და დაარტყა – ბურთი კარს ასცდა და რეპორტიორს ფოტოაპარატი ჩაამსხვრია ხელში.

ასევე დიდი როლი ითამაშა გაიოზ ჯეჯელავამ მოსკოვის **ცდკა**-სთან მატჩში, რომელსაც თბილისელები 4:1 აგებდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც გამოგლიჯეს გამარჯვება ხელიდან მოსკოველებს. მან ამ მატშიც ულამაზესი გოლი გაიტანა.

**"მე მინდოდა ისე წავსულიყავი ფეხბურთიდან, რომ მაყურებელი ბოლომდე ჩემი მადლიერი ყოფილიყო. ძნელია ეს, საკუთარ თავზე გამოვცადე, მაგრამ აუცილებელი. სპორტსმენს უნდა შეეძლოს დროულად წასვლა, ვიდრე ამის საჭიროებას სხვები აგრძნობინებენ. მე წავედი საკუთარი სურვილით... თბილისის 36-ე სპორტულ სკოლაში ვმუშაობდი უფროს მწვრთნელად. ეს იყო ჩემი შეგნებული ცხოვრების ერთ-ერთი საუკეთესო წლები. თითქოს ქართული ფეხბურთის თავანკარა სათავესთან ვიდექი"** – აღნიშნა ქართული ფეხბურთის რაინდმა თავის ერთ-ერთ უკანასკნელ საგაზეთო ინტერვიუში.

ფეხბურთი მისთვის ისევე მოულოდნელად დასრულდა, როგორც პირველად გაიჭრა ახალბედა ყმაწვილი მწვანე მოედანზე. ოღონდ ის მაინც დაუბრუნდა ერთხელ საფიცარ გუნდს – თბილისის **"დინამოს"**, ოღონდ, როგორც უფროსი მწვრთნელი. ორი წელი დაჰყო ამ გუნდის საჭესთან. ეს დროც მისი სპორტული ბიოგრაფიის ძვირფას და განუყოფელ ნაწილად იქცა (საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა მისი ხელმძღვანელობით 1956 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე ვერცხლის მედალი მოიპოვა).

ნათელში იყოს მისი ხსოვნა!

## იუმორი

– შვილო, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, რომ მე გაგაჩინე და ინტერნეტიდან არ "გადმომიქაჩიხარ".

* * *

– უკაცრავად, თქვენ ჩემს მარაოზე ზიხართ.

– მართლა? მეც არ გამიკვირდა, საიდან მიბერავს-მეთქი?!

* * *

დიდ უნივერმაღში ქმარმა ცოლი დაკარგა და ლამაზ გამყიდველს ეუბნება:

– გამიღიმეთ, რა!

– რატომ?

– ჩემი ცოლი მაშინვე აქ გაჩნდება!

* * *

ლენინმა გვიანდერძა: "სწავლა, სწავლა და სწავლა".

ლენინი – არ მიანდერძია, უბრალოდ, პასტას ვამოწმებდი.

* * *

– გაქვთ კანფეტი "ძროხის ფრთა"?

– რა სისულელეა!

– ვერ გავიგე, "ჩიტის რძე" რატომ არ არის სისულელე?

* * *

– მომკლა ამ უფულობამ, შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, – აქებს ქმარი ცოლს, – მეც რომ შენნაირი სამსახური მაშოვნინა...

– არა, არა, შენ მაგას ვერ გაუძლებ!

მინდა მოვუხადო გულითადი მადლობა ყველა იმ პიროვნებას, ვინც მომილოცა დაბადებიდან 70 წელი.

კეთილი სურვილებით,
როლანდ ჯალაღანია

## ქუთაისში ხორცის ბიზნესი მონოპოლიის ქვეშ ექცევა

როგორც სააგენტო **„საქინფორმს"** პარტია **„თავისუფალი საქართველოდან"** აცნობეს, ქუთაისში იგეგმება პირუტყვის სასაკლაოს გახსნა, რის შემდეგაც სასაკლაოს გარეთ დაკლული პირუტყვის რეალიზაცია აიკრძალება. საქონლის მწარმოებელსა და რეალიზატორს შორის დამატებითი რგოლის შემოღება ავტომატურად გამოიწვევს თვითღირებულების გაძვირებას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ისედაც სიღარიბის ზღვარზე მყოფ მოსახლეობაზე. მოხდება ზუსტად ის, რაც მოხდა **„ნატახტარის"** სასაკლაოს გახსნის შემდეგ, როცა საქონლის ხორცის ფასმა უცებ მოიმატა 30-40 პროცენტით.

როგორც პარტიის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი ნინო დოლიძე აცხადებს, ადგილობრივ ხორცთან დაკავშირებით პრეტენზიები თითქმის არ არსებობს და ცუდი შეფასებები მხოლოდ იმპორტირებულ ხორცს აქვს.

**„სასაკლაოს გახსნით და ადგილობრივ ხორცზე ფასების მატების შემთხვევაში მოსახლეობა იძულებული გახდება მოიხმაროს შედარებით იაფი, ინდოეთში წარმოებული ხორცი, რომელიც რეალურად არის არა საქონლის, არამედ ინდური კამეჩის ხორცი, რომლის ხანგრძლივი მომხმარება ადამიანის ჯანმრთელობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაღალმთიანი სოფლები, რომელთა ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა მესაქონლეობა, ფაქტობრივად შემოსავლის გარეშე დარჩება"**, – აცხადებს დოლიძე.

პარტია **„თავისუფალი საქართველოს"** ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია გმობს ხელისუფლების მხრიდან ხორცის ბიზნესის მონოპოლისტური კლანის ზედამხედველობის ქვეშ მოქცევას (რაც რეალურად სასაკლაოს გახსნის შემდეგ რამდენიმე თვეში განხორციელდება) და მოითხოვს მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სასაკლაოს მომსახურების საფასური, რათა რეგიონში შენარჩუნებული იქნას ხორცზე დღეს არსებული ფასები.

**საქინფორმი**



## სიღნაღში ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი ინგრევა

სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში დიდი ქართველი მსახიობის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი ინგრევა. შენობაში სახურავიდან წვიმის წყალი ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ჩადის, რის გამოც კედლები ერთიანად დანესტიანებულია და ბათქაში იშლება, ადგილზე არ არის ყველა ფანჯრის მინა, თითქმის მთლიანად მორყეულია მეორე სართულზე ასასვლელი კიბე და მასზე სიარული საკმაოდ სახიფათოა.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ვაქირის მცხოვრებლებმა აცნობეს, სიღნაღის რაიონის გამგებელი მათ მუზეუმის რეაბილიტაციას უკვე ორი წელია ჰპირდება, მაგრამ ეს შეპირება სიტყვის იქით არ მიდის.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებელ ნოდარ კოჭლამაზაშვილის განცხადებით, ვასო გოძიაშვილის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოები ამინდების გამოსვლისთანავე დაიწყება.

**„მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც გამოიდარებს, მაშინვე დაიწყება და დეკემბრის ბოლომდე დასრულდება. თანხას ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოვყოფთ. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა შეასრულებს. სარეაბილიტაციო სამუშაოები დაგეგმილია ასევე მწერალ ილო მოსაშვილისა და რეჟისორ სანდრო ახმეტელის მუზეუმებშიც. ვასო გოძიაშვილის მუზეუმის სარეაბილიტაციოდ 1078 ლარია გათვალისწინებული, ილო მოსაშვილის მუზეუმისთვის – 882 ლარი, ხოლო სანდრო ახმეტელის მუზეუმისთვის – 4900 ლარი. ყველაზე მეტ სარეაბილიტაციო სამუშაოებს სანდრო ახმეტელის მუზეუმი საჭიროებს. ვვარაუდობთ, რომ ამ მუზეუმს მომავალი წლიდან ტურისტულ მარშრუტშიც შევიტანთ"**, – აღნიშნა სიღნაღის გამგებელმა.

დიდი ქართველი მსახიობის ვასო გოძიაშვილის მუზეუმი მის მშობლიურ ქალაქ სიღნაღში 1987 წლიდან ფუნქციონირებს. მუზეუმში დაცულია მსახიობის (1905-1976 წწ.) მემორიალური ნივთები, ყოფითი და ეთნოგრაფიული მასალა, სახვითი ხელოვნების ნიმუშები – ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, დოკუმენტური და ფოტომასალა, კოსტუმები სპექტაკლებისთვის, წიგნები მსახიობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თეატრალური ესკიზები და მაკეტები. ამ ნივთებს კი შენახვის განსაკუთრებული რეჟიმი ესაჭიროება, რისი პირობებიც, სამწუხაროდ, დღემდე მუზეუმებს არ გააჩნიათ, ისევე, როგორც მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა.

ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, თემურ ქორიძე, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge